

ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის  
INITIATIVE FOR SOCIAL CHANGES (ISC)

# INSPIRE

შვიდი სფრატემის ბაზშითა მიმართ ძალადობის დასაძლევად



გამოცემულია ფანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2016 წელს  
სათაურით INSPIRE: seven strategies for ending violence against children

© ფანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2016

ფანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის უფლება მიანიჭა ორგანიზაციას „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“ (ISC), რომელიც სრულად არის პასუხისმგებელი ქართული თარგმანის ხარისხსა და უტყუარობაზე. ინგლისურ და ქართულ გამოცემებს შორის ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში, ინგლისური ორიგინალი განხილულ უნდა იქნას როგორც გადამწყვეტი და ავთენტური ვერსია.

INSPIRE: შვიდი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად

© ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის (ISC), 2019

ISBN 978-9941-8-1378-8

მთარგმნელი: მარიამ სამხარაძე  
ერობრივი რედაქტორი: ანა ქაბაშვილი

სარედაქციო ჯგუფის წევრები:

თამარ ივანიაძე  
ნინო დემეტრაშვილი  
ნინო დანელია  
ნინო ქობალია

# INSPIRE

შვიდი სტრატეგიული ბაზებთა მიმართ ძალადობის დასაძლევად

კანონმდებლობა და აღსრულება



ნორმები და ლირებულებები



უსაფრთხო გარემო



მშობლებისა და მზრუნველების მხარდაჭერა



შემოსავალი და ეკონომიკური გაძლიერება



რეაგირება და მხარდამჭერი მომსახურებები



განათლება და სასიცოცხლო უნარები



# მადლობა

INSPIRE: შვიდი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად ასახავს ყველა ძირითადი სააგენტოს ტექნიკური ექსპერტებისა და მრავალი სხვა პარტნიორის წვლილს.

ალექსანდრე ბუჩარტმა (WHO) და სიუზან ჰილისმა (CDC) ერთობლივად შექმნეს დოკუმენტი, რომლის შედგენაშიც მათ დაეხმარა ანტელა ბარტონი, რომელიც გახლავთ დოკუმენტის რედაქტორი და კორექტორიც. ესინ კრუგმა (WHO) განსაზღვრა ზოგადი სტრატეგიული მიმართულება. გარდა ამისა, წვლილი შეიტანეს:

- ჰეიმს მერსიმ და ლინდა დალბერგმა, ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები (CDC);
- ბარბარა ამირატიმ, სიუზან ბისელმა და დევიდ სტივენმა, "End Violence Against Children: გლობალური პარტნიორობა";
- ჰანეტ სოლმა, პრეზიდენტის საგანგებო გეგმა შიდსის შესამსუბუქებლად (PEPFAR);
- მიშელ მოლონი-კიტსმა და რებეკა გორდონმა, მოძრაობა „ერთად გოგონებისთვის“;
- უფროსმა მრჩეველმა ტერეზა კილბენმა და ჰენეტ ტრენგმა, გაეროს ბავშვთა ფონდიდან (UNICEF). ამას დაემატა სექტორული კომენტარები ტექნიკური გუნდის შემდეგი მიმართულებებიდან: ბავშვთა დაცვა, კომუნიკაცია განვითარებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობა, ბავშვთა აღრეული განვითარება, განათლება, გენდერი, ჭანმრთელობა, სოციალური ინკლუზია, მონაცემები და ანალიტიკა;
- ანა ჰიუდის საკეტმა, ჰიულია მელოტიმ, კობი მალიგანმა და სვენ პფაიფერმა, გაეროს ნარკოტიკებისა და დანამატულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC);
- გრეტჰენ ბარბარა და კონ ვილიამსონმა, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID);
- ბეტზაბე ბარტონმა, ალესანდრა გედესმა, ელისონ ჰარვიმ, კონსტანტა ჰეგიმ, ბერიტ კისელბახმა, მარსელო კორკმა და კრისტოფერ მიკტომ. ადმინისტრაციული მხარდაჭერა გასწია კლეინ შერერმა ჭანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია / პანამერიკული ჭანდაცვის ორგანიზაცია (WHO/PAHO);
- დიანა არანგომ და ანდრეს ვილავესესმა, მსოფლიო ბანკი (World Bank).

ასევე დიდი მადლობა კეტლინ კრავეროს, ფლორენს ბრიუსს და ბრიკიტ დილეის OAK Foundation-იდან, ორგანიზაციების მიერ დოკუმენტის განხილვის პროცესის მართვისა და განხორციელებაში მონაწილეობისათვის; ასევე, შემდეგ ორგანიზაციებს განხილვის დროს წარმოდგენილი კომენტარებისთვის: African Child Policy Forum; Children and Violence Evaluation Challenge Fund; Child Rights Forum; Child Protection in Crisis Network; End Child Prostitution in Asian Tourism International; End FGM EU Network; Eurochild Network; Girls Not Brides; Global Initiative to End all Corporal Punishment against Children; Promundo; Save the Children; SOS Villages; World Vision.

ჭანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ყველა მონაწილე სააგენტოს სახელით, მადლობას უხდის ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებს ამ დოკუმენტის შემუშავებისა და გამოცემის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

# პარონიმები

- CDC:** ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის
- CRC:** ბავშვის უფლებათა კონვენცია
- End Violence Against Children:** გლობალური პარტნიორობა
- PAHO:** პარამერიკული განმრთელობის ორგანიზაცია
- PEPFAR:** პრეზიდენტის საგანგებო გეგმა შიდსის შესამსუბუქებლად
- TfG:** ერთად გოგონებისთვის
- UNICEF:** გაეროს ბავშვთა ფონდი
- UNODC:** გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო
- USAID:** ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
- WHO:** ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

# შინაგანსი

წინასიტყვაობა .....	7
INSPIRE მიმოხილვა.....	8
INSPIRE ხედვა .....	9
INSPIRE თანამშრომლობა .....	9
 ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევა პრიორიტეტია .....	10
ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბი .....	12
ბავშვთა მიმართ ძალადობის განმარტება .....	14
ბავშვთა მიმართ ძალადობის სახეები .....	14
ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგები და დანახარჯები .....	15
ბავშვთა მიმართ ძალადობის ძირითადი გამომწვევი მიზეზები .....	16
ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია შესაძლებელია .....	18
 INSPIRE კომპონენტები .....	20
INSPIRE განხორციელება .....	23
INSPIRE სტრატეგიები და მიდგომები .....	24
კანონმდებლობა და აღსრულება .....	26
კანონები, რომლებიც კრძალავს მშობლების, მასწავლებლების და სხვა მზრუნველების მიერ ბავშვის ძალადობრივ დასკას .....	28
ბავშვებზე სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის კრიმინალიზაცია კანონით .	30
ალკოჰოლის საზიანოდ გამოყენებასთან დაკავშირებული კანონები .....	30
კანონები, რომლებიც ზღუდავს ახალგაზრდებისთვის ცეცხლსასროლ და სხვა სახის იარაღებზე ხელმისაწვდომობას .....	31
 ნორმები და ღირებულებები .....	32
დამოკიდებულების შეცვლა საზიანო გენდერული და სოციალური ნორმების მიმართ	34
თემის მობილიზაციის პროგრამები .....	36
მაყურებლის ჩართულობაზე მიმართული ინტერვენციები .....	36
 უსაფრთხო გარემო .....	38
ძალადობის შემცირება „ცხელ წერტილებზე“ მუშაობით .....	40
ძალადობის გავრცელების შეჩერება .....	42
ნაშენი გარემოს გაუმჯობესება .....	42
 მშობლებისა და მზრუნველების მხარდაჭერა .....	44
მხარდაჭერა ოჯახში ვიზიტებით .....	46
მხარდაჭერა თემში ჯანმრთელობის მიმართ .....	48
მხარდაჭერა ყოვლისმომცველი პროგრამების საშუალებით .....	49
 შემოსავლი და ეკონომიკური გაძლიერება .....	50
ფულადი გადარიცხვები .....	52
ჯანმრთელობის დანაზოგები და სესხები, გენდერული თანასწორობის ტრენინგთან ერთად .....	54
მიკროფინანსები, გენდერული ნორმების ტრენინგთან ერთად .....	54

# შინაგასი

რეაგირება და მხარდაჭერი მომსახურებები .....	56
კონსულტირება და თერაპიული მიდგომები .....	58
ინტერვენციებთან შერწყმული სკრინინგი .....	60
კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის პროგრამები მართლმასაჯულების სისტემაში .....	61
მინდობით აღზრდა, სოციალური კეთილდღეობის მომსახურებებთან ერთად .....	61
განათლება და სასიცოცხლო უნარები .....	62
ბაღში, დაწყებითსა და საშუალო სკოლაში ჩარიცხულ ბავშვთა რაოდენობის გაზრდა .....	64
უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემოს შექმნა სკოლებში .....	64
ბავშვის ცოდნის ამაღლება სექსუალური ძალადობის შესახებ .....	66
სასიცოცხლო და სოციალურ უნარების ტრენინგი .....	67
ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის პრევენციის პროგრამები .....	68
<b>INSPIRE ურთიერთმკვეთი აქტივობები .....</b>	<b>70</b>
ურთიერთმკვეთი აქტივობა 1. მრავალსექტორული მოქმედებები და კოორდინაცია....	71
ურთიერთმკვეთი აქტივობა 2. მონიტორინგი და შეფასება .....	74
მონიტორინგი .....	74
შეფასება .....	77
<b>მითითებები განხორციელებებისთვის .....</b>	<b>78</b>
ეროვნული ვალდებულების აღება .....	80
საჭიროებების შეფასება .....	80
ინტერვენციების შერჩევა.....	81
ინტერვენციების მორგება ადგილობრივ კონტექსტშე .....	82
ეროვნული და ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავება .....	82
სავარაუდო დანახარჯების დაანგარიშება .....	84
ფინანსური მხარდაჭერის მყაროების იდენტიფიცირება.....	85
ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა.....	85
განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება.....	86
<b>დასკვნა .....</b>	<b>88</b>
<b>ტერმინთა განმარტება .....</b>	<b>90</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა .....</b>	<b>92</b>



# ნინასიტყვაობა

## ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევა: მოწოდება გადაუდებელი მოქმედებისკენ

წარმოიდგინე, გაგედვიძა და ახალ ამბებში მოისმინე, რომ მეცნიერებმა აღმოაჩინეს ახალი დაავადება, რომლითაც ყოველ წელს მსოფლიოში 1 მილიარდამდე ბავშვი ინფიცირდება. შედეგად, ეს ბავშვები მთელი თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში განსაკუთრებით მოწყვლადნი ხდებიან ისეთი რისკების მიმართ, როგორებიცაა ფსიქიკური დაავადებები და შფოთვითი ასლილობები, ქრონიკული (მაგალითად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი და სიმსივნე) და ინფექციური დაავადებები (მაგალითად, აივ ინფექცია), ასევე, სოციალური პრობლემები (მაგალითად, დანაშაული და ნივთიერებათა ავადმოხმარება). რას ვიზამდით, ასეთი დაავადება რომ არსებობდეს?

სინამდვილეში კი ასეთი „დაავადება“ არსებობს. ეს არის ბავშვთა მიმართ ძალადობა. ძალადობის პრევენციისთვის ერთ-ერთი პირველი მოქმედება იქნებოდა არსებული მტკიცებულებების შეგროვება და, მათზე დაყრდნობით, გადაუდებელი, ეფექტური და მდგრადი ზომების მიღება.

ცოდნა ბავშვთა მიმართ ძალადობის გაგებისა და მისი პრევენციის შესახებ პროგრესულად იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა იმის გასაგებად, თუ რა მუშაობს კარგად ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, ჩვენ უკვე გვაქვს საკმარისი მტკიცებულება, რომელიც გვაძლევს საშუალებას, შევაჩეროთ ძალადობა და ჩავანაცვლოთ იგი უსაფრთხო, სტაბილური და მზრუნველო გარემოთი.

წინამდებარე შვიდი სტრატეგიის ტექნიკური პაკეტი იქმნება მთარდ მტკიცებულებასა და საზოგადოებრივ კონსენსუსზე დაყრდნობით, რომ ძალადობის პრევენცია შესაძლებელია და ძალადობა დაუშვებელია. იგი დაეხმარება მრავალ სექტორს ცნობიერების ამაღლებაში, იმის გათვალისწინებით რომ ძალადობის დონეები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია და არცერთი საზოგადოება არ არის ძალადობის მიმართ იმუნური. ამ მხრივ ცოდნის ამაღლება ხელს შეუწყობს ჩართულობის გაზრდას მის პრევენციასა და ზიანის მომტანი გავლენის შემცირებაში.

ტექნიკური პაკეტი INSPIRE გამყარებულია ბავშვის უფლებათა კონვენციით - ყველა ბავშვს აქვს უფლება, დაცული იყოს ძალადობის ყველა ფორმისგან. ასევე, იგი პასუხობს ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბურ და დანახარჯიან შედეგებს, რომელიც მას მოაქვს საზოგადოებრივი კანდაცვისა და განვითარებისთვის. ეს არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მდგრადი განვითარების მე-16.2 მიზნის მისაღწევად, რაც გულისხმობს ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის დაძლევას; ასევე, ხელს შეუწყობს 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5, მე-10, მე-11 და მე-16 მიზნების მიღწევას, რომელთა თემებიცაა სიღარიბე, კანმრთელობა, განათლება, გენდერი, თანასწორობა, უსაფრთხო გარემო და მართლმსაჯულება.

ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა და გვაკისრია პასუხისმგებლობა, დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან და დადებითი გავლენა მოვახდინოთ კანდაცვის, სოციალური და ეკონომიკური სფეროს გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც დანანან დაბალი, საშუალო და მაღალშემოსავლიანი ქვეყნები. ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია შესაძლებელია, თუკი მსოფლიო საზოგადოება ახლავე დაიწყებს მოქმედებას, გადადგამს გონივრულ ნაბიჯებს და

მარგარეტ ჩანი,  
გენერალური დირექტორი, WHO  
Against Children

მიშელ მოლონი-ქითსი,  
დირექტორი, Together for Girls

ტომას ფრიდენი,  
დირექტორი, CDC

ანტონი ლეიქი,  
აღმასრულებელი  
დირექტორი,  
UNICEF

სუსან ბისელი,  
დირექტორი, End Violence  
Against Children

იური ფედეტოვი,  
აღმასრულებელი დირექტორი,  
UNODC

გარსია ეტინე,  
დირექტორი, PAHO

დებორა ბირქსი,  
კოორდინატორი, PEPFAR

ლაურა ტაკი,  
მდგრადი განვითარების ვიცე  
მრეთიდენტი, World Bank



# INSPIRE:

## მიმოხილვა

INSPIRE არის მტკიცებულებაზე დაფუძნებული რესურსი ყველასთვის, ვინც მუშაობს ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაზე, იქნება ეს მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება თუ კერძო სექტორი. ის წარმოადგენს საუკეთესო ხელმისაწვდომ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შერჩეული სტრატეგიების ერთობას, რათა დაეხმაროს ქვეყნებსა და თემებს, გააძლიერონ თავიანთი ყურადღება იმ პრევენციულ პროგრამებსა და მომსახურებებზე, რომლებსაც ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირების მეტი პოტენციალი აქვთ. შვიდი სტრატეგიაა: კანონმდებლობა და აღსრულება; ნორმები და ღირებულებები; უსაფრთხო გარემო; მშობლებისა და მზრუნველების მხარდაჭერა; შემოსავალი და ეკონომიკური გაძლიერება; რეაგირება და მხარდამჭერი მომსახურებები; განათლება და სასიცოცხლო უნარები. გარდა ამისა, INSPIRE მოიცავს ორ ურთიერთმკვეთ აქტივობას, რომლებიც საშუალებას იძლევა, ერთმანეთთან დააკავშიროს და გააძლიეროს შვიდი სტრატეგია და შეაფასოს მასზე მუშაობის პროგრესი.

INSPIRE-ის შვიდი სტრატეგია ყველაზე ეფექტურიანია მაშინ, როდესაც ისინი ხორციელდება ყოვლისმომცველი და მრავალსექტორული გეგმის ფარგლებში, ერთობლივი ძალისმევით, რადგან ეს სტრატეგიები განკუთვნილია კომბინირებულად მუშაობისთვის და აძლიერებს ერთმანეთს. იმის მიუხედავად, რომ ბევრ ქვეყანაში დაინტერესებული მხარეები მუშაობები ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზე, მათი ძალისმევა ყოველთვის კარგად კოორდინირებული და მხარდაჭერილი არ არის. ამასთან, მათი მხოლოდ მცირე ნაწილი ხორციელდება ფართო მასშტაბით. შესაბამისად, საკოორდინაციი მექანიზმების არსებობა აუცილებელია, რადგან არც ერთ პალკეულ სექტორს არ შეუძლია ინტერვენციების სრული პაკეტის განხორციელება და ვერც ერთი მთავრობა ვერ შეძლებს, ინდივიდუალურად დაძლიოს ბავშვების წინაშე არსებული მზარდი საფრთხეები, რომელებიც უკვე სცდება ეროვნულ საზღვრებს. ამიტომ ტექნიკური პაკეტის INSPIRE-ის განხორციელებაზე განეხული ძალისმევა უნდა წაახალისებდეს თანამშრომლობასა და სწავლებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნებს შორისაც.

## INSPIRE: ხედვა

INSPIRE-ის ხედვა არის მსოფლიო, სადაც მთავრობები, სამოქალაქო საზოგადოებისა და თემების ძლიერი მონაწილეობით, მუდმივად ახორციელებენ და აფასებენ ინტერვენციებს, იმისათვის, რომ მოახდინონ ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ძალადობის პრევენცია, მასზე რეაგირება და დაეხმარონ მათ პოტენციალის სრულად გამოვლენაში.

ის აძლიერებს ბავშვის უფლებათა კონვენციით (CRC) გარანტირებულ დაცვის მექანიზმებს, რომელიც ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, მიიღონ ყველა შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომა, იმისათვის, რომ დაიცვან ბავშვები ყველა ფორმის ძალადობისგან მშობლების, კანონიერი წარმომადგენლებისა ან სხვა პირის მზრუნველობისას. იგი ასახავს ბავშვთა მიმართ ძალადობით გამოწვეულ საზოგადოებრივი ჰანდაცვისა და სოციალური ტვირთის საკითხებზე გადაუდებელი მუშაობის აუცილებლობას.

INSPIRE-ის მიზანია, დაეხმაროს ქვეყნებსა და თემებს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs), საკვანძო პრიორიტეტების მიღწევაში. ეს არის მიზნების ახალი კრებული, რომელსაც გაეროს წევრი ქვეყნები გამოიყენებენ პრიორიტეტების სამართვად 2016-დან 2030 წლამდე. SDG მიზნები, რომელებიც ეხება ბავშვებზე ძალადობას, მოიცავს: მიზანი 16.2, „დასრულდეს არასათანადო მოპყრობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგის, ბავშვების წამებისა და მათზე ძალადობის ყველა ფორმა“; SDG მიზანი 5.2, „აღმოიფხვრას ქალთა და გოგონების მიმართ ყველა ფორმის ძალადობა, მათ შორის ტრეფიკინგი, სექსუალური და სხვა სახის ექსპლუატაცია, საჯარო და კერძო სფეროებში“, და SDG მიზანი 16.1, „მნიშვნელოვნად შემცირდეს ყველა ფორმის ძალადობა და მასთან დაკავშირებული სიკვდილიანობა“.

გარდა ამისა, INSPIRE-ის შვიდი სტრატეგია მხარდაჭერილია და, ამავდროულად, თავადაც შეაქვს წელილი ისეთ აქტივობებში, რომლებიც მიმართულია სხვა რამდენიმე SDG მიზნის მიღწევისაკენ, რომელიც, თავის მხრივ, მუშაობს ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკფაქტორებზე; მათ შორის ისეთებზე, როგორებიცაა სიღარიბე, ჰანმრთელობა, გენდერული თანასწორობა, განათლება, უსაფრთხო გარემო და მარლომსაჭულება. შესაბამისად, ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის პროგრამირებაში მათ ჩართვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

## INSPIRE: თანამშრომლობა


INSPIRE-ის ტექნიკური პაკეტი მომზადდა ჰანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ინიციატივით, ისეთ ორგანიზაციებთან და პროგრამებთან თანამშრომლობით, როგორებიცაა: ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები (CDC), End Violence Against Children: გლობალური პარტნიორობა, პანამერიკული ჰანმრთელობის ორგანიზაცია (PAHO), პრეზიდენტის საგანგებო გეგმა შიდსის შესამსუბუქებლად (PEPFAR), ერთად გოგონებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და მსოფლიო ბანკი (World Bank) (სააგენტოები, რომლებსაც აქვთ ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის თანმიმდევრული და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომის განხორციელების დიდი ისტორია).



# ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევა პრიორიტეტი

ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი წევრების - ბავშვების და მოზარდების მიმართ ძალადობას დამანგრეველი გავლენა აქვს მათზე და იწვევს კანმრთელობის დაზიანებისა და სოციალური პრობლემების ფართო სპექტრს (დიაგრამა 1). თუმცა მათი დიდი ნაწილის პროგნოზირება და პრევენცია შესაძლებელია ისეთი პროგრამების მეშვეობით, რომლებიც მუშაობს მათ გამომწვევ მიზეზებსა და რისკფაქტორებზე.

**დღისგრამი 1: ბავშვებზე ძალადობით გამოწვეული, პოტენციური განმრთელობის პრობლემები**



# ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბი

96 ქვეყანაში ჩატარდა წარმომადგენლობითი კვლევა ეროვნული მასშტაბით, რომელიც სწავლობდა ბავშვთა მიმართ ძალადობის გავრცელების დონეს. კვლევის მონაცემების ანალიზის მიხედვით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ფაახლოებით 1 მილიარდი ბავშვი მთელ მსოფლიოში, ანუ 2-დან 17 წლამდე ბავშვების ნახევარზე მეტი, გამხდარა ემოციური, ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი (2).

იმის მიუხედავად, რომ ასეთი შემთხვევა მრავალია, ბავშვებზე ძალადობა ხშირად დაფარული, შეუმჩნეველი და გაუხმაურებელია. მისი დაფარული ხასიათი კარგად არის დოკუმენტირებული (3). მაგალითად, გლობალური მონაცემების მეტაანალიზის მიხედვით, ბავშვის მიერ განცხადებული სექსუალური ძალადობის შემთხვევები 30-ჯერ, ხოლო ფიზიკური ძალადობის შემთხვევები 75-ჯერ აღემატება ოფიციალურ ანგარიშებში მოცემულ მონაცემებს (4, 5).

გოგონები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან სექსუალური ძალადობის მიმართ. მაგალითად, ბავშვობაში მომხდარი სექსუალური ძალადობის გავრცელების მაჩვენებელი გოგონებში არის 18%, ხოლო ბიჭებში - 8% (4). გოგონებზე სექსუალურად მოძალადე პირები ძირითადად კაცები არიან. ასევე მეტი შანსია, რომ გოგონა გახდეს: ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის (სექსუალური და/ან ფიზიკური), ნაცნობის ან უცნობის მიერ გაუპატიურების, ბავშვთა ან ადრეული/იძულებითი ქორწინების, ტრეფიკინგის (სექსუალური ან შრომითი ექსპლუატაციის მიზნით) ანდა გენიტალიების მუტილაციის პრაქტიკის მსხვერპლი. ასეთი ძალადობა ხდება სხვადასხვა გარემოში, ისეთშიც კი, სადაც გოგონა თავს უსაფრთხოდ უნდა გრძნობდეს და მასზე ზრუნავდნენ - სახლში, სკოლის გზაზე ან სკოლაში, საკუთარ თემში; ასევე ჰუმანიტარული საგანგებო მდგომარეობის დროს, იძულებით გადაადგილებისას ან პოსტკონფლიქტურ გარემოში.

ბიჭები უფრო მეტად სავარაუდოა რომ გახდნენ როგორც მკვლელობის მსხვერპლი, ასევე მისი ჩამდენი, რაც ძირითადად ხდება ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის გამოყენებით (7).


მსოფლიოში, 15-19 წლის,  
დაახლოებით სამი მოზარდი  
**მომონადან ერთი (84 მილიონი),**  
ქმრის ან პარტნიორის მხრიდან,  
გამხდარა ემოციური, ფიზიკური  
და/ან სექსუალური ძალადობის  
მსხვერპლი (6).



მკვლელობა არის მოზარდების სიკვდილის ყველაზე გავრცელებული ნიში ერთ-ერთი. აქედან მსხვერპლისა და განმახორციელებლის 80% ბიჭია. გარდა ამისა, ყველა მკვლელობას თან ახლავს მოზარდების მიერ გამოვლენილი ძალადობის ასობით, ძირითადად, მამრობითი სქესის მსხვერპლი, რომელიც სხვადასხვა სახის დაზიანებას იღებს. ბიჭები ასევე უფრო ხშირად ხდებიან ჩხუბისა და თავდასხმის მსხვერპლი ანდა მოძალადები, ვიდრე გოგონები (7).

გოგონების და ბიჭების მიერ განცდილი ძალადობის მაღალი სიხშირიდან გამომდინარე, იკვეთება საგანგაშო სურათი, რომლის მიხედვითაც, ბავშვები ცხოვრობენ ძალადობის ქვეშ, ყოველგვარი მხარდაჭერისა და მომსახურებების გარეშე. ბევრ ქვეყანაში, პრობლემის რეალური მასშტაბი სათანადოდ არ არის შეფასებული. ეს, ერთი მხრივ, იმის ბრალია, რომ ძალადობის მსხვერპლთა დაახლოებითი რაოდენობის შესახებ ინფორმაციის წყარო, როგორც წესი, არის ჯანდაცვის ან მართლმსაჯულების სისტემის ხელთარსებული მონაცემები და არა ეროვნული კვლევის შედეგად მიღებული სტატისტიკა; მეორე მხრივ კი - საზოგადოებაში, მათ შორის ბავშვებში, გავრცელებული რწმენა, რომლის მიხედვითაც ძალადობა ნორმაა და არა პრობლემა, რომელიც ყურადღებას მოითხოვს. უფრო მეტიც, გოგონები და ბიჭები, რომლებიც აცხადებენ ძალადობის შესახებ, შემდგომ ხშირად სტიგმატიზირებული არიან, ან მათ არ უკერებენ და არანაირი საპასუხო ზომა არ არის მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა შეიძლება დაფარული იყოს, მისი შედეგები საბოლოოდ მაინც აშკარავდება (8) და ქმნის ხანგრძლივ პრობლემებს, როგორც ბავშვებისა და ზრდასრულების, ასევე თემებისა და სახელმწიფოებისთვის, საზოგადოებრივი ტვირთის სახით.

2012 წელს, მკვლელობას  
დაახლოებით 95000 ბავშვისა და  
მოზარდის სიცოცხლე შეენირა,  
რომელთა ასაკიც 20 წელს  
ქვემოთ იყო (6).



## ბავშვთა მიმართ ძალადობის განმარტება

ბავშვი არის 18 წლამდე ასაკის ნებისმიერი პირი, შესაბამისად, ბავშვებთა მიმართ ძალადობაში იგულისხმება ძალადობა ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც 18 წელს ქვემოთაა. კანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) ძალადობას შემდეგნაირად განმარტავს: “ძალადობა არის ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების განზრას გამოყენება, რომელიც რეალურია ან მუქარის სახე აქვს და მიმართულია საკუთარი თავის, სხვა პირის, პირთა ჯაფუის ან თემის წინააღმდეგ, რომლის შედეგიცაა [ან ამ შედეგის მაღალი ალბათობა არსებობს] სხეულის დაზიანებები, სიკვდილი, ფსიქოლოგიური ტრავმა, განვითარების ჩამორჩენა ან დეპრივაცია” (9). შესაბამისად, ძალადობა, ფიზიკური ზიანის გამომწვევი მოქმედების გარდა მოიცავს სხვა სახის ზიანსაც. მისი შედეგები, სიკვდილისა და ფიზიკური ზიანზე გაცილებით ფართოა და შეიძლება მოიცავდეს გადამდებ ან არაგადამდებ დახვადებებს, ფსიქოლოგიურ ზიანს, სარისკო ქცევას, საგანმანათლებლო ჩამორჩენასა და დანაშაულში

## ბავშვთა მიმართ ძალადობის ტიპები

ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევათა უმეტესობა მოიცავს ინტერპერსონალური ძალადობის 6 ძირითადი ტიპებან, სულ მცირე, ერთს. ძალადობის<sup>1</sup> ასეთ ფორმებს ვხვდებით ბავშვის განვითარების სხვადასხვა საფრენიზე (დიაგრამა 2) (9):

- არასათანადო მოპყრობა (მათ შორის ძალადობრივი დასაჭავი) მოიცავს ფიზიკურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ/ემციურ ძალადობას; მშობლების, მზრუნველების და სხვა ავტორიტეტული პირების მიერ ჩვილების, ბავშვებისა და მოზარდების უგალებელყოფას, რაც ყველაზე ხშირად ხდება სახლში, თუმცა, მას ასევე ადგილი აქვს ისეთ გარემოშიც, როგორიცაა სკოლები და თავშესაფრები.
- ბულინგი (მათ შორის კიბერბულინგი) არის აგრესიული ქცევა, რომელიც ხორციელდება ბავშვის ან ბავშვთა ჯაფუის მიერ, რომელიც არ არის მსხვერპლის და-ძმა ან რომანტიკული პარტნიორი. იგი მოიცავს განმეორებითი სახის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სოციალურ ზიანს. ბულინგს ხშირად ვხვდებით სკოლებსა და ბავშვთა შეკრების სხვა ადგილებში, ასევე ონლაინ სივრცეში.
- ახალგაზრდებს შორის ძალადობა ძირითადად ხდება 10-დან 29-წლამდე პირებს შორის. ყველაზე ხშირად ასეთ ძალადობას ადგილი აქვს თემში, ნაცონატებსა და უცნობებს შორის, მოიცავს ფიზიკურ თავდასხმას იარაღით (ცეცხლ-სასროლი ან ცივი) ან იარაღის გარეშე. იგი შეიძლება სასევე მოიცავდეს დაკავუფების მიერ განხორციელებულ ძალადობას (rape violence).
- ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან სან ძალადობა ოჯახში მოიცავს ინტიმური პარტნიორის ან ყოფილი პარტნიორის მხრიდან განხორციელებულ ძალადობას. იმის მიხედვად, რომ კაცებიც შეიძლება იყვნენ ძალადობრივი ურთიერთობის მსხვერპლი, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ჩადენილი ძალადობა არაპროპრიოლად მეტია ქალების შემთხვევაში. როგორც წესა, ეს ხდება ბავშვთა და ადრესული/იძულებითი ქორწინების დროს. დაუქორწინებული, მაგრამ რომანტიკულ ურთიერთობაში მყოფი მოზარდების შემთხვევაში, ზოგჯერ იყენებენ ტრემინს „ძალადობა შეყვარებულის მხრიდან“ (dating violence).
- სექსუალური ძალადობა მოიცავს თანხმობის გარეშე სექსუალური კონტაქტს დამყარებას ან მცდელობას; თანხმობის გარეშე სექსუალური ხასიათის ქმედებას, რომელიც არ მოიცავს კონტაქტს (მაგალითთაც, ფარულად თვალთვალი ან სექსუალური შევიწროება); ისეთი პირის ჩართვას სექსუალურ ტრეფიკინგში, რომელსაც არ შეეძლია თანხმობის ან უარის გამოხატვა და ონლაინ ექსპლუატაციას.
- ემოციური ან ფსიქოლოგიური ძალადობა და ძალადობის შესწრება/თვითხილვა (witnessing violence) მოიცავს ბავშვისთვის გადაადგილების შეზღუდვას, დაცინვას, მუქარას ან დაშინებას, დისკრიმინაციას, უარყოფას და მტრული მოპყრობის სხვა არაფიზიკურ ფორმებს. ძალადობის ფაქტის შესწრება შეიძლება იყოს ბავშვის იძულება, უყუროს ძალადობრივ აქცია, ან შემთხვევით გახდეს ორ ან მეტ პირს შორის ძალადობის შემსწრე/თვითმხილველი. იმ შემთხვევაში, თუ გოგონას ან ბიჭის მიმართ ძალადობა მიმართულია მათი ბიოლოგიური სქესის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე, ეს წარმოადგენს გენდერული ნიშნით ძალადობას.

## დიაგრამა 2: ძალადობის ტიპები და შესაბამისი ასაკობრივი ჯაფუი



1

ბავშვები ასევე შეიძლება გახდენ რომ სხვა ტიპის ძალადობის მსხვერპლი, რომელიც ამ პავეტის ფარგლებს სტერეოტიპებს, როგორიცაა მალდობა, როგორიცაა მას და ტრანსის განხორციელებულია დიდი ზომის დაგვაფიცებებით, შეაძლოა, გაზარდოს ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმატება. დამოღვევის, პაკეტის არ ფარავს ქალთა გნიტალურების მუტილაციის პრაქტიკას, რომლისთვისცა უკვე არსებობს კონსოლიდირებული სახელმძღვანელო. (სახ. <http://www.who.int/reproductivehealth/topics/fgm/management -health-complications-fgm/en/> and [http://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/who\\_rhr\\_10\\_9\\_en.pdf](http://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/who_rhr_10_9_en.pdf).)

# ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგები და დანახურები

ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგად მიღებული უშეალო და გრძელვადიანი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შედეგები და ეკონომიკური დანახურები საფრთხეს უქმნის განათლებაში, ჯანმრთელობასა და ბავშვთა კეთილდღეობაში ჩადებულ ინვესტიციას და აქვეითებს მომავალი თაობების პროდუქტიულობას. ადრეულ ასაკში ძალადობის გამოცდილებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ტვინის განვითარებას და ნერვული სისტემის სხვა ნაწილებს, ასევე, ენდოკრინულ, სისხლის მიმოქცევის, ძვალ-კუნთოვან და რეპროდუქციულ, რესპირატორულ და იმუნური სისტემებს. ჯანმრთელობის ეს პრობლემები, შესაძლოა, მთელი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდეს (8). მყარი მტკიცებულებების მიხედვით, ბავშვებზე ძალადობა ზრდის შემდეგი სახის ზიანის დადგომის რისკს: სხეულის დაზიანება, აივ-ინფექცია და სექსუალური გზით გადამდები სხვა ინფექციები, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, კოგნიტური განვითარების შეფერხება, დაბალი აკადემიური მოსწრება, სკოლიდან გარიცხვა, ადრეული ორსულობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები, გადამდები და არაგადამდები დაავადებები (10-30).

ბავშვებზე ძალადობა ასევე დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ამას ამტკიცებს იმ ქვეყნების და რეგიონების მონაცემები, სადაც ძალადობის ფინანსური შედეგები შეაფასეს. მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთი წლის მონაცემებით, ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპურობის ახალ შემთხვევებთან ასოცირებული სრული ეკონომიკური ხარჯი 2008 წელს შეადგინდა 124 მილიარდ აშშ დოლარს. ეს ხარჯი იზრდება იმ შემთხვევაში, თუ არასათანადო მოპურობასთან ერთად მოვიაზრებთ სხვა ტიპის ძალადობასაც, მაგალითად, ახალგაზრდებს შორის ძალადობას (31, 32). აღმოსავლეთ აზისა და წყნარი რეგიონში არსებული მიახლოებითი მონაცემების მიხედვით, ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპურობის შედეგად გამოწვეული მხოლოდ ჯანმრთელობის რამდენიმე პრობლემის ეკონომიკური დანახარჯი შეადგინდა რეგიონის წლიური მშპ-ის 1.4%-დან 2.5%-მდე (33).

# ბავშვთა მიმართ ძალადობის ძირითადი მამომწვევი მიზანები

ძირითადი ფაქტორი, რაც ბავშვებს და მოზარდებს, განსაკუთრებით კი გოგონებს, მოწყვლადს ხდის ძალადობის მიმართ (და ზრდის ბიჭებისა და კაცების მიერ ძალადობის განხორციელების ალბათობას), არის გოგონების ვიქტიმიზაციის (მსხვერპლად ყოფნის) და ბიჭებისა და კაცების მიერ ძალადობრივი ქცევის განხორციელების მიმართ საზოგადოების მიმღებლობა. ხშირად არასათანადო მოპყრობა ან ექსპლუატაცია აღიქმება ნორმად, რომელიც თემის კონტროლს მიღმაა. ამასთანავე, სირცხვილის გრძნობა, შიში და რწმენა იმისა, რომ დახმარება არავის შეუძლია, შესაბამისი უწყებებისადმი დაბალ მიმართვიანობას განაპირობს. გარდა ამისა, მსხვერპლი ხშირად არის დადანაშაულებული ძალადობაში, რომლიც მან განიცადა. ზოგადად ძალადობის, განსაკუთრებით კი ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მიმართ არსებული საზოგადოებრივი მიმღებლობა საზოგადოებაში ქალებისა და ბავშვების დაბალი სოციალური სტატუსიდან და ისეთი კულტურული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომელიც ეხება გენდერს და მასკულინობას. შესაბამისად, ისეთი გენდერული ნორმების შეცვლა, რომელიც კაცს აძლევს გოგონების და ქალების სხეულსა და ქცევაზე კონტროლის შესაძლებლობას, არის აუცილებელი სტრატეგია. იგი კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა მიიღწეს გენდერული თანასწორობა, შემცირდეს გოგონების მიმართ ძალადობა, განვითარდეს პრევენციული აქტივობები და მუშაობა დაიწყოს ზრუნვისა და მხარდაჭერის სპეციფიურ საჭიროებებზე საპასუხოდ.

ძალადობა ასევე მომდინარეობს სხვა მრავალი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორიდან, რომლებიც გავლენას ახდენს თემზე, ოჯახებზე, ურთიერთობებსა და იმაზე, თუ როგორ ატარებენ ბავშვები ყოველდღიურ ცხოვრებას. სოციალურ-ეკოლოგიური მოდელი აღწერს გარკვეული ფაქტორების ურთიერთებებას. ესენია: ინდივიდუალური, ურთიერთობებზე დაფუძნებული, თემის და საზოგადოებრივი ფაქტორები (დიაგრამა 3) (9).

- **ინდივიდუალურ დონეზე** რისკ-ფაქტორები მოიცავს ისეთ ბიოლოგიურ მახასიათებლებსა და პერსონალურ ასპექტებს, როგორიცაა სქესი, ასაკი, განათლება, შემოსავალი, შეზღუდული შესაძლებლობა, კოგნიტური განვითარების შეფერხება, ემოციურ/ფსიქოლოგიური დარღვევები, ალკოჰოლის მიღება ზიანის მომტანი დოზებით, ნარკოტიკების მოხმარება და არასათანადო მოპყრობის ისტორია.
- **ახლო ურთიერთობების დონეზე** რისკ-ფაქტორები მოიცავს ემოციური მიგაჭვულობის ნაკლებობას, მშობლობის არასათანადო პრაქტიკას, ოჯახურ დისფუნქციას, დელიკვენტური ქცევის თანატოლებთან დაახლოებას, ბავშვის მიერ დედის ან დედობილის მიმართ ძალადობის შესწრებას/თვითხილვას, ადრეულ ან იძულებით ქორწინებას.
- **თემის დონეზე** რისკ-ფაქტორები მოიცავს იმას, თუ როგორ ზრდის ძალადობის რისკს ისეთი სივრცეები, როგორიცაა სკოლა, სამუშაო ადგილი ან სამეზობლო. თავის მხრივ, ეს მოიცავს სიღარიბეს, მოსახლეობის სიმჭიდროვის მაღალ დონეს, დროებით საცხოვრებელს, სოციალური ინტეგრაციის დაბალ დონეს, საფრთხის შემცველ ფიზიკურ გარემოს, დანაშაულის მაღალ მაჩვენებელსა და ადგილობრივად ნარკოტიკებით ვაჭრობას.
- **საზოგადოების დონეზე** რისკ-ფაქტორები მოიცავს სამართლებრივ და სოციალურ ნორმებს, რომლებიც ქმნის კლიმატს, საფაც ძალადობა წახალისებული და ნორმალიზებულია. ეს ასევე მოიცავს ჯანდაცვის, ეკონომიკურ, საგანმანათლებლო და სოციალურ პოლიტიკას, რომელიც ინარჩუნებს ეკონომიკურ, გენდერულ და სოციალურ უთანასწორობას, არაადეკვატურ სოციალური დაცვის სისტემებს, კონფლიქტის შემდგომი ან სტიქიური მოვლენებით გამოწვეულ სოციალური მოწყვლადობას, სუსტ მმართველობასა და არასათანადო სამართლებრივ სისტემას.

სხვადასხვა დონეზე ფაქტორების ურთიერთექმედება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფაქტორების გავლენა ერთსა და იმავე დონეზე (9). მაგალითად, განმეორებითი კვლევები აჩვენებს, რომ ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებების გათვალისწინებით - ორსულობამ და მშობიარობამ შეიძლება გამოიწვიოს ნევროლოგიური დაზიანება და ფსიქოლოგიური პრობლემები (ინდივიდუალური რისკ-ფაქტორები) - შესაძლებელია, ნინასწარ ვივარიულოთ ბავშვის მიმართ არასათანადო მოშეკრობა და ახალგაზრდებს შორის ძალადობა. ძირითადად ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ სხვა ისეთ ოჯახურ პრობლემებთან ერთადაა კომბინაციაში, როგორიცაა მაგალითად, მშობლობის არასათანადო პრაქტიკა (34). სხვა რამდენიმე გავრცელებული რისკ-ფაქტორი - როგორებიცაა ოჯახური დისფუნქცია და თემში სოციალური ინტეგრაციის დაბალი დონე - ბავშვებს, სხვა ფაქტორებთან შედარებით, გაცილებით დიდი რისკის ქვეშ აყენებს. და მაშინ, როცა ჰუმანიტარული კრიტისების, მათ შორის ომის, ლტოლვილთა მასობრივი გადაადგილების, ეკონომიკური მიგრაციის, ბუნებრივი კატასტროფების, დაავადებების გავრცელების რიცხვი ასე სწრაფად იზრდება, უფრო მეტი ბავშვი ხდება ძალადობის მიმართ მოწყვლადი, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა.

**დიაგრამა 3:** სოციალურ-ეკოლოგიური მოდელი ბავშვთა მიმართ ძალადობის გაგებისა და პრევენციისთვის

საზოგადოება:	თემი:	ურთიერთობები:	ინდივიდუალური:
<ul style="list-style-type: none"> <li>• სწრაფი სოციალური ცვლილება</li> <li>• ეკონომიკური უთანასწორობა</li> <li>• გენდერული უთანასწორობა</li> <li>• პოლიტიკა, რომელიც ზრდის უთანასწორობას</li> <li>• სიღარიბე</li> <li>• სუსტი ეკონომიკური უსაფრთხოების ბადები</li> <li>• სამართლებრივი და კულტურული წორმები, რომელიც წაახალის ძალადობას</li> <li>• ხელმისაწვდომობა იარაღზე</li> <li>• კონფლიქტის, კონფლიქტის შემდგომი ან სტიქიური მოვლენებით გამოწვეული</li> <li>• სიციალური მოწყვლადობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სიღარიბე თემში / კონცენტრირებული სიღარიბე</li> <li>• დანაშაულის მაღალი დონე</li> <li>• მცხოვრებთა მობილობის მაღალი დონე</li> <li>• უმუშევრობის მაღალი დონე</li> <li>• ადგილობრივად წარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა</li> <li>• სუსტი ინსტიტუციური პოლიტიკა</li> <li>• მსხვერპლზე ზრუნვის არაადეკვატური მომსახურებები</li> <li>• ფიზიკური გარემოთი განპირობებული ფაქტორი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მშობლობის არასათანადო პრაქტიკა</li> <li>• უთანამოება ინტენსიური</li> <li>• მშობლებს შორის ძალადობრივი კონფლიქტი</li> <li>• ადრეული და იძულებითი ქორწინება</li> <li>• არაადეკვატური ეკონომიკური სტატუსი</li> <li>• ძალადობაში ჩართული მემკრებები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სქესი</li> <li>• ასაკი</li> <li>• შემოსავალი</li> <li>• განათლება</li> <li>• შეზღუდული შესაძლებლობა</li> <li>• ძალადობის მსხვერპლობა</li> <li>• ძალადობრივი ქვევის ისტორია</li> <li>• ალკოჰოლის/არალეგალური ნივთიერებების ავადმოხმარება</li> <li>• ემოციური/პიროვნული დარღვევები</li> </ul>

წყარო (9)

იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკა თუ პროგრამა ხშირად ძალადობის სხვადასხვა ფორმაზე განყენებულად მუშაობს, უნდა ვაღიაროთ, რომ ძალადობის ყველა ფორმა ერთმანეთთანაა დაკავშირებული, რადგან მათ ძირის გამომწვევი მიზეზები აერთიანებს. ამის გამო ისინი ზოგჯერ ერთდროულად იჩენენ თავს და შეიძლება ერთი განაპირობებდეს მეორეს. მაგალითად, არასათანადო მოშეკრობამ ბავშვებთან, შესაძლოა, გაზარდოს იმის რისკი, რომ მსხვერპლი მომავალში გახდება სექსუალური ძალადობის, ახალგაზრდებს შორის ძალადობის, თვითმიმართული ძალადობის და ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ან განმახორციელებული. ასევე მეტია იმის ალბათობაც, რომ ბავშვმა, რომელიც შეესწრო დედასა ან დედობილზე ძალადობას ინტიმური პარტნიორის მხრიდან, ისევ გამოცადოს მსგავსი ძალადობა მომავალში, როგორც მსხვერპლის, ასევე განმახორციელებლის როლში (35-36). შესაბამისად, იმ პროგრამებს, რომლებიც ეფექტუანად მუშაობენ ძირეულ გამოწვევი მიზეზებზე, აქვთ იმის დიდი პოტენციალი, რომ შეამცირონ ბავშვთა მიმართ ძალადობის რამდენიმე ფორმა.

# ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია შესაძლებელია

ბავშვებზე ძალადობა მრავალმხრივი პრობლემაა, რომლის გამომწვევი მიზეზები გვხვდება ინდივიდუალურ, ახლო ურთიერთობების, თემისა და საზოგადოებრივ დონეზე, შესაბამისად, მასზე მუშაობა საჭიროა პარალელურად რამდენიმე სხვადასხვა დონეზე. სოციალურ-ეკოლოგიური მოდელი ამ მხრივ ორმაგ მიზანს ემსახურება, რადგან მოდელის თითოეული დონე წარმოადგენს განზომილებას, სადაც თანაარსებობს, როგორც რისკები, ასევე პრევენციის შესაძლებლობები.

შესაბამისად, ბავშვთა მიმართ ძალადობასთან გამკლავება მოიცავს სათანადო ზომების მიღებას, იმისათვის რომ:

- შეიქმნას უსაფრთხო, მდგრადი და მზრუნველი ოჯახური გარემო, ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილი იყვნენ სპეციალიზებული დამარტინებითა და მხარდაჭერით;
- ფიზიკურად შეიკვალოს საფრთხის შემცველი გარემო;
- შემცირდეს რისკ-ფაქტორები საგარო სივრცეებში (მაგ. სკოლებში, მოზარდების თავშეყრის სხვა ადგილებში), იმისათვის, რომ დაიკლოს ძალადობის საფრთხემ;
- აღმოიფხვრას გენდერული უთანასწორობა ურთიერთობებში, სახლში, სკოლაში, სამსახურში და ა.შ.;
- შეიცვალოს კულტურული დამოკიდებულებები და პრაქტიკა, რომელიც წაახალისებს ძალადობას;
- სამართლებრივად აიკრძალოს ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა და შეიზღუდოს მოზარდებისთვის ხელმისაწვდომობა ისეთ მავნე პროდუქტებზე, როგორიცაა ალკოჰოლი და ცეცხლსასროლი იარაღი;
- ხელმისაწვდომი განვითარების ხარისხიანი რეაგირების მომსახურებები ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის;
- აღმოიფხვრას კულტურული, სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა, რომელიც ხელს უწყობს ძალადობას, უზრუნველყოფილ იქნეს თანაბარი ხელმისაწვდომობა რესურსებზე, მომსახურებებსა და შესაძლებლობებზე;
- გაუმჯობესდეს კოორდინაცია იმ რამდენიმე სექტორის შორის, რომლებიც მუშაობს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და მასზე რეაგირებაზე.  
INSPIRE-ის შვიდი სტრატეგია მოიცავს ყველა ამ საკვანძო პუნქტს, რომელიც საჭიროა ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის. ეს აღმერილია შემდეგ თავებში.





# INSPIRE -ის პომპონები

INSPIRE მოიცავს შვიდ სტრატეგიას, რომლებიც ერთად ქმნიან ურთიერთმკვეთ სამუშაო ჩარჩოს ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევისთვის. თითოეული სტრატეგია შედგება ძირითადი მიზნის, სტრატეგიის დასაბუთების, მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) (16.2-ის გამოკლებით, რადგან ამ მიზნის განვითარებაში მას თავად შეაქვს წვლილი და ამავდროულად, მხარდაჭერილია მისგან), ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე შესაძლო გავლენის, კონკრეტული მიღებისა (მათ შორის პროგრამები, პრაქტიკა და პოლიტიკა, რომლებიც ხელს უწყობს სტრატეგიის წინსვლას) და ამ მიღებისათა მხარდაჭერი მტკიცებულებებისგან.

შვიდი სტრატეგია შეარჩიეს INSPIRE-ის შექმნაში მონაწილე საგენტოებმა მანამდე გამოქვეყნებული, კვლევაზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების გაერთიანების შედეგად. მათი მუშაობა მიმართული იყო ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკ-ფაქტორებსა და მისგან დამცავ ფაქტორებზე, რისკის ოთხივე ურთიერთდაკავშირებულ დონეზე ინდივიდუალური, ურთიერთობებზე დაფუძნებული, სათემო, საზოგადოებრივი). მათი უმეტესობა პრევენციულ ეფექტს ახდენს ბავშვთა მიმართ ძალადობის რამდენიმე ტიპზე, ასევე დადგებითად აისახება ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა ფსიქიკური ჭამრთელობა, განათლება და დანაშაულის შემცირება. გარდა ამისა, INSPIRE მოიცავს ორ ურთიერთმავეთ აქტივობას, რომელიც საშუალებას იძლევა, ერთმანეთთან დააკავშიროს და გააძლიეროს შვიდი სტრატეგია და შეაფასოს, რა პროგრესი იქნა მიღწეული მასზე მუშაობის შედეგად.

# პრიტერიუმები ინტერიუსტისთვის

INSPIRE-ის თითოეული სტრატეგია მოიცავს ერთ ან მეტ, მტკიცებულებაზე დაფუძნებულ მიღგომას ცენტრი 1). მიღგომების მაგალითები არ წარმოადგენს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის პროგრამების და პრაქტიკის სრულ სიას თითოეული სტრატეგიისთვის, არამედ აღნერს იმ მოდელებს, რომლებიც ამცირებს ალბათობას, რომ ბავშვი გახდება ძალადობის მსხვერპლი ან მოძალადე, ძალადობის რისკ-ფაქტორებს ან მის უშუალო და გრძელვადიან შედეგებს. პრაქტიკაში, INSPIRE-ში მოცემული სტრატეგიების და მიღგომების ეფექტურობა დამოკიდებული იქნება მათი განხორციელების ხარისხსა და მახასიათებლებზე. მოდელის ინტერვენციები წარმოადგენ ეფექტური, პრაქტიკული ან გონივრული პრაქტიკას.

## პრიტერიუმები ინტერვენციებისთვის

ეფექტური ინტერვენციები შემდეგი კრიტერიუმებიდან, სულ მცირე, ერთს მაინც აკმაყოფილებენ. ესენია:

- კვლევით დადასტურებული დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობის ერთ ან მეტ ტიპზე (სარასათანადო მოპყრობა, ბულინგი, ძალადობა ახალგაზრდებს შორის, ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან<sup>2</sup> და სექსუალური ძალადობა). მოცემული გავლენა უნდა დადგინდეს, სულ მცირე, ორი, მაღალი ან საშუალო - ხარისხის კვლევის შედეგად, რომელიც იყენებს შემთხვევითად კონტროლირებულ ექსპერიმენტს და/ან მაღალი ხარისხის კვაზი-ექსპერიმენტულ დიზაინს.
- მაღალხარისხოვანი მეტანალიზისა და სისტემური მიმოხილვის ძირითად მიგნებებზე დაყრდნობით, ინტერვენციები რეკომენდებულად ითვლება.

ინტერვენციები პროცესები, თუ:

- კვლევით დადასტურებული დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობის ერთ ან მეტ ტიპზე (სარასათანადო მოპყრობა, ბულინგი, ახალგაზრდებს შორის, ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან და სექსუალური ძალადობა). ეს გავლენა დადგენილი უნდა იყოს, სულ მცირე, ერთი, მაღალი ან საშუალო ხარისხის კვლევის შედეგად, რომელიც იყენებს შემთხვევითად კონტროლირებულ ექსპერიმენტს და/ან მაღალი ხარისხის კვაზი-ექსპერიმენტულ დიზაინს.
- კვლევით დადასტურებული დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობის ერთ ან მეტ რისკის შემცველ ან მისგან დამცავ ფაქტორზე (როგორებიცაა: საგანმანათლებლო მიღწევები, პოზიტიური მშობლობის უნარები, მშობლებსა და შვილებს შორის კომუნიკაცია ძალადობის ან ძალადობის შესწორების/თვითხილვის თავიდან არიდების ეფექტური ინტრატერიუმების შესახებ, გაზრდილი მეთვალყურეობა მშობლების მხრიდან). ეს გავლენა დადგენილი უნდა იყოს, სულ მცირე, ერთი მაღალი ან საშუალო ხარისხის კვლევის შედეგად, რომელიც იყენებს შემთხვევითად კონტროლირებულ ექსპერიმენტს და/ან მაღალი ხარისხის კვაზი-ექსპერიმენტულ დიზაინს.

გონივრული პრაქტიკის კომპონენტები შემდეგი კრიტერიუმებიდან, სულ მცირე, ერთს აკმაყოფილებენ:

- საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და რეზილიუსიებით განსაზღვრულია ინტერვენციის აუცილებლობა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებისათვის;
- თვითხილვი კვლევის ან დაკავირვების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ინტერვენციას შეუძლია, ეფექტურად შეამციროს ბავშვებზე ძალადობა.

ორი ურთიერთმავეთი კომპონენტი - მრავალსექტორული ქმედებები და კოორდინაცია, და მონიტორინგი და შეფასება - აუცილებელი მოთხოვნაა ნებისმიერი მტკიცებულებაზე დაფუძნებული, მრავალსექტორული ინტერვენციისთვის (37).

INSPIRE-ის სტრატეგიები ისეა შერჩეული, რომ დაბალი რესურსების მქონე გარემოში განხორციელებული და შეფასებული ინტერვენციები წარმოადგინოს. მაღალშემოსავლიან გარემოში განხორციელებული ინტერვენციებიდან შერჩეულ იქნა ისეთები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურიანია ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებისათვის და, ასევე, დიდია იმის ალბათობა, რომ ეს ინტერვენციები წარმატებით იმუშავებს სხვადასხვა კულტურულ გარემოში. INSPIRE იძლევა შესაძლებლობას, გაიზარდოს შვიდი სტრატეგიის ეფექტურად მისათავს კვლევათა რიცხვი ისეთ გარემოებში, სადაც ამჟამად ასეთი კვლევები შედარებით ნაკლებია. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ INSPIRE რეგულარულად განახლდება ახალი მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ.

2

მტკიცებულების მიხედვით, დედების ან დედობილების მიმართ ძალადობის შესწორების/თვითხილვის შედეგად, მომავალში შესაძლო გაიზარდოს ბავშვის ძალადობაში ჩართვის რისკი (მაგ. 35-36). შესაბამისად, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემცირება მნიშვნელოვანი მიზანია, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებას.

**ცხრილი 1: INSPIRE-ის სტრატეგიები, მიდგომები და სექტორები, ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და  
მასზე რეაგირებისთვის**

სფრათებისა	მიდგომა	სეიონისა	ურთიერთ- მკვეთი პლატფორმა
 კანონმდებლობა და აღსრულება	<ul style="list-style-type: none"> <li>კანონები, რომლებიც კრძალავს მშობლების, მასწავლებლების და სხვა მზრუნველების მიერ ბავშვის ძალადობრივ დასკას;</li> <li>ბავშვებზე სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის კრიმინალიზაცია კანონით;</li> <li>ალკოჰოლის საზიანოდ გამოყენებასთან დაკავშირებული კანონები;</li> <li>კანონები, რომლებიც ზღუდავს ახალგაზრდებისთვის ცეცხლსასროლ და სხვა სახის იარაღებზე ხელმისაწვდომობას.</li> </ul>	მართლმსაჯულება	მრავალსექტორული მოქმედებები და კოორდინაცია
 ნორმები და ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> <li>დამოკიდებულების შეცვლა საზიანო გენდერული და სოციალური ნორმების მიმართ;</li> <li>თემის მობილიზაციის პროგრამები;</li> <li>მაყურებლის ჩართულობაზე მიმართული ინტერვენციები.</li> </ul>	კანმრთელობა, განათლება და სოციალური კეთილდღეობა	
 უსაფრთხო გარემო	<ul style="list-style-type: none"> <li>ძალადობის შემცირება „ცხელ წერტილებზე“ მუშაობით;</li> <li>ძალადობის გავრცელების შეჩერება;</li> <li>ნაშენი გარემოს გაუმჯობესება.</li> </ul>	შინაგან საქმეთა, დაგეგმარება	
 მშობლებისა და მზრუნველების მხარდაჭერა	<ul style="list-style-type: none"> <li>მხარდაჭერა ოჯახში ვიზიტებით;</li> <li>მხარდაჭერა თემში განვითარი შეხვედრების ორგანიზებით;</li> <li>მხარდაჭერა ყოვლისმომცველი პროგრამების საშუალებით.</li> </ul>	სოციალური კეთილდღეობა, კანმრთელობა	
 შემოსავლი და ეკონომიკური გაძლიერება	<ul style="list-style-type: none"> <li>ფულადი გადარიცხვები;</li> <li>კანვიტი დანაზოგები და სესხები, გენდერული თანასწორობის ტრენინგთან ერთად;</li> <li>მიკროფინანსები, გენდერული ნორმების ტრენინგთან ერთად.</li> </ul>	ფინანსები, შრომა	მონიტორინგი და შეფასება
 რეაგირება და მხარდაჭერი მომსახურებები	<ul style="list-style-type: none"> <li>კონსულტირება და თერაპიული მიდგომები;</li> <li>ინტერვენციებთან შერწყმული სკრინინგი;</li> <li>კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულლოვანთა რეაბილიტაციის პროგრამები მართლმსაჯულების სისტემაში;</li> <li>მინდგომით აღზრდა, სოციალური კეთილდღეობის მომსახურებებთან ერთად.</li> </ul>	კანმრთელობა, მართლმსაჯულება, სოციალური კეთილდღეობა	
 განათლება და სასიცოცხლო უნარები	<ul style="list-style-type: none"> <li>ბაღში, დაწყებითსა და საშუალო სკოლაში ჩარიცხულ ბავშვთა რაოდენობის გაზრდა;</li> <li>უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემოს შექმნა სკოლებში;</li> <li>ბავშვის ცოდნის ამაღლება სექსუალური ძალადობისა და მისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ;</li> <li>სასიცოცხლო და სოციალურ უნარების ტრენინგი;</li> <li>ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის პრევენციის პროგრამები მოზარდებისათვის.</li> </ul>	განათლება	



# INSPIRE - ის მანეორციელება

INSPIRE ფოკუსირებულია იმაზე, თუ რის გაკეთება შეუძლიათ ქვეყნებს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისათვის. INSPIRE-ის მომდევნო მასალაში დეტალურადაა განხილული მისი განხორციელება, მათ შორის მონიტორინგის ინდიკატორები შესრულებისა და შედეგების შეფასებისთვის.<sup>3</sup> (გ) ამავდროულად, INSPIRE: შვიდი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევისთვის გამოყოფს ზოგად მითითებებს, რომელთა გათვალისწინებაც განხორციელების პერიოდში ხელს შეუწყობს ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევისკენ მიმართული პროგრესის ზრდას.

## INSPIRE-ის სტრატეგიების გამოყენება კონფლიქტურ, პოსტკონფლიქტურ და სხვა ჰუმანიტარულ სიტუაციებში

INSPIRE-ის შვიდივე სტრატეგია შეიძლება მოერგოს ისეთ გარემოს, რომელსაც გადატანილი აქვს კონფლიქტი ან ბუნებრივი კატასტროფა. იგი მოიცავს რამდენიმე ინტერვენციას, რომელთა ეფექტიანობა ასეთ სიტუაციებში დადასტურებულია. თუმცა იმ სტრატეგიების, რომლებიც შეეხება სხვა სახის ისეთ საზოგადოებრივ პრობლემებს, როგორიცაა, მაგალითად, თამბაქოს, ნარკოტიკების და ალკოჰოლის მომარება, ფსიქიკური ჯანმრთელობა, დანაშაულის დონე, ავტოსაგზაო შემთხვევებისგან მიღებული დაზიანებები, განხორციელების წარმატება დამოკიდებული იქნება სტრატეგიასა და მოცემულ კონტექსტზე. ძირითადად იმის გამო, რომ ზოგიერთი პროგრამა არ არის სოციალურ სისტემებზე ან ფუნქციურ სამთავრობო სტრუქტურებზე დამოკიდებული, მათი ინტერვენცია შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ გარემოში. ასეთი ინტერვენციები მოიცავს მაგალითად, მშობლობის პროგრამებს, სასიცოცხლო უნარების ტრენინგ-პროგრამებს და მომსახურებებს ძალადობის მსხვერპლთათვის. მათგან განსხვავებით, ისეთი ინტერვენციების განხორციელება, რომლებიც საჭიროებს კანონის აღსრულებას სამართალდამცავი ორგანოებისა და მართლმასაჭულების სისტემების მიერ, რთული იქნება ისეთ გარემოში, სადაც კონფლიქტის ან ბუნებრივი კატასტროფის შედეგად განადგურებული და მოშლილია ასეთი სტრუქტურები.

<sup>3</sup>

INSPIRE-ის ეს დამხმარე მასალები დამუშავებულია და გამოცემულია INSPIRE განხორციელების სახელმძღვანელოს (2018) და INSPIRE ინდიკატორების სახელმძღვანელოს სახით. სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე.



# INSPIRE

## სტრატეგიული და მიზანმიერი

---



კანონმდებლობა და აღსრულება

**26**



ნორმები და ღირებულებები

**32**



უსაფრთხო გარემო

**38**



მშობლებისა და მზრუნველების მხარდაჭერა **44**



შემოსავლი და ეკონომიკური გაძლიერება

**50**



რეაგირება და მხარდაჭერი მომსახურებები

**56**



განათლება და სასიცოცხლო უნარები

**62**



# კანონმდებლობა და აღსრულება

მიზანი: კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფა იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ძალადობრივი ქცევა, შემცირდეს აღკორპორის ზიანის მომტანი დოზებით მიღება და შეიტღუდოს ახალგაზრდებისთვის ცეცხლსასროლ და სხვა სახის იარაღებზე ხელმისაწვდომობა



## დასაბუთება:

სამართლებრივი დაცვისა და პოლიტიკის განვითარება და გაძლიერება მათი აღსრულების საშუალებებთან ერთად ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისკენ გადაგმული გონივრული ნაბიჯია. კანონები, რომლებიც კრძალავს ძალადობრივ დასჭახასა და სექსუალურ ძალადობას, მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ეს საზოგადოებას აფყობინებს, რომ ძალადობრივი ქცევა არასწორია, რაც ხელს უწყობს იმ გავრცელებული ნორმების აღმოფხვრას, რომლებიც ამყარებს ასეთ ქცევას. მეორე მხრივ, ასეთი კანონები უზრუნველყოფს დამანაშავეთა პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებებზე. კანონები და პოლიტიკა ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას ბავშვთა მიმართ ძალადობის მთავარი რისკ-ფაქტორების შესამცირებლად (მაგალითად, ალკოჰოლის ზიანის მომტანი დოზებით მიღების შემცირება და მოზარდების ცეცხლსასროლ და სხვა სახის იარაღებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა).

ეს სტრატეგია ხელს უწყობს და, თავის მხრივ, მხარდაჭერილია აქტივობებით, იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) 3.5, 5.c და 16.3:

- 3.5 მავნე ნივთიერებების, მათ შორის ნარკოტიკულ ნივთიერებათა და ალკოჰოლის ავადმოხმარების პრევენციის გაძლიერება და მათი მკურნალობა.
- 5.c გენდერული თანასწორობის და ქალებისა და გოგონების ყველა დონეზე გაძლიერებისთვის მყარი პოლიტიკისა და აღსრულებადი კანონმდებლობის მიღება / გაძლიერება.
- 16.3 კანონის უზენაესობის ხელშეწყობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე და მართლმსახულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასთვის.

## კანონმდებლობის აღსრულების შესაძლო მავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებაზე:

- მშობლების, მზრუნველებისა და სხვა ავტორიტეტული პირების მიერ ბავშვებზე ფიზიკური ძალადობის შემცირება;
- ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემცირება, იძულებითი ან ზეწოლის შედეგად განხორციელებული სექსუალური აქტის, არასასურველი სექსუალური აქტის მცდელობის ან არასასურველი სექსუალური ხასიათის შეხების ჩათვლით;
- ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის, მათ შორის ტრეფიკინგის, პორნოგრაფიის და პროსტიტუციის შემცირება;
- ალკოჰოლის გადაჭარებული ოდენობით მიღების შემცირება;
- ცეცხლსასროლი იარაღით გამოწვეული სასიკვდილო და არასასიკვდილო დაზიანებების შემცირება;
- იმ სოციალური ნორმებისა და დამოკიდებულებების ზრდა, რომლებიც იცავს ბავშვებს ძალადობრივი დასჭივებას;
- იმ სოციალური ნორმებისა და დამოკიდებულებების ზრდა, რომლებიც იცავს ბავშვებს სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან;
- იმ სოციალური ნორმების და დამოკიდებულებების ზრდა, რომლებიც ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას.



## მიზანმიზნი

ეს სტრატეგია მოიცავს კანონების ორ ნაკრებს. პირველი შედგება იმ კანონებისა და ზომებისაგან, რომელთა შესრულებაც აკისრიათ გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის (CRC) ხელმომწერ სახელმწიფოებს. ეს კანონები სახელმწიფოებს ავალდებულებას, მიიღონ ყველა საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომა ბავშვების ძალადობისგან დასაცავად, მაშინ, როდესაც ისინი იმყოფებიან მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების ან სხვა ადამიანების მთრუნველობის ქვეშ (38). CRC ასევე მოიცავს კონკრეტულ ვალდებულებებსაც, რომლებიც ეხება, ბავშვთა დაცვას სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისგან ან დასკისა და სიკვდილით დასჯისგან, ისევე, როგორც სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციისგან. კანონთა მეორე ნაკრები ზღუდავს ხელმისაწვდომობას ალკოჰოლსა და ცეცხლსასროლ იარაღებზე ახალგაზრდებისათვის და მათ გამოყენებას. შედეგად, ის ამცირებს რისკებს, რომლებიც ზრდის ალბათობას, რომ ბავშვი გახდება ძალადობის მსხვერპლი ან მისი განმახორციელებული. გარდა ამისა, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებაში წვლილის შეტანა შეუძლია ისეთ კანონებს, როგორიცაა: კანონი ლტვილითა შესახებ, კანონები, რომელთა მიხედვითაც კრიმინალიზებულია ბავშვთა ქორწინება, იძულებითი შრომა, ტრეფიკინგი, ბავშვთა პორნოგრაფია და საზიანო პრაქტიკები.

### **მშობლების, მასწავლებლების ან სხვა მთრუნველების მიერ ბავშვთა ძალადობრივი დასკის ამკრძალავი კანონები**

**მტკიცებულება:** დაკვირვების მეთოდით ჩატარებული კვლევების შედეგად, ასეთ კანონებს შეუძლია ბავშვების ძალადობრივი დასკის შემცირება, ბავშვის მიმართ ძალადობრივი დასკის უარყოფითი გავლენის გაცნობიერება და დამოკიდებულების შეცვლა ამგვარი მეთოდების გამოყენების მიმართ (39-41). კვლევის შედეგების მიხედვით, სადაც შედარებული იყო ხუთი ევროპული ქვეყანა (სამში აკრძალულია ფიზიკური დასკა, ორში კი არა) აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა სახის ფიზიკური დასკა უფრო იშვიათად არის გამოყენებული იმ ქვეყნებში, სადაც ეს კანონმდებლობითაა აკრძალული, ვიდრე იქ, სადაც ასეთი ამკრძალავი კანონი არ არსებოს (42). უფრო მეტიც, ფიზიკური დასკისადმი მიმღებლობა უფრო დაბალი იყო იმ ქვეყნებში, სადაც ეს კანონით აკრძალულია (43). სისტემურმა მიმოხილვამ აჩვენა, რომ ოცდაოთხ ქვეყანაში ფიზიკური დასკის კანონით აკრძალვა ახლო კავშირში იყო ფიზიკური დასკის, როგორც ბავშვის აღზრდის მეთოდის, მხარდაჭერისა და გამოყენების შემცირებასთან (43). 2016 წლისთვის თითქმის ორმოცდაათ ქვეყანას ჰქონდა აკრძალული ბავშვთა ფიზიკური დასკის ყველა ფორმა, 52-მა კი აიღო მისი აკრძალვის ვალდებულება (44).



# ფიზიკური დასტის წინააღმდეგ მიმართული კანონი და კამპანია (შვედეთი)

1979 წელს შვედეთის პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა ბავშვთა და მშობელთა კოდექსში, რომლის შედეგადაც აიკრძალა ბავშვების მიმართ ფიზიკური დასტის ნებისმიერი ფორმა ან სხვა ემოციურად შეურაცხმყოფელი მოპყრობა. შვედეთი გახდა მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელიც უკრძალავს მშობლებს ბავშვის აღზრდის მეთოდად ფიზიკური დასტის ან სხვა დამამცირებელი მოპყრობის გამოყენებას.

მიუხედავად იმისა, რომ **ბავშვთა და მშობელთა კოდექსი** არ მოიცავს ჭარიმას, ისეთი ქმედება, რომელიც ჰდება თავდასხმის სამართლებრივ კრიტერიუმებში, დასტადია სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად. ადამიანი, რომელიც მიაყენებს ფიზიკურ ზიანს, ტკივილს ან დააავადებს სხვას, ანდა ჩააყენებს მას უძლურ ან უმშეო მდგომარეობაში, გასამართლებული იქნება თავდასხმისთვის და მიესჭრა პატიმრობა მაქსიმუმ ორ წლამდე. თუ დანაშაული ნაკლებად სერიოზულია, დანაშაულის ჩამდენი დაკარიმდება ან მიესჭრა პატიმრობა 6 თვემდე. თუ დადგინდა, რომ დანაშაული განსაკუთრებით სერიოზულია, შესაძლოა, დამნაშავეს შეეფარდოს პატიმრობა ათ წლამდე ვადით (45).

ბავშვებს ენიჭებათ იგივე უფლებები, რაც ზრდასრულებს, იმისათვის, რომ დაცულები იყვნენ ძალადობრივი და სხვა დამამცირებელი მოპყრობისგან. საკანონმდებლო ცვლილება, ეროვნულ საგანმანათლებლო კამპანიასთან ერთად, იყო ათლენლეულების მანძილზე მიმდინარე პროცესის შედეგი, რომელიც მოიცავდა სკოლებში ფიზიკური დასტის აკრძალვას. შვედების ძალისხმევამ მნიშვნელოვანი და გაზომვადი გავლენა მოახდინა ბავშვების ცხოვრებაზე: 35 წლის განმავლობაში იმ ბავშვთა რაოდენობა, რომელთათვისაც ხელი დაურტყამთ, 90%-დან 10%-მდე შემცირდა (45). ასევე, მშობლების მიერ ბავშვის ფიზიკური დასტის მიმღებლობა საზოგადოების მხრიდან 50%-იანი მაჩვენებლიდან შემცირდა და 10%-ზე ნაკლებია (45).



## ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და ბავშვთა ექსპლუატაციის

### ამკრძალავი კანონები

**მტკიცებულება:** CRC ადგენს პრინციპებს სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის შესახებ, რაც, შესაძლოა, ასახული იყოს შიდა კანონმდებლობაში. ბევრ ქვეყანას ასეთი კანონი უკვე აქვს, თუმცა მათი ძალა დამოკიდებულია კანონის აღსრულების ხარისხზე, ტერმინ „ბავშვის“ სამართლებრივ განმარტებაზე და, ასევე, იმაზეც, თუ რა მიიჩნევა სექსუალურ ძალადობად და ექსპლუატაციად. მაგალითად, იმის მიუხედავად, რომ პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში აკრძალულია გაუპატიურება, ასეთი კანონები, სრულად აღსრულებულია ქვეყნების ორ მესამედზე ნაკლებში. ისეთი კანონების აღსრულების დონე, რომელიც კრძალავს კონტაქტურ სექსუალურ ძალადობას (გაუპატიურების გარეშე) და არაკონტაქტურ სექსუალურ ძალადობას, კიდევ უფრო დაბალია (1).

### კანონები ალკოჰოლის საზიანოდ გამოყენების პრევენციისთვის

**მტკიცებულება:** ალკოჰოლის ჭარბი დოზით მოხმარება, ბავშვებზე და ბავშვთა შორის ძალადობის ყველა ფორმის დაძასტურებული გამომწვევი რისკ-ფაქტორია. ძალადობის ამ ფორმებს შორისაა: არასათანადო მოპყრობა ბავშვებთან, ფიზიკური და სექსუალური ძალადობა მოზარდი ბიჭებისა და გოგონების მიმართ და მიერ. ასევე, ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან (34). გლობალურად მოზარდი ბიჭების დაახლოებით 17% და მოზარდი გოგონების 6% ჭარბი დოზით მოიხმარს ალკოჰოლს ინგლისება, რომ გასული თვის მანძილზე ერთხელ მაინც მიიღო სუფთა ალკოჰოლი 60 ან მეტი გრამის ოდენობით (46). შესაბამისად, კანონებს და პოლიტიკას, რომელიც ზღუდავს ბავშვებისთვის ალკოჰოლზე ხელმისაწვდომობას და ზრდასრულთა და ბავშვთა მიერ ალკოჰოლის ჭარბი დოზით მოხმარებას, შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციაში.

1950-დან 2015 წლამდე გამოქვეყნებული სამეცნიერო კვლევების მიმოხილვის შედეგად დადგინდა, რომ ალკოჰოლის ფასის ზრდა, გაყიდვის დღეების შეზღუდვა და ალკოჰოლის სარეალიზაციო პუნქტების შემცირება კავშირშია ინტერპერსონალური ძალადობის მნიშვნელოვნად შემცირებასთან (47). გარდა ამისა, მიმოხილვის მიხედვით პოლიტიკის ისეთი მცირე ცვლილებებიც კი, როგორიცაა ალკოჰოლის ფასის 1%-ით გაზრდა, მაღაზიის დახურვის დროის შეცვლა 1 საათით და ალკოჰოლის სარეალიზაციო პუნქტების რაოდენობის შემცირება, მნიშვნელოვნად ამცირებს ძალადობას. უფრო მეტიც, ალკოჰოლის გაყიდვაზე ასაკობრივი შეზღუდვის დაწესება ეფექტუანად ამცირებს ალკოჰოლის მოხმარებას ახალგაზრდებში (48). რაც უფრო მაღალ ასაკზეა დაწესებული ასაკობრივი შეზღუდვა მით უფრო სავარაუდოა, რომ მოზარდების მიერ ალკოჰოლის მიღება შემცირდება, ვიდრე დაბალ ასაკზე შეზღუდვის შემთხვევაში (49). ქვეყნების უმეტესობაში ალკოჰოლის შესყიდვის კანონით განსაზღვრული ასაკობრივი ზღვარი არის 18 წელი, თუმცა ამ კანონის აღსრულების დონე სხვადასხვა ქვეყანაში (46) მნიშვნელოვნად განსხვავდება.




## **კანონები, რომელიც ზღუდავს ახალგაზრდების ხელმისაწვდომობას ცეცხლსასროლ და სხვა იარაღებზე**

**მტკიცებულება:** ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების, ფლობის და ყიდვის ასაკობრივი ზღვარი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, თუმცა ძირითადად ქვედა ზღვარი არის 18 წელი. იმ ინტერვენციების სისტემური მიმოხილვის (50) შედეგად, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ შეამციროს იარაღის უკანონო ფლობის და ტარების შემთხვევები, აღმოჩნდა, რომ პოლიციის მიზანმიმართულ პატრულირებას, რომელიც ფოკუსირებულია იარაღის არაკანონიერ ტარებაზე, შეუძლია შეამციროს იარაღით ჩადენილი დანაშაულები (მათ შორის მკვლელობა, სროლა, იარაღით განხორციელებული ძარცვა და თავდასხმა).

სხვა სახის ინტერვენციები, როგორიცაა მაგალითად, იარაღზე **ბავშვთა ხელმისაწვდომობის პრევენციის კანონი (CAP)** (რომლის მიხედვითაც, იარაღის მფლობელი პირია პასუხისმგებელი ბავშვის მიერ ისეთი იარაღის მოპოვებაზე, რომელიც არ იყო უსაფრთხოდ შენახული) ამერიკის შეერთებულ შტატებში დაკავშირებულია ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული დაზიანებების შემცირებასთან. მაგალითად, აშშ-ს 11 შტატის (საიდანაც შვიდს მიღებული ჰქონდა CAP კანონი 1988-დან 2003 წლამდე შუალედში) მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელებული ხანგრძლივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ CAP კანონები დაკავშირებული იყო 18 წლამდე ბავშვებში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული არასასიკვდილო დაზიანებების რიცხვის შემცირებასთან. თუმცა მათი უმეტესობა იყო შემთხვევითი დაზიანება, და მიგნებები, რომელიც დაკავშირებული იყო მკვლელობასა და სხვა ძალადობრივ ქმედებებთან, იყო არათანმიმდევრული და სუსტი (51).

სხვა კანონებისა და პოლიტიკის მაგალითად, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა სკოლებში; ლიცენზირების ვალდებულება; თემის ფარგლებში და თემებს შორის იარაღის არაკანონიერი გავრცელების ამკრძალავი კანონები) შედეგების მტკიცებულება მთელ მსოფლიოში სხვადასხვანაირია (52). თუმცა, ახალი სამხრეთათვრიკული კვლევის თანახმად, ლიცენზიის გამკაცრებულმა გაცემამ და იარაღის არაკანონიერი გავრცელების შემცირებამ 2001-2005 წლებში სიკვდილისგან იხსნა დაახლოებით 4585 ადამიანი, ხუთ დიდ ქალაქში იარაღით გამოწვეული სიკვდილის შემცირება განსაკუთრებით შესამჩნევი იყო 15-დან 29 წლამდე ასაკის კაცებში) (53). შესაბამისად, მოზარდების ცეცხლსასროლ იარაღზე წვდომის საკითხზე მუშაობა პერსპექტიულია, თუმცა საჭიროა ამ მხრივ მეტი კვლევის ჩატარება, იმისათვის, რომ მოიძებნოს ყველაზე ეფექტუანი გზები იარაღის არაკანონიერი ფლობის, ტარებისა და გამოყენების პრევენციისათვის.



# ნორმები და ღირებულებები

მიზანი: ისეთი ნორმებისა და ღირებულებების გაძლიერება,  
რომლებიც ხელს შეუწყობს არაძალადობრივ, პატივისცემით,  
მზრუნველ, პოზიტიურ და გენდერულად თანასწორ ურთიერთობებს  
ბავშვებისა და მოზარდებისთვის



## დასაბუთება:

საზოგადოებაში გავრცელებული დამოკიდებულებებისა და ნორმების შეცვლა ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის მნიშვნელოვანი ნაწილია [6], რომელიც ხშირად საჭიროებს მყარად ფესვგადმული სოციალური და კულტურული ნორმებისა და ქცევების შეცვლას. განსაკუთრებით კი ისეთებისა, რომელთა მიხედვითაც ძალადობის ზოგიერთი ფორმა არა მხოლოდ ნორმალურია, არამედ ხანდახან მათი გამართლებაც შეიძლება (54). მაგალითად, მასწავლებელი სცემს ბავშვს, იმიტომ რომ ძალადობრივი დასკა ლეგიტიმურად აღიქმება; გოგონები იძულებული არიან, დაამყარონ სექსუალურ კონტაქტი, რადგან ბიჭებისა და კაცებისგან გრძნობენ სექსუალურ უპირატესობას; ბავშვთა ქორწინება ან ცოლის ცემა აღქმულია ნორმად; თანატოლი ბიჭების მიერ მათზე უმცროსების იძულება, ჩართონ ჯგუფურ ძალადობაში, რომელიც ერთგვარი რიტუალია მათ ჯგუფში გაერთიანებისთვის; გოგონები და ბიჭები სტიგმისა და სირცხვილის შიშით არ აცხადებენ ძალადობის შესახებ.

შესაბამისად, დამოკიდებულებების და სოციალური ნორმების შეცვლის სტრატეგია INSPIRE-ის საკვანძო ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ მისი შეფასება ძნელია, ნორმების შესაცვლელად განსაკუთრებით ეფექტურიანია თემის ან პატარა ჯგუფების დონეზე აქტივობები, მაშინ როდესაც ისინი კომბინაციაში არიან სხვა ისეთ ელემენტებთან როგორიცაა კანონმდებლობა ან სასიცოცხლო უნარების ტრენინგი.

ეს სტრატეგია ხელს უწყობს და, თავის მხრივ, მხარდაჭერილია აქტივობებით, იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) 4.7 და 5.1:

- 4.7 2030 წლისთვის ყველა მონაწილეს ჰქონდეს ის ცოდნა და უნარები, რაც სჭირდება მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის. მათ ეს ცოდნა უნდა მიიღონ ისეთი საგანმანათლებლო აქტივობებიდან, რომლებიც ეხება მდგრად განვითარებას, ადამიანის უფლებებს, გენდერულ თანასწორობას, მშვიდობიანი და არაძალადობრივი კულტურის ხელშეწყობას, გლობალურ მოქალაქეობას, კულტურული მრავალფეროვნების და მდგრად განვითარებაში კულტურის წვლილის დაფასებას.
- 5.1 ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა ყველაზე.

## ნორმებისა და ღირებულებების შეცვლის შესაძლო მავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებაზე:

- ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის მიმღებლობის შემცირება;
- ადრეული და იძულებითი ქორწინების შემცირება;
- უფრო კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის და შრომის დანაწილების გენდერული ბალანსის დაცვის მიმართ;
- უფრო კეთილგანწყობილი დამოკიდებულება აღმრდის არაძალადობრივი მეთოდების მიმართ;
- ცნობიერების გაზრდა, თუ რა ითვლება ძალადობრივ ქცევად ინტიმური პარტნიორის და ბავშვების მიმართ;
- მაყურებლის ჩართულობის გაზრდა ბავშვთა მიმართ და ინტიმურ პარტნიორთა მხრიდან ძალადობის პრევენციაში;
- მშობლის ან ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შემთხვევების შემცირება.



## მიზანმიზნი

იმ პროგრამების და პოლიტიკის შეფასების შედეგად, რომელიც ცვლის პოტენციურად დამაზიანებელი მშობლობის პრაქტიკებსა და გენდერულ ნორმებს, დადგინდა, რომ პერსპექტიულ მიდგომებს შორისაა ზიანის მომტანი გენდერული და სოციალური ნორმების ცვლილება, თემის მობილიზების პროგრამები და მაყურებლის ჩართულობაზე მიმართული ინტერვენცია. ეს მიდგომები მედიასთან, სოციალური მობილიზაციის კამპანიებთან და მხარდამჭერ მომსახურებებთან ერთად წარმატებით უწყობს ხელს ძალადობის შემთხვევებზე შეტყობინების გაუმჯობესებას და ისეთი კანონებისა ამოქმედებას, რომელიც ძალადობის გარკვეულ ფორმებს დასკად დანაშაულად აქცევს (54).

### საზიანო გენდერული და სოციალური ნორმებისადმი დამოკიდებულების შეცვლა

**მტკიცებულება:** მცირე ჰასტური პროგრამები, რომელთა სამიზნეც არიან, როგორც ზრდასრული ქალები და კაცები, ასევე მოზარდი გოგონები და ბიჭები, აჩვენებს ძალადობის პრევენციის მნიშვნელოვან შედეგებს (55-59). ინდოეთში, იმ კაცების მიერ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ეროგრამაში **Yeari-Dosti**, 20-30%-ით შემცირდა ძალადობა ინტიმური პარტნიორზე (59). აშშ-ში, იმ კაცებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროგრამაში **Coaching Boys Into Men**, ინტერვენციიდან 24 თვის შემდეგ, ინტიმური პარტნიორის მიმართ ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის 38%-ით ნაკლები შემთხვევა დააფიქსირეს (59, 60). პროგრამა ასევე უზრუნველყოფს სკოლის სპორტის მასწავლებლებს იმ რესურსებით, რომლებიც საჭიროა მოთამაშებს შორის ღირსეული ქცევის ხელშეწყობისა და ძალადობრივი ურთიერთობის, შევიწროებისა და სექსუალური ძალადობის პრევენციისთვის. შედეგად, პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო მაყურებლის მიერ სიტუაციაში ჩართვის ნების გაზრდა. პროგრამა განხორციელდა აშშ-ს, ინდოეთის და სამხრეთ აფრიკის სხვადასხვა თემში.

ნეპალში განხორციელებული პროგრამის **Choices** მიზანია, ხელი შეუწყოს 10-14 წლის ბიჭებსა და გოგონებში ისეთი თემების განხილვას, რომლებიც დაკავშირებულია ძალაუფლებასა და გენდერთან. ჩატარდა კვლევა პროგრამის მონაწილე და არამონაწილე ბავშვებში, რომლის შედეგადაც შეიძლება დასკვნათ, რომ **Choices**-ში მონაწილეობამ გააფართოვა გენდერული როლების აღქმა; მაგალითად, აღიქვეს ქალები, როგორც საარსებო წყაროს მომშოვებლები და კაცები, როგორც მზრუნველები. ასევე, პროგრამა შესაძლოა, დახმარებოდა მონაწილეების იმის გაცნობიერებაში, რომ სექსუალური შევიწროება ანდა იმ ბიჭების დაცინვა, რომლებიც გამოდიან არსებული „გენდერული ჩარჩოებიდან“, შეუსაბამო ქცევაა (61).



# ბავშვთა ქორწინების აღმოფხვრა:

## 23 პროგრამის კვლევა

ბავშვთა ქორწინებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს გოგონებისა და ქალების მიმართ ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან, სიკვდილი მშობიარობისას, ორსულობასთან დაკავშირებული გართულებები (62), ახალშობილთა სიკვდილიანობა (63) და ახალშობილის დაბადება ნორმაზე ნაკლები წონით (64). ბავშვთა ქორწინება ძირითადად გავრცელებულია მოზარდ გოგონებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მოზარდი გოგონები უფრო ხშირად ქორწინდებიან ბავშვობაში, ვიდრე მოზარდი ბიჭები (65, 66). მსოფლიო მონაცემებით დაახლოებით 60 მილიონზე მეტი, 20-24 წლის ქალი, იქამდე დაქორწინდა, ვიდრე 18 წლის გახდებოდა (67). ბავშვთა ქორწინების გავრცელება სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია. ყველაზე ხშირია დასავლეთ აფრიკაში, შემდეგ სამხრეთ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და ლათინურ ამერიკაში (68).

ქალთა კვლევების საერთაშორისო ცენტრის მიერ 2011 წელს ჩატარებულ მიმოხილვაში (69) აღნიშნულია ბოლო ათწლეულის განმავლობაში ისეთი ინტერვენციების რიცხვის მატება, რომლებიც უშუალოდ ეხება ბავშვთა ქორწინებას. თუმცა იქვე ისიცაა აღნიშნული, რომ მათგან ძალიან ცოტა შეფასდა სისტემურად. 23 შეფასებული პროგრამის ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მხოლოდ გარკვეული პროგრამები მუშაობდნენ ექსკლუზიურად ბავშვთა ქორწინებაზე. პროგრამათა უმეტესობაში ბავშვთა ქორწინება შეტანილი იყო სხვა საკითხებთან ერთად, რომელთა მიზანიც იყო, მიეღწიათ მოზარდების ჰანმრთელობის, კეთილდღეობის ან გაძლიერებისთვის. ბავშვთა ქორწინების შეფასებული პროგრამები მქიდროდ კონცენტრირებული აღმოჩნდა სამხრეთ აზიაში, განსაკუთრებით კი ბანგლადეშსა და ინდოეთში. მტკიცებულებების ბაზის შექმნაში წვლილი შეიტანეს აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა, ეთიოპიამ და ეგვიპტემაც (70).

ბავშვთა ქორწინების პრევენციისთვის პროგრამები ძირითადად ახორციელებდნენ ხუთი ძირითადი სტრატეგიდან ერთს ან მეტს: გოგონების გაძლიერება ინფორმაციით, უნარები და თანადგომის ქსელი, მშობლებისა და თემის წევრების განათლება და მობილიზება, გოგონებისთვის ფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის უზრუნველყოფა, გოგონებისა და მათი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერა, ხელშემწყობი სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს წახალისება. მიმოხილვამ დაადგინა, რომ შეფასების დიზაინების უმეტესობა სუსტი იყო, თუმცა ბავშვთა ქორწინების შემცირებისთვის ყველაზე ძლიერი და თანმიმდევრული შედეგები შეიმჩნეოდა ისეთი პროგრამებში, რომლებიც მუშაობდა ინფორმაციის მიწოდებაზე, უნარების გაძლიერებასა და სოციალური მხარდაჭერის ჩამოყალიბებაზე, თემის მობილიზაციის პროგრამებთან კომბინაციაში (69).



## თემის მობილიზაციის პროგრამები

**მტკიცებულება:** უგანდაში პროგრამა **SASAI** („ახლა!“) ძლიერი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ნორმები თემზე დაფუძნებული მიღებების მეშვეობით, ქალებზე ძალადობის პრევენციისთვის (71). იმ თემებში, სადაც პროგრამაში მონაწილეობდნენ ქალები და კაცები, ქალთა მიმართ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა 52%-ით შემცირდა, ასევე დაიკლო ძალადობის მიმართ საზოგადოებრივმა მიმღებლობამ. ინტიმური პარტნიორის მხრიდან ქალებზე ძალადობის შემთხვევებში კი, თემის მხრიდან შესაბამისი ზომების მიღების რაოდენობა გაორმაგდა. ასევე, პროგრამის შემდგომ განხორციელებული კვლევის მიხედვით ბავშვებს პროგრამაში სამშაგი სარგებელი მოუტანა (მაგალითი 1).

სამხრეთ აფრიკაში, ოჯახში ძალადობის შესახებ თემის ცოდნის ამაღლების მიზნით, გასართობ-შემცნებითი გზით განხორციელდა **Soul City**-ის ინტერვენცია. ინტერვენციამ მოიცვა მოსახლეობის 86%, 25% და 65% ტელევიზიონის, საინფორმაციო ბროშურებისა და რადიოს საშუალებით. შეფასების შედეგად ნათელი გახდა ოჯახში ძალადობის თემაზე გადაღებულ **Soul City**-ს მეოთხე სეზონსა და მხარდამჭერ მომსახურებებზე გაზრდილ ცოდნას შორის კავშირი; გამოკითხულთა 41%-მა იყოდა **Soul City**-ის დახმარების ხაზის შესახებ (74). შეიცვალა დამოკიდებულებებიც: 10%-ით გაიზარდა რესპონდენტთა რაოდენობა, რომ ძალადობა ოჯახში პირადი საკითხია. ინტერვენციამ ასევე შექმნა მულტიმედიური პროექტი სახელად **Soul Buddyz**, 8-დან 12 წლამდე ბავშვებისთვის. პროექტი აერთიანებდა სატელევიზიო, რადიო და ინტერაქტუული შინაარსის მასალას, რომელიც შეიცავდა ბავშვებისთვის პოტენციურად სიცოცხლის მხსნელ მესიჯებს, იქამდე, ვიდრე ისინი დაიწყებდნენ აქტიურ სექსუალურ ცხოვრებას. პროექტი მოიცავდა ბულინგთან, რასიზმთან, ძალადობასთან გამკლავების სტრატეგიებს, ასევე ეხებოდა სექსუალურ ცხოვრებასა და აივ ინფექცია/შიდს (75).

## მაყურებლის ჩართულობაზე მიმართული ინტერვენციები

**მტკიცებულება:** ექსპერიმენტულმა შეფასებამ აჩვენა, რომ პროგრამებმა, როგორებიცაა **Bringing in the Bystander** და კენტუაის უნივერსიტეტის (საშტ) ძალადობის პრევენციის პროგრამა **Green Dot**, გააძლიერა მოზარდები ძალადობის შემთხვევების პრევენციასა და მასზე რეაგირების მხრივ (76, 77). ინტერპერსონალური ძალადობის ვიქტიმიზაციის დონე (რომელიც წინა სასწავლო წელს გაიზომა), 17%-ით ნაკლები იყო იმ სტუდენტებში, რომლებმაც გაიარეს ეს პროგრამები (46%), ვიდრე სხვა სტუდენტებში (56%). სექსუალური შევიწროების, ადევნების და ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის მაჩვენებელი უფრო დაბალი იყო იმ უნივერსიტეტებში, სადაც ინტერვენცია განხორციელდა (78). ასევე სტუდენტები (როგორც გოგონები, ასევე ბიჭები) იმ კოლექტებისა, რომლებიც ახორციელებდნენ პროგრამა **Green Dot**-ს აღნიშნავდნენ ძალადობის მსხვერპლობის შემცირებულ შემთხვევებს. ბიჭები მიუთითებდნენ ძალადობის ჩადენის სიხშირის შემცირებას იმ კოლექტებთან შედარებით, სადაც პროგრამა არ მოქმედებდა.




### მაგალითი 1

## SASA!, (უგანდა)

Raising Voices-ის მიერ შედგენილი და უგანდაში, კამპალაში ოჯახში ძალადობის პრევენციის ცენტრის მიერ განხორციელებული მიდგომის, **SASA!**-ს მიზანია, შეცვალოს თითოეული ადამიანის დამოკიდებულება, თემის ნორმები და სტრუქტურები, მთლიანი თემის მხარდაჭერით, ცვლილების ეტაპობრივი პროცესით.

დასაწყისისთვის შეირჩნენ და ტრენინგი ჩაუტარდათ თემის აქტივისტებს (CAs) - ჩვეულებრივ კაცებსა და ქალებს, რომლებსაც სურდათ ძალადობის პრევენციაზე მუშაობა, ასევე პოლიციელებს, ჰანდაცვის მუშაკებს, ინსტიტუციურ, ადგილობრივ სამთავრობო და კულტურულ ლიდერებს. ტრენინგზე იმართებოდა დისკუსია კნების „ძალაუფლება“ შესახებ. მას შემდეგ, რაც თემის აქტივისტები გაეცნობიან ძალაუფლების აღქმის ახალ გზებს და დაფიქრდებიან გენდერზე დაფუძნებულ ძალაუფლების დისბალანსზე საკუთარ ცხოვრებასა და თემში, მათ აქვთ მხარდაჭერა იმისათვის, რომ განახორციელონ იგივე კრიტიკული რეფლექსია საკუთარ თემში, რომელიც შეხება არა მხოლოდ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას კაცებისა და ქალების მიერ (რასაც ცუდი შედეგები მოჰყვება, როგორც მათი ურთიერთობების დონეზე, ასევე თემისთვის), არამედ იმასაც, თუ როგორ გამოიყენონ ძალაუფლება პოზიტიურად, რათა ხელი შეუწყონ ცვლილებებს ინდივიდუალურ და თემის დონეზე.

თემებში, სადაც 18-დან 49 წლამდე კაცებმა და ქალებმა მონაწილეობა მიიღეს SASA!-ს თემზე დაფუძნებულ შემთხვევითი საკონტროლო ჰანგის ექსპერიმენტში, ქალები განიცდიდნენ 52%-ით ნაკლებ ფიზიკურ ძალადობას ინტიმური პარტნიორის მხრიდან; კაცები და ქალები ასევე აფიქსირებდნენ საზოგადოების მხრიდან ძალადობის მიმღებლობის შემცირებას (71-72). პროგრამის შემდეგმა კვლევამ შეისწავლა, ჰქონდა თუ არა პროგრამას გავლენა ბავშვებზე ძალადობაზეც. დაგინდა, რომ მან გავლენა მოახდინა სამი ძირითადი მიმართულებით. პირველი, რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემცირების შედეგად, 64%-ით შემცირდა ბავშვთა მიერ ასეთი ძალადობის შესწრება/თვითხილვა საკუთარ სახლში. მეორე, თვისებრივი მონაცემების მიხედვით ქალები, რომლებიც უფრო იშვიათად იყვნენ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი, ზოგჯერ ცვლიდნენ მშობლობისა და აღზრდის მიდგომებს, რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებდა ურთიერთობებს მშობელსა და შვილს შორის (ზოგიერთმა მშობელმა საერთოდ უარი თქვა აღზრდის მეთოდად ძალადობრივი დასკის გამოყენებაზე). მესამე, ზოგიერთმა მონაწილემ დააფიქსირა, რომ ჩაერია ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში და მოახდინა მისი პრევენცია (73).



# უსაფრთხო მარეობა

---

მიზანი: ისეთი ნორმებისა და ღირებულებების გაძლიერება,  
რომლებიც ხელს შეუწყობს არაძალადობრივ, პატივისცემით,  
მზრუნველ, პოზიტიურ და გენდერულად თანასწორ ურთიერთობებს  
ბავშვებისა და მოზარდებისთვის



## დასაბუთება:

თემში უსაფრთხო გარემოს შექმნა და შენარჩუნება მნიშვნელოვანი სტრატეგიაა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებისთვის. ის კონცენტრირებულია თემის გარემოს ამაღლებაზე, ოჯახისა და სასკოლო გარემოს გამოკლებით, რადგან სახლების და სკოლების თემა შესულია შემდეგ სტრატეგიებში: „მშობლებისა და მშრუნველების შეარდაჭერა“ და „განათლება და სასიცოცხლო უნარები“. უსაფრთხო გარემოს სტრატეგია ფოკუსირებულია თემის სოციალური და ფიზიკური გარემოს შეცვლაზე (და არა მასში მცხოვრები ინდივიდების შეცვლაზე), იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს პოზიტიურ ქცევას და შეაჩეროს ზიანის მომტანი ქცევები. ის მტკიცებულებები, რომელიც მხარს უჭერს ძალადობის პრივატული მცხოვრებების თემის დონეზე ინტერვენციებს, მიღწეულ შედეგებს არ ყოფს ასაკის მიხედვით. შესაბამისად, სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეფექტიან, თემზე დაფუძნებულ ინტერვენციებს თანაბარად დადებითი გავლენა აქვს ბავშვებზე, ახალგაზრდებსა და ზრდასრულებზე.

ეს სტრატეგია ხელს უწყობს და, თავის მხრივ, მხარდაჭერილია აქტივობებით, იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) 11.1 და 11.7:

- 11.1 2030 წლისთვის, უზრუნველყოფილია ყველასთვის ადეკვატური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საცხოვრებლი და ძირითადი მომსახურებები;
- 11.7 2030 წლისთვის უზრუნველყოფილია უსაფრთხო, ინკლუზიური და გამწვანებული საჯარო სივრცეები და მათზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით კი ქალების, ბავშვების, მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

## უსაფრთხო გარემოს შესაძლო გავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებაზე:

- თავდასხმასთან დაკავშირებული დაზიანებების შემცირება;
- გაზრდილი უსაფრთხოება თემში გადაადგილებისას.



# მიდგომები

მტკიცებულების თანახმად, უსაფრთხო გარემოს შექმნას და შენარჩუნებას ხელს უწყობს შემდეგი მიდგომები: მიზნობრივი ინტერვენციები, რომლებიც ფოკუსირებულია თემში არსებულ ძალადობის „ცხელ წერტილებზე“, ძალადობის გავრცელების შეჩერება და ნაშენი გარემოს გაუმჯობესება. გარდა ამისა, ისეთი დაწესებულებები, როგორიცაა ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებები, ბავშვთა სახლები, პოლიციის განყოფილებები და დაკავების ცენტრები, ბავშვებისთვის უსაფრთხო უნდა გახდეს. კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების დაცვა აუცილებელია, და იმის მიუხედავად, რომ ეს საკითხი სცდება ამ პაკეტის ფარგლებს, აუცილებელია, რომ კანონმდებლობამ პოლიტიკამ და პროგრამებმა უზრუნველყოს ბავშვებს ხელი მიუწვდებოდეთ სამართლიან, ეფექტურან და ბავშვთა მიმართ მერძნობიარე მართლმსაკულების სისტემაზე, რომელიც ხელს უწყობს არასაპატიმრო ღონისძიებებს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ (79).

## ძალადობის შემცირება „ცხელ წერტილებზე“ მუშაობით

**მტკიცებულება:** ბრაზილიაში (80), კანადაში (81), სამხრეთ აფრიკასა (82) და აშშ-ში (83) ჩატარებული კვლევების თანახმად, მოზარდთა ძალადობის მრავალი შემთხვევა ხდება კონკრეტულ ადგილებში (მაგალითად, კონკრეტულ ქუჩებში, კლუბებსა და ბარებში). შედეგად, ძალადობა შესაძლებელია შემცირდეს, თუ პრევენციის ზომები სისტემურადაა ფოკუსირებული ამ „ცხელი წერტილების“ აღმოფხვრაზე (მაგალითი 2). სისტემურად მიმოხილული იქნა ათი შემთხვევითად კონტროლირებული ექსპერიმენტი, რომლებიც ეხებოდა ცხელ წერტილებში საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის, ძალადობრივი დანაშაულის და არეულობის აღმოფხვრის მიზნით პატრულირების გავლენას. შედეგად, გამოიკვეთა, რომ ამგვარი დანაშაულის დონე პატრულირების შედეგად შემცირდა. უნდა აღინიშნოს, რომ მიმოხილვაში გათვალისწინებული იქნა დანაშაულისა და ძალადობის შესაძლო გადაანაცვლებაც ახლომდებარე ადგილებში. მან ასევე შეაფასა ცხელ წერტილებში პატრულირების სტრატეგიის მუშაობა პრობლემაზე ორიენტირებულ პატრულირების სტრატეგიასთან ერთად და დაასკვნა, რომ ამ ორი მიდგომის შერწყმა ერთად უფრო განაპირობებდა დანაშაულისა და ძალადობის შემცირებას, ვიდრე ცალ-ცალკე (84).



## მაგალითი 2

# პარდიფის მოდელი (უელსი)


**კარდიფის მოდელი** ძალადობის პრევენციისთვის (85, 86) მოიცავს უელსის ქალაქ კარდიფში, საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტში, ძალადობასთან დაკავშირებული დაზიანებების მკურნალობის ანონიმური მონაცემების შეგროვებას („ვინ, რა, როდის, სად და როგორ“); და მის კომბინირებას პოლიციის მიერ აღრიცხულ ძალადობასთან დაკავშირებული შემთხვევების მონაცემებთან. ჭანდაცვებისა და პოლიციის მონაცემების კომბინირება ძალადობის მომავალი შემთხვევების უფრო ზუსტი პროგნოზირებისა და ძალადობის ცხელი წერტილების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. მონაცემები ასევე გამოიყენება პატრულირების და სხვა ინტერვენციების შექმნისა და საჭიროებისამებრ მიმართვისთვისაც. მოდელი მოიცავს:



- მიზანმიმართულ პატრულირებას, სადაც პოლიციის დანაყოფის მიმართება შესაბამება ძალადობის დროსა და ადგილს კონკრეტულ ცხელ წერტილებში;
- ისეთი ადგილების გაკონტროლებას, სადაც აქვთ ალკოჰოლის გაყიდვის ლიკენზია და ისინი დაკავშირებულია ძალადობის შემთხვევებთან;
- ალკოჰოლის გაყიდვის ლიკენზირებისთვის განაცხადის შეტანის ან საჩივრის შესახებ ინფორმირებას;
- სტრატეგიების შექმნას სპეციფიკური იარაღის ტიპებთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად (მაგალითად, პლასტმასის ჭიქების გამოყენების წახალისება და ბოთლების შემცირება);
- საზოგადოებრივი კანდაცვისა და სოციალური სტრატეგიების შესახებ ინფორმირებას, მაგალითად, ნარკოტიკებთან და ალკოჰოლთან დაკავშირებული მომსახურებების შესახებ.

კარდიფის მოდელის შეფასებამ გაზომა მისი გავლენა გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტის მიერ მიღებულ ძალადობასთან დაკავშირებულ დაზიანებებსა და პოლიციის მიერ აღრიცხულ ძალადობაზე გარკვეული დროის შემდეგ. ეს რიცხვები შედარებულ იქნა დიდი ბრიტანეთის იმ ქალაქებს, სადაც ასეთი ინფორმაციის გაცვლა არ განხორციელებულა. შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ ამ სტრატეგიამ გამოიწვია ჰოსპიტალიზების შემთხვევების 42%-ით კლება და პოლიციის მიერ აღრიცხული ქრილობის მიყენების შემთხვევების 32%-ით შემცირება სხვა ქალაქებთან შედარებით (დიაგრამა 5). კარდიფში მოდელის განხორციელებამდე არსებული ძალადობით მიღებული დაზიანებების მაღალი დონე მოზარდებში იმის ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ მიღებული შედეგად მოზარდებს შორის ძალადობამ იკლო. კარდიფის მოდელის დანახარჯ-ეფექტურობის ანალიზის მიხედვით, 2007 წელს, ჟაახლოებით 6.9 მილიონი ფუნტით შემცირდა ძალადობასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური დანახარჯები (86).

#### დიაგრამა 5: კარდიფის მოდელის განხორციელების შემდეგ ძალადობასთან დაკავშირებული დაზიანებების შემცირება



წყარო: (85)



## ძალადობის გავრცელების შეჩერება

**მტკიცებულება:** ჩიკაგოში, ბალტიმორში, ბრუკლინშა და ნიუ-იორკში ჩატარებული რამდენიმე კვაზი-ექსპერიმენტული შეფასების მიხედვით (87-90), თემებში, სადაც პროგრამა Cure Violence სრულად განხორციელდა შედეგად შემცირებულია სროლის, მკვლელობების და ნინაღმდეგობის გაწევის დროს სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ასევე აღსანიშნავია ძალადობის შემცირება 20-70% პროცენტით. საზოგადოებრივი ჰანდაცვის მიღებობის გამოყენებით, რომელიც ხშირად დავადებების გავრცელების შესაჩირებლად გამოიყენება, მოდელი Cure Violence ახდენს ძალადობის, როგორც გადამდები დაავადების კონცენტრაციას, და მის შესაჩირებლად სამ ძირითად კომპონენტს იყენებს: 1) თემში მისი გავრცელების შეჩერებას; 2) თემში მისი გავრცელების პრევენციას; და 3) თემის იმ ნორმებისა და პირობების შეცვლას, რომელიც ხელს უწყობს გავრცელებას. Cure Violence-ის მიზანია ცეცხლსასროლი იარაღით განხორციელებული ძალადობის მაღალი რისკის შემცველი უბნების უსაფრთხოების გაზრდა. მან განსაკუთრებით ეფექტუანად იმოქმედა ცეცხლსასროლი იარაღით განხორციელებული ძალადობის შემცირებაზე თემის ცხელ წერტილებში. უფრო კონკრეტულად, ეს მოდელი ასაქმებს სპეციალურად გადამზადებულ, მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ინდივიდებს. ისინი ამყარებენ კონტაქტს მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ახალგაზრდებთან, რათა ამოიცნონ და შეაჩირონ კონფლიქტები, გადაამისამართონ შესაბამისი მომსახურებებში და შეცვალონ საზოგადოებაში ძალადობის მიმღებლობასთან დაკავშირებული გავრცელებული რწმენა. ერთ-ერთი შეფასების მიხედვით, მოდელმა მოკლე დროში შესამჩნევად შეამცირა ძალადობის გამოყენების მიმღებლობის დონე (დამოკიდებულებების და ნორმების შეცვლა), როგორც პროგრამის მონაწილეებს, ასევე თემში მცხოვრებ მოზარდებს შორის. სხვა თემებთან შედარებით, თემებში, სადაც განხორციელდა პროგრამა, მოზარდები ნაკლებად მიმართავდნენ ძალადობას კონფლიქტების მოსაგვარებლად პროგრამის დასრულებიდან 6 თვის და 17 თვის შემდეგაც (88). Cure Violence მოდელი, 2016 წელს ხორციელდებოდა რვა ქვეყნის 22 ქალაქში (იხილეთ <http://cureviolence.org/resources/cure-violence-resources/>).

## ნაშენი გარემოს გაუმჯობესება

**მტკიცებულება:** დანაშაულის პრევენცია გარემოს დიზაინით (CPTED) მზარდი სფეროა, რომელიც ქმნის პერსპექტიული ინტერვენციების მტკიცებულებას (მაღალი და ზოგიერთი დაბალი და საშუალოშემოსავლიანი ქვეყნიდან), ძალადობრივი დანაშაულის პრევენციისთვის ფიზიკური გარემოს შეცვლის შედეგად. CPTED-ის გავრცელებული მახასიათებლებია: ისეთი ნაშენი გარემო, სადაც ადამიანები ხედავენ გარშემო მყოფებს და შეუძლიათ მიიღონ ზომები შესაძლო საფრთხის თავიდან ასაცილებლად; მიკუთვნებულობის განცდის გაძლიერება და პროსოციალური ქცევის წახალისება. ასეთი გარემოს მაგალითებია: ლანდშაფტის დიზაინი, მწვანე სივრცეების არსებობა და მათი შენარჩუნება, ცარიელი სივრცეების გამწვანება, გარე განათება, მიტოვებული შენობების განახლება, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ტრანსპორტი, სკოლის გზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა (91).

ასეთი პროგრამის ერთი მაგალითი შეაფასეს კოლუმბიაში. 2004 წელს მედელინის მუნიციპალიტეტმა შექმნა უფასო საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემა, რომელმაც დააკავშრა იზოლირებული, დაბალშემოსავლიანი, ბარაკის ტიპის დასახლებები ქალაქის ცენტრში მდებარე ახლად აშენებულ პარკებთან, ბიბლიოთეკებთან და საზოგადოებრივ ცენტრებთან. მუნიციპალიტეტმა, ტრანსპორტის განვითარებასთან ერთად, ინვესტიცია ჩადო უბნის ინფრასტრუქტურაშიც. ინტერვენცია არ შეეხო ყველა უბანს, რის შედეგადაც, არაშემთხვევითი, „ბუნებრივი ექსპერიმენტის“ მეშვეობით, შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, თუ რა გავლენა მოახდინა ამ ცვლილებებმა ძალადობაზე. ძალადობის დონე შეფასდა უბნებში, სადაც განხორციელდა ინტერვენცია და, ასევე, შესატარებელ საკონტროლო უბნებშიც, პროექტის განხორციელებამდე და განხორციელების შემდეგ. კვლევაში მონაწილეობდა 225 რესპონდენტი პროექტში ჩართული უბნებიდან და 241 - საკონტროლო უბნებიდან (92). ინტერვენციის შედეგად უბნებში ძალადობის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა. 2003-დან 2008 წლამდე მკვლელობების დონე 66%-ით, ხოლო ძალადობრივი შემთხვევების დონე კი 74%-ით შემცირდა საკონტროლო უბნებთან მიმართებით (92). ასეთი უბნის მცხოვრებლებში გაიზარდა პოლიციისადმი ნდობა. იმის მიუხედავად, რომ ძალადობის დონეზე გავლენა არ შეფასებულა ასაკობრივი ჰაუფების მიხედვით, ის ფაქტი, რომ ამ უბნებში მაცხოვრებელთა 40%-ს 12-დან 20 წლამდე ახალგაზრდები შეადგენენ და რომ მოზარდ ბიჭებში განსაკუთრებით მაღალია მკვლელობების რისკი, ზრდის იმის ალბათობას, რომ ინტერვენციამ დადებითი გავლენა მოახდინა ახალგაზრდებზე.





# მშობლებისა და მზრუნველების მხარდაჭერა

მიზანი: მშობლობის არასათანდო პრაქტიკის  
შემცირება და მშობელსა და შვილს შორის  
პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბება



## დასაბუთება:

გააცნობიერონ მშობლებისა და მზრუნველების დახმარება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისთვის პოზიტიური, არაძალადობრივი დისციპლინა და მშობელსა და შვილს შორის ახლო და ეფექტური კომუნიკაცია, ამცირებს არასათანადო მშობლობის პრაქტიკას. მშობლებისა და მზრუნველების მხარდაჭერა ამყარებს მშობლებსა და შვილს შორის პოზიტიურ ურთიერთობას. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს ბავშვებზე ძალდობის პრევენციას. ოჯახების, მშობლების და მზრუნველების მიერ პოზიტიური მშობლობის სწავლის მხარდაჭერის შედეგად, შესაძლოა, თავიდან ავირიდოთ ბავშვის დაშორება ოჯახისგან, ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის რისკი ოჯახში, ინტიმური პარტნიორის მიერ დედის ან დედობილის მიმართ ძალადობის შესწრება/თვითხილვა, და ძალადობრივი ქცევა ბავშვებსა და მოზარდებში (93-95). პროგრამების შეფასება ასევე გვაჩვენებს, რომ ამ ტიპის პრევენცია უფრო ნაკლებხარჯიანია, ვიდრე ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგების საფასური (96).

ეს სტრატეგია ხელს უწყობს და, თავის მხრივ, მხარდაჭერილია აქტივობებით, იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) 1.3, 3.2 და 4.2:

- 1.3 დაინერგოს შესაბამისი სოციალური დაცვის სისტემები<sup>4</sup> ყველასთვის და 2030 წლისთვის მოიცვას ღარიბი და მოწყვლადი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.
- 3.2 2030 წლისთვის, დაასრულოს ახალშობილთა და 5 წელს ქვემოთ მცირდება სიკვდილიანობა, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელია. ყველა ქვეყანამ მიზნად დაისახოს ყოველ ათას ცოცხლად შობილზე ნეონატულური სიკვდილიანობის შემცირება 12-მდე, ხოლო 5 წელს ქვემოთ მცირდება სიკვდილიანობის შემცირება 25-მდე.
- 4.2 2030 წლისთვის, ყველა გოგოსა და ბიჭისთვის უზრუნველყოს ხარისხიან ადრეულ და სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა, იმისათვის, რომ მზად იყვნენ სასკოლო განათლებისთვის.

## მშობლებისა და მზრუნველების მხარდაჭერის შესაძლო მავლენა

### ბავშვთა მიმართ ძალადობის შემზირებაზე:

- ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის დადასტურებული შემთხვევებისა და ბავშვთა დაცვის მომსახურებებთან გადამისამართების შემცირება;
- ძალადობრივი, ნეგატიური და მკაცრი მშობლობის პრაქტიკის შემცირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება დისციპლინას;
- ბულინგისა და მსხვერპლობის შემცირება;
- პარტნიორების ან თანატოლების მიერ ფიზიკური, ემოციური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლად გახდომის შემცირება;
- მოზარდობისას აგრესიის და კანისარღვევის შემთხვევების შემცირება;
- მშობლებსა და ბავშვს შორის პოზიტიური ურთიერთობის გაზრდა;
- მშობლების მხრიდან ბავშვების და მოზარდების უსაფრთხოების კონტროლის გაზრდა.

<sup>4</sup> მაგალითად, ქვეყნის მირითადი სოციალური უსაფრთხოების გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს საბაზისო ჯანდაცვის სისტემასა და შემოსავლის უსაფრთხოებას.



# მიდგომები

მიდგომები, რომლებიც მხარს უჭერს მშობლებს და მზრუნველებს, შესაძლოა განსხვავდებოდეს ძალადობის ტიპის, ბავშვის ასაკის ან პოლიტიკისა და პროგრამის შესრულების გზების მიხედვით. მტკიცებულებების მიხედვით შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა მოდელი ჩავთვალოთ ეფექტუანად, მათ შორისაა: ოჯახში ვიზიტები, თემის დონეზე განხორციელებული ჰაუფური ტრენინგები და ყოვლისმომცველი ინტერვენციების კომპონენტი.

## მშობლების მხარდაჭერა ოჯახში ვიზიტებით

**მტკიცებულება:** ოჯახში ვიზიტის პროგრამების ეფექტუანობის მტკიცებულება საკმაოდ მყარია (თუმცა თითქმის ყველა მიმოხილული კვლევა ჩატარებული იყო მაღალშემოსავლიან ქვეყნებში). მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული ოჯახში ვიზიტის პროგრამების 20-ზე მეტი კვლევის სისტემური მიმოხილვით, გამოიკვეთა პროგრამის შედეგად ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის მნიშვნელოვანი შემცირება (97).<sup>5</sup>

ყველაზე უკეთ შესწავლილი მაგალითია **Nurse-Family Partnership (NFP)** აშშ-ში, რომელიც დაიწყო 1977 წელს. იგი პოპულარიზაციას უწევდა უსაფრთხო სახლის გარემოს და ხელს უწყობდა მშობლების მხრიდან კომპეტენტურ მზრუნველობას, ასევე, აუმჯობესებდა ოჯახების მატერიალურ მხარდაჭერას ჰანდაცვისა და სოციალურ მომსახურებებთან მათი დაკავშირებით. მოდელის საკვანძო მოქმედი პირები იყვნენ რეგისტრირებული ექთნები, რომლებიც მიდიოდნენ ოჯახებში ვიზიტებით ახალგაზრდა, დაბალშემოსავლიან, გამოუცდელ დედებთან პირველი შვილის გაჩენიდან პირველი ორი წლის განმავლობაში. NFP-ის სამი შემთხვევითად კონტროლირებული ექსპერიმენტის მონაცემების შედეგად, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხორციელდებოდა, გამოიკვეთა ხანგრძლივი პოზიტიური შედეგები, მათ შორის, გაუმჯობესებული პრენატალური ჰანმრთელობა, ბავშვობის დროს მიღებული ნაკლები დაზიანება, შემცირებული არასასურველი ორსულობა და დასაქმების მაჩვენებლის ზრდა დედებში (98). პირველი 15 წლის კვლევის შეკამების შედეგად შესამჩნევი გახდა ბავშვთა მიმართ ძალადობის და მათი უგულებელყოფის შემთხვევების შემცირება 48%-ით იმ ოჯახებში, სადაც ხორციელდებოდა ოჯახში ვიზიტები, განსხვავებით იმ ოჯახებისგან, სადაც ამგვარი სახის ინტერვენცია არ განხორციელებულა (დიაგრამა 6) (99). უფრო მეტიც, NFP ხარჯეფექტუანია: პროგრამის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მასზე დახარჯულ თანხაზე ოთხგრო მეტი დაიზოგა (100). NFP მიდგომა უფრო მასშტაბური ხდება ამერიკაში. იგი ასევე ხორციელდება ავსტრალიაში, კანადაში, ნიდერლანდში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში.


<sup>5</sup> ოჯახში ვიზიტის ყველა პროგრამა ერთნაირად ეფექტუანი არ არის. მრავალი მიმოხილვის საფუძვლზე შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდუალური პროგრამების დონეზე ზოგიერთ პროგრამას ცოტა ან არანირი გაულენა არა აქვს, სწევებს კი საკმაოდ ძლიერი გაულენა აქვთ. ეს განსხვავებულობა ძირითადად განპირობებულია მნიშვნელოვნების განსხვავებული შორისისა და ფულების მქონე მოდელების არსებობით. მაგალითად, ზოგიერთი პროგრამა მოიცავს მის განხორციელებას პრიფესიონალი ექთნების მიერ, ზოგი კი იყენებს ტრენინგებას და მუშაკებს, ზოგი მოიცავს რამდენიმე წელზე გაწერილ ინტერვენციას, ზოგი კი ინტერვენციების მცირე რაოდენობას დროის მოკლე პერიოდში.



#### დიაგრამა 6: ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის შემცირება პროგრამა

Nurse-Family Partnership-ის 15 წლის შემდგომი შეჯამების შედეგად

არასათანადო მოპყრობის კულტურული განვითარება



მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ:

[http://www.nursefamilypartnership.org/assets/PDF/Policy/NFP\\_Evidentiary\\_Foundations.aspx](http://www.nursefamilypartnership.org/assets/PDF/Policy/NFP_Evidentiary_Foundations.aspx)

2013 წლის სისტემური კვლევით შესწავლით იქნა პროგრამების ეფექტიანობა, პოზიტიური მშობლობის უნარების გაუმჯობესებისა და ძალადობრივი მშობლობის პრაქტიკის შემცირების მხრივ დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში (102). მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით სანდო კვლევა ცოტაა ჩატარებული, ორი მაღალი ხარისხის ფართომასშტაბიანი კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ინტერვენციები მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობისა და მშობლების მიერ ბავშვთა განვითარების საფეხურების ცოდნის გასაუმჯობესებლად შეიძლება ეფექტიანად განხორციელდეს. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის ქალაქ კეიპტაუნში, 1998 წელს დაარსდა ოჯახში ვიზიტის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, გადამზადებული მუშაკები (lay workers) რომლებიც თავადაც დედები იყვნენ, საშუალოდ 16 ოჯახში დადიოდნენ ვიზიტით, ღარიბ თემში მცხოვრებ ახალბედა დედებთან. შემთხვევითი კვლევის შედეგების შეფასებით დადგინდა, რომ პროგრამის დასრულებიდან 12 თვის შემდეგ ოჯახებში ვიზიტებმა შესამჩნევად დადებითი გავლენა მოახდინა დედისა და ახალშობილის ურთიერთობაზე; პროგრამა ასევე დაეხმარა ახალშობილებს, თავი ეგრძნიო უსაფრთხოდ. ზემოთ აღნიშნული ფაქტორები იცავს ბავშვს არასათანადო მოპყრობისგან და დადებით გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე (103).



## მშობლებთა ტრენინგი და ჰაუფური მხარდაჭერა თემის დონეზე

**მტკიცებულება:** მშობლობის ტრენინგისა და ჰაუფური მხარდაჭერის მტკიცებულება პერსპექტიულია. ინიციატივა ACT Raising Safe Kids განხორციელდა აშშ-ს, სულ მცირე, 10 შტატში და რამდენიმე დაბალ- და საშუალოშემოსავლიან ქვეყანაში. მან 50%-ით შეამცირა მკაცრი დისციპლინა (104). პროგრამა SOS!-შა, რომელიც ხორციელდებოდა პირველადი ჰანდაცვის მიმნიდებლების მიერ, ჰანძლთელობის ცენტრებში გეგმიური იმუნიზაციის ვიზიტების დროს, მნიშვნელოვნად შეამცირა ძალადობრივი მშობლობა, დაბალ- და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში (102).

მშობლობის პროგრამები ეფექტური იყო პოსტკონფლიქტურ გარემოშიც და იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში. International Rescue Committee-მ, რომელიც მუშაობდა ბირმელ მიგრანტებთან და იძულებით გადაადგილებულ ოჯახებთან, მიანმარისა და ტაილანდის საზღვარზე (105), და ასევე ლიბერიის სოფლების ძალიან ღარიბ თემებში (106), შემთხვევითად კონტროლირებული ექსპერიმენტით წარმოაჩინა, თუ როგორ შეუძლია მშობლობის პროგრამებს, ოჯახში ვიზიტების შეზღუდული რაოდენობით, შეამციროს ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასკა, ბავშვის ქცევის სამართავად გაზარდოს პოზიტიური სტრატეგიების გამოყენება და მზრუნველსა და ბავშვს შორის არსებული ურთიერთობების ხარისხი.

პროგრამა Parents/Families Matter! არის მშობლებზე ორიენტირებული ინტერვენცია, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ წაახალისოს პოზიტიური მშობლობის პრაქტიკა და ეფექტური ინტერაქცია მშობელსა და შვილს შორის ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: სექსი, სექსუალობა, სექსუალური რისკის შემცირება, აივ ინდუქციის პრევენცია, ფიზიკური, ემოციური და სექსუალური ძალადობა.

**Parents/Families Matter!**-ის მიზანია: აამაღლოს მშობლების ცოდნა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისინი თავიანთი შვილების ცხოვრებაში გარდატეხის ასაკში, გააძლიეროს პოზიტიური მშობლობის უნარები, და მოამზადოს მშობლები სექსთან დაკავშირებული საკითხების შვილებთან განხილვისთვის (6).

პროგრამა ხორციელდება თემზე დაფუძნებული ჰაუფური ინტერვენციებით 9-12 წლის ბავშვების მშობლებისა და მზრუნველებისთვის. პროგრამა ამჟამად აქტიურია აფრიკის რვა ქვეყანაში CDC-ის და PEPFAR-ის მხარდაჭერით. 2013 წელს Families Matter!-ის 5-სესიიან კურიკულუმს დაემატა მეექვსე მოდული, ბავშვებზე სექსუალური ძალადობის შესახებ. მოდულის მიზანია, აამაღლოს მშობლების ცოდნა ბავშვებზე სექსუალური ძალადობის შესახებ და ასწავლოს მათ, თუ როგორ შეუძლიათ მისი პრევენცია და მასზე რეაგირება (6).

Parents/Families Matter!-ის მასალა 15 ენაზე ითარგმნა. პროგრამამდელი და პროგრამისშემდგომი შეფასებების შედეგებმა აჩვენა, რომ მშობლებში საგრძნობლად გაიზარდა მოზარდ შვილებთან სექსუალობასა და რისკის შემცველ ქცევასთან დაკავშირებული კომუნიკაციისთვის საჭირო ცოდნა, უნარები და თავდაკერებულობა. პროგრამის შეფასებამ კენიაში აჩვენა, რომ მშობლები და შვილები აღნიშნავდნენ მშობლების მიერ განხორციელებული მეთვალყურეობის ზრდას და სექსუალობასთან დაკავშირებული თემების შესახებ კომუნიკაციის გაუმჯობესებას. დღიმდე, Parents/Families Matter! პროგრამამ მოიცვა 400 000-ზე მეტი ოჯახი. მონაწილეთა 90%-ზე მეტი დაესწრო პროგრამის ყველა სესიას (6).



# Parenting for Lifelong Health

## (სამხრეთ აფრიკა)

სამხრეთ აფრიკაში Parenting for Lifelong Health (PLH) ავითარებს, ტესტავს და ფართოდ ავრცელებს ხელმისაწვდომ, მტყვიცებულებასა და ჰაუფტზე დაფუძნებულ მშობლობის პროგრამებს მცირერესურსებიანი გარემოსთვის. PLH პროგრამების მთავარი მიზანია ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის და სხვა ისეთი სახის ძალადობის პრევენცია, როგორიცაა ახალგაზრდებს შორის ან ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა. PLH მოიცავს პროგრამებს: PLH ახალშობილთათვის (გვიანი ორსულობიდან 6 თვემდე); PHL ჩვილებისთვის (14-16 თვე); PLH ბავშვებისთვის (2-9 წლამდე); PLH თინეიჯერებისთვის (10-17 წლამდე); PLH-ის ყველა პროგრამა დაფუძნებულია გაზიარებული სოციალური სწავლების პრინციპებზე, რომლებიც მოიცავს დასწავლილი ქცევის მოდელირებას, დისციპლინის მაგივრად პოზიტიური მშობლობის უნარების გამოყენებას, კარგი ქცევის წახალისებას შექებით, მითითებების პოზიტიური გზით მიცემას, ყურადღების მისაქცევად ჩადენილი უარყოფითი ქცევის იგნორირებასა, და არაძალადობრივი წესების შემოღებას.

პროგრამა Parents/Families Matter! არის მშობლებზე ორიენტირებული ინტერვენცია, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ წახალისოს პოზიტიური მშობლობის პრაქტიკა და ეფექტური კომუნიკაცია მშობელსა და შვილს მორის ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: სექსი, სექსუალობა, სექსუალური რისკის შემცირება, აივ ინფექციის პრევენცია, ფიზიკური, ემოციური და სექსუალური ძალადობა.

სამხრეთ აფრიკაში არსებობს ამ პროგრამების პროტოტიპის ეფექტულება (103, 108). მაგალითად, აღმოსავლეთ კეიპის ურბანულ და სოფლის ტიპის დასახლებებში ჩატარებული პროგრამის (PLH თინეიჯერებისთვის) დიდი შემთხვევითად კონტროლირებული ექსპერიმენტის წინასწარი შედეგები აჩვენებს, რომ საკონტროლო ჰაუფტან შედარებით ფიზიკური ძალადობა შემცირდა, მზრუნველების თქმით, 44%-ით, თინეიჯერების თქმით, 48%-ით; ემოციური ძალადობა შემცირდა მზრუნველების თქმით, 61%-ით, ხოლო თინეიჯერების თქმით, 28%-ით; საკონტროლო ჰაუფტან შედარებით პოზიტიური მშობლობა გაუმჯობესდა, როგორც მზრუნველების (17%-იანი ზრდა), ასევე თინეიჯერების (7%-იანი ზრდა) ინტერვენციის ჰაუფტებში (Cluver L, University of Oxford, unpublished data, 8 March 2016). მიმდინარეობს PLH პროგრამების ადაპტაცია და ტესტირება სხვა დაბალ- და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში, მათ შორის კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ელ სალვადორში, კენიაში, ლეხოსტომში, ფილიპინებში, სამხრეთ სუდანისა და ტანზანიაში.

### **მშობლების მხარდაჭერა და ტრენინგი, როგორც ყოვლისმომცველი პროგრამების ნაწილი**

**მტყვიცებულება:** ყოვლისმომცველი პროგრამების სამიზნე ჰაუფტია მოწყვლადი ოჯახები, მაგალითად, მოზარდი დედების ოჯახები, ან დაბალშემოსავლიანი მშობლების ოჯახები. ასეთი პროგრამები ძირითადად ხორციელდება ჰანმრთელობის ცენტრებში, სკოლებში ან სათემო ცენტრებში და უზრუნველყოფს ოჯახის მხარდაჭერას, სკოლამდელ განათლებას, ბავშვზე ზრუნვისა და ჰანმრთელობის მომსახურებებს. ისინი მუშაობენ ბავშვების მიმართ ძალადობის რისკ-ფაქტორებზე, მაგალითად, ისეთებზე, როგორიცაა აგრესიული ქცევა; დაზიანებული კოგნიტური და სოციალურ-ემოციური უნარები; სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობა და არასათანადო მშობლობა. ზოგი პროგრამა, რომელიც მოიცავს მშობლობის კომპონენტს, ფოკუსირებულია პოზიტიური სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე (მაგალითად, Positive Action პროგრამა აშშ-ში), ზოგის მიზანი თანატოლების ან პარტნიორების მიერ ძალადობის პრევენცია (მაგალითად KiVa ფინეთში და, სულ მცირე, 15 სხვა ქვეყანაში, და Families for Safe Dates აშშ-ში). ეს პროგრამები დაკავშირებული იყო ძალადობის მნიშვნელოვან კლებასთან, მაგალითად, ძალადობრივი ქცევა შემცირდა 20-60%-ით, ბულინგი 20%-ით, პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მაჩვენებელი კი 70%-ით (109-112).



# შემოსავალი და ეპონომიკური მსაქალიერება

მიზანი: ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოებისა  
და სტაბილურობის გაუმჯობესება, ბავშვებთან  
არასათანადო მოპყრობისა და ინტიმური  
პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემცირება



## დასაბუთება:

შემოსავალსა და ეკონომიკური გაძლიერებაზე მიმართული ინტერენციები შესაძლოა, სარგებლის მომტანი იყოს უშეალოდ ბავშვებისთვის და შეამციროს მათ მიმართ არასათანადო მოპყრობა, ასევე ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან, რასაც მინიმუმიამდე დაჰყავს იმის ალბათობა, რომ ბავშვი ამგვარი ძალადობის შემსწრე გახდება. რაც, თავის მხრივ, ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ მომავალში თვითონაც ამგვარი ძალადობის მსხვერპლი ან მოძალადე გახდეს. გარდა ამისა, ქალებისთვის ეკონომიკურ რესურსებზე წვდომის გაზრდა აძლიერებს შინამეურნეობის ეკონომიკურ სტატუსს, რასაც შეუძლია ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ბავშვთა უბუღებელყოფის პრევენცია. მაგალითად, ეს საშუალებას აძლევს ქალებს, გაზარდონ ინვესტიცია ბავშვების განათლებაში, რაც აუმჯობესებს სკოლაში დასწრებას და არის დამცავი ფაქტორი ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

ეს სტრატეგია ხელს უწყობს და, თავის მხრივ, მხარდაჭერილია აქტივობებით, იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) 1.3, 1.4, 5.2, 5.3 და 10.2:

- 1.3 დაინერგოს შესაბამისი სოციალური დაცვის სისტემები ყველასთვის და 2030 წლისთვის მოიცვას დარიბი და მოწყვლადი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი;
- 1.4 2030 წლისთვის ყველა კაცისა და ქალისთვის, განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლადებისთვის, თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა ეკონომიკურ რესურსებზე. ასევე ძირითად მომსახურებებზე წვდომის, მიწის ან სხვა სახის საკუთრების, მემკვიდრეობის, ბუნებრივი რესურსების, შესაფერისი ახალი ტექნოლოგიების და ფინანსური მომსახურებების, მათ შორის მიკროფინანსების ფლობის და კონტროლის უზრუნველყოფა;
- 5.2 საჯარო და კერძო სივრცეებში ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართული ყველა სახის ძალადობის აღმოფხვრა, მათ შორის ტრეფიკინგის, სექსუალური ან სხვა სახის ექსპლუატაციის;
- 5.3 ყველა ისეთი ზიანის მომტანი პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორიცაა ბავშვთა ადრეული ან იძულებითი ქორწინება, ქალთა გენიტალური მუტილაცია;
- 10.2 2030 წლისთვის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინკლუზიის გაძლიერება ყველასთვის, ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის, რასის, ეთნიკურობის, წარმომავლობის, რელიგიის ან ეკონომიკური თუ სხვა სტატუსის მიუხედავად.

## ოჯახების ეკონომიკურად გაძლიერების შესაძლო გავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებაზე:

- მშობლების ან სხვა მზრუნველების მიერ ბავშვებზე ფიზიკური ძალადობის შემცირება,
- ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემცირება;
- სახლში ბავშვის მიერ ინტიმური პარტნიორის ძალადობის შესწრების/თვითხილვის შემცირება;
- ახალგაზრდა გოგონებში ადრეული და იძულებითი ქორწინების შემცირება;
- ისეთი სოციალური ნორმების და დამოკიდებულებების მატება, რომლებიც გმობს ძალადობას ინტიმური პარტნიორის მხრიდან.



# მიზანმიზი

შემოსავლების და ეკონომიკური გაძლიერების მტკიცებულებების მიმოხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ პერსპექტიულ მიდგომებს შორისაა, როგორც ფულადი გადარიცხვები, ასევე, პროგრამები, რომლებიც აერთიანებენ გენდერული თანასწორობის ტრენინგებს სათემო დანაზოგების, ჯგუფური სესხების ანდა მიკროფინანსების პროგრამებთან (113).

## ფულადი გადარიცხვები

**მტკიცებულება:** 2000-იანების შუა ნიუბიდან, დაბალ- და საშუალოშემოსავლიანი ქვეყნების მთავრობებმა მზარდი რაოდენობის ინვესტიცია ჩადეს ფულად გადარიცხვებში - პირდაპირი და რეგულარული ფულადი დახმარება, რომელიც ზრდის მოწყვლადი შინამეურნეობების შემოსავალს და ამაღლებს ჭანმრთელობისა და განათლების მომსახურებებზე ხელმისაწვდომობას (114). როდესაც ფულადი გადარიცხვები მიწოდებულია სხვა ინტერვენციასთან, მაგალითად, მშობლობის ტრენინგთან ერთად, ეს აუმჯობესებს მშობლების მიერ მეთვალყურეობას, ამცირებს ბავშვთა მიმართ არასათანადო მოსყირობას, ზრდის პროსოციალურ ქცევას, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ მიმღებლობასა და მეგობრობას მოზარდ ბიჭებს შორის (115-117).

თუმცა არსებობს იმის მტკიცებულებაც, რომ გოგონებისთვის ფულადი დახმარების მიცემამ სხვა სოციალური ან ქცევითი ინტერვენციების გარეშე, შესაძლოა, გაზარდოს მათი სექსუალური შევიწროების რისკი. ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა (118), რომ გოგონები, რომლებსაც ანგარიში ჰქონდათ გახსნილი და ზრდიდნენ საკუთარ ეკონომიკურ აქტივებს, ამასთანავე იზრდებოდა იმის ალბათობაც, რომ მათ სექსუალურად შეავიწროებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამის გამო საჭიროა, რომ ეკონომიკური აქტივების გაძლიერება ხორციელდებოდეს სოციალური აქტივების გაძლიერებასთან ერთად, რაშიც შედის სოციალური კავშირების გაძლიერება და რეპროდუქციული ჭანმრთელობის შესახებ ცოდნის მიწოდება - იმისათვის, რომ გოგონები არ გახდნენ უფრო მოწყვლადები სექსუალური ძალადობის გაზრდილი რისკის მიმართ.

მექსიკის პროგრამა **Opportunidades**-ის მიზანი იყო განათლების, ასევე ჭანმრთელობისა და კვების გაუმჯობესება ოჯახებისთვის ფულადი გადარიცხვებით. გადარიცხვა დამოკიდებული იყო ოჯახის მიერ გარკვეული პირობების შესრულებაზე, მაგალითად, ბავშვების სკოლაში სისტემატურად სიარულის უზრუნველყოფაზე. პროგრამის შეფასებამ ცხადყო, რომ ინტერვენციებმა განავითარა ისეთი დამცავი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ახალგაზრდებში ძალადობის გავრცელებას. ასეთებია, მაგალითად, როგორც სკოლაში ჩარიცხვის, ისე სკოლაში გატარებული წლების გაზრდილი მაჩვენებელი, სკოლიდან გარიცხვის შემთხვევების შემცირება, ალკოჰოლის მოხმარების შემცირება (119).

ფულადი გადარიცხვების შედეგად უმჯობესდება მშობლების მიერ მეთვალყურეობა, 10%-ით მცირდება არასათანადო მოსყირობა ბავშვებთან, 10%-ით მცირდება ბავშვებში აგრესიული სიმძტომები, მოზარდ ბიჭებში იზრდება პროსოციალური ქცევა (115-117). სამმა შემთხვევითად კონტროლირებულმა ექსპერიმენტმა (კალიფორნიასა და ვისკონსინში, აშშ) აჩვენა პოზიტიური მშობლობის გაუმჯობესებული შედეგები. კვლევა სწავლობდა ფულად გადარიცხვებს სხვა ისეთ დახმარებებთან ერთად, როგორიცაა ჭანმრთელობის დაზღვევა, სუბსიდიები ბავშვის მოვლისთვის ან ბავშვზე ზრუნვა, ასევე დახმარების გაწევა ზოგადი განათლების დიპლომის აღებაში, სამსახურის მოძიებასა და სამსახურისთვის ტრენინგის გავლაში (115, 116, 120). დადასტურებულია, რომ ფულადი გადარიცხვები ხელს უწყობს სკოლაში სწავლის გაგრძელებას, ასევე, ამცირებს ბავშვის მიერ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესწრებას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს იმის ალბათობას, რომ ბავშვი მომავალში გახდება ძალადობის მსხვერპლი ან ჩამდენი (121, 122).



## ფულადი გადარიცხვები ხელს უწყობს ბაზშვილი სექსუალური ძალადობის და იქსპლუატაციის შემცირებას

(კენია, ზამბია, ზიმბაბვე, მალავი, ტანზანია)

ფულადი გადარიცხვები უფრო და უფრო პოპულარული ხდება აფრიკის მთავრობების სოციალური დაცვის სტრატეგიებისთვის. ფულად გადარიცხვებს აქვს პოტენციალი, შეამციროს სექსუალური ძალადობა ბავშვებსა და მოზარდებზე და მათი ექსპლუატაცია, პირდაპირი ზემოქმედებით ისეთ სტრუქტურულ ფაქტორებზე, როგორიცაა სიღარიბე და განათლების მიღების ხელისშემსლელი გარემოებები, და ირიბად - გენდერული უთანასწორობის შემცირებით.

გავლენის შეფასებების შედეგად შეიქმნა **Transfer Project**-ის მტკიცებულებათა ბაზა, რომელმაც აფრიკის რვა ქვეყანაში გამოავლინა მთავრობის მიერ განხორციელებული სოციალური ფულადი გადარიცხვების მასშტაბური პროგრამის დადებითი გავლენა კეთილდღეობის, ეკონომიკური და ბავშვთა დაცვის კუთხით. მისი მუშაობა დაკავშირებულია მთავრობის პროგრამებსა და სტრუქტურებთან, იგი აჩვენებს, თუ როგორ იქმნება და ფართოვდება ეროვნული პროგრამები. მტკიცებულების თანახმად, ზიმბაბვეს **Harmonized Social Cash Transfer Programme**-მა მოზარდებში შეამცირა იძულებითი სექსუალური კავშირის ალბათობა, **Malawi's Social Cash Transfer Programme**-მა კი ხელი შეუწყო მოზარდების მიერ სექსუალური ცხოვრების დაწყების ასაკის გაზრდას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ

<http://www.cpc.unc.edu/projects/transfer>



### **ჰაუზური დანაზოგები და სესხების ასოციაციები,**

### **გენდერული ნორმების / სამართლიანობის ტრენინგთან ერთად**

**მტკიცებულება:** კოტ-დ'ივუარში, შემთხვევითად კონტროლირებულმა ექსპერიმენტმა შეაფასა ჰაუზური დანაზოგების და სესხების პროგრამა, რომელიც ხორციელდებოდა გენდერული თანასწორობის ტრენინგთან ერთად. აღმოჩნდა, რომ პროგრამამ 70%-ით შედარებით 50%-ით უფრო მეტად შეამცირა ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან იმ ქალებში, რომლებიც დისკუსიებში კაც პარტნიორებთან ერთად მონაწილეობდნენ (და დაესწრნენ პროგრამის ინტერვენციის სესიების 75%-ზე მეტს), ვიდრე იმ წყვილებში, რომლებიც მონაწილეობდნენ მხოლოდ ჰაუზური დანაზოგების აქტივობებში (123). შესაბამისად, იგი ამცირებს ბავშვის მიერ ოჯახში ძალადობის შესწრებას, რაც მომავალში მსხვერპლად გახდომის და/ან ძალადობის განხორციელების მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია.

თუმცა მაშინ, როცა პროგრამამ მნიშვნელოვნად შეამცირა ზრდასრულ ასაკში დაოჭახებული ქალების მიმართ ძალადობა, მას არანაირი ეფექტი არ მოუხდენია არასრუმლოვან ასაკში დაქორწინებულებზე (124). შესაბამისად, ამგვარი ინტერვენციების განხორციელებამდე უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა გავლენას ახდენს ასეთი პროგრამები სხვადასხვა ჰაუზებში ძალადობის რისკის შემცირებაზე.

### **მიკროფინანსები, გენდერული ნორმების/თანასწორობის ტრენინგთან ერთად**

**დიაგრამა 4:** ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემცირება იმ 430 ქალს შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ მიკროფინანსების და გენდერული თანასწორობის (IMAGE) პროგრამის ინტერვენციაში.

მასალა 4: მიკროფინანსების გავლენის მიზანი



**მტკიცებულება:** სამხრეთ აფრიკაში სოფლის ტიპის დასახლებებში ექსპერიმენტულმა შეფასებებმა აჩვენა, რომ მიკროფინანსების პროგრამამ (IMAGE – Intervention with Microfinance for Aids and Gender Equity), რომელიც აივ ინფექციის, გენდერული ნორმების, ოჯახში ძალადობის და სექსუალობის შესახებ განათლების აქტივობებთან/პროგრამასთან ერთად ხორციელდებოდა, საკონტროლო ჰაუზთან შედარებით, 50%-ით შეამცირა ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მაჩვენებელი იმ ქალებში, რომლებიც მონაწილეობდნენ ინტერვენციაში (დიაგრამა 4) (125-127).



## გაძლიერება და საპრეზიდენტო წყარო მოზარდებისთვის (სავლანეთი და უგანდა)

**გაძლიერება და საპრეზიდებო წყარო მოზარდებისთვის (ELA)** არის პროგრამა, რომელიც 14-20 წლის ასაკის ასიათასობით მოზარდ გოგონას აძლევს უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობას მენტორობის, სასიცოცხლო უნარებისა და მიკროფინანსების ტრენინგის საშუალებით. პროგრამა თავდაპირველად დაიწყო საერთაშორისო განვითარების ორგანიზაცია BRAC-მა, ბანგლადეშში, შემდეგ კი განხორციელდა ავღანეთსა და უგანდაში. ELA ორი რამით განსხვავდება სხვა ამგვარი შინაარსის პროგრამებისგან: პროგრამა აერთიანებს სასიცოცხლო და საპრეზიდებო წყაროს მოსაპოვებლად საჭირო უნარებს, ანუ ფინანსურ გაძლიერებასთან ერთად ხდება სოციალური გაძლიერება; ტრენინგი ტარდება ახალგაზრდულ კლუბებში და არა სკოლებში. კლუბი საშუალებას აძლევს პროგრამას, მოიცვას, როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე სკოლიდან გარიცხულები, და არის სივრცე, სადაც გოგონები თავს საკმარისად დაცულად გრძნობენ იმისათვის, რომ განიხილონ პრობლემები მცირე ჰავაფებში, დაამყარონ სოციალური კავშირები ოჯახის ზენოლისა და კაცზე ორიენტირებული საზოგადოებისაგან მოშორებით [6].

პროგრამას უძღვებიან თანასწორ-განმანათლებლები, რომლებიც გოგონებს ასწავლიან საკუთარ უფლებებს, ეხმარებიან კონფლიქტების მოგვარებაში და უტარებენ ტრენინგს ფანმრთელობისა და გენდერულ საკითხებზე, მათ შორის სექსუალურ და რეპროდუქციულ ფანმრთელობაზე. გოგონები სწავლობენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სკოლაში სწავლის გაგრძელება, ადრეული ქორწინებისა და ორსულობის თავიდან არიდება. თანასწორ-განმანათლებლები გოგონებს აძლევენ ძირითად ფინანსურ განათლებასაც - როგორ გამოიმუშაონ და შეინახონ ფული - უტარებენ საპრეზიდებო წყაროს მოსაპოვებელი უნარების ტრენინგს, ასწავლიან ბიზნესის დაგეგმვას და ბიუკეტის მართვას, იმისათვის, რომ აუმაღლონ თავდაჯერება და განვითარონ სამეწარმეო აზროვნება [6].

პროგრამა ELA საფუძვლიანად იქნა შესწავლილი და შედეგად გოგონების ცხოვრებაზე პოზიტიური გავლენა აჩვენა. 2014 წელს მსოფლიო ბანკმა ჩაატარა ELA-ს შეფასება უგანდაში, სადაც მსოფლიოში უმუშევრობის უმაღლესი დონეა ახალგაზრდა ქალებში და, ასევე, თინერიკერების ორსულობის დონე 10-12%-ია. შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ ELA-ს პროგრამის მონაწილეებს შორის (პრამონამილე მოზარდ გოგონებთან შედარებით):

- თინერიკერების ორსულობის დონე 26 %-ით შემცირდა, კონდომის გამოყენება კი 28 %-ით გაიზარდა,
- ადრეული ქორწინება/თანაცხოვრება შემცირდა 58 %-ით,
- არასასურველი სექსუალური კავშირის შემთხვევათა შესახებ შეტყობინებამ იკლო 50%-ით.

გარდა ამისა, 72%-ით გაიზარდა პროგრამა ELA-ს მონაწილეების ჩართულობა შემოსავლის მომტან აქტივობებში, ძირითადად ეს იყო თვითდასაქმება. აღსანიშნავია, რომ შეფასებამ არ გამოავლინა სკოლაში ჩარიცხვის შემთხვევების კლება ELA-ს მონაწილეებს შორის. უფრო მეტიც, გოგონები, რომლებსაც მანამდე შეწყვეტილი ჰქონდათ სწავლა, გამოხატავდნენ ხელახლა ჩარიცხვის სურვილს, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ პროფესიული და სასიცოცხლო უნარების ტრენინგების შედეგად გოგონების გაძლიერება პოზიტიურ კორელაციაშია მათ სურვილთან, განაგრძონ ფორმალური განათლების მიღება (129, 130).

# რეაგირება და მხარდაჭერი მომსახურები

მიზანი: ძალადობის გრძელვადიანი ეფექტის  
შესამცირებლად, ხარისხიანი ფანდაციის, სოციალური  
კეთილდღეობისა და მართლმსაჯულების  
მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა  
ყველა ბავშვისთვის, ვისაც ამის საჭიროება აქვს.



## დასაბუთება:

ჰანდაცვის ძირითადი მომსახურებები, როგორიცაა სასწრაფო სამედიცინო დამართვება ძალადობასთან დაკავშირებული დაზიანების შემთხვევაში და კლინიკური მკურნალობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის, მათ შორის გაუპატიურების შემთხვევებში აივ ინფექციის ნინააღმდეგ პოსტექსუალური პროფილაქტიკა, უნდა არსებობდეს მანამდე, სანამ დაიგეგმება ის სპეციალიზებული კონსულტაციისა და სოციალური მომსახურებები, რაც ამ თავშია აღნერილი. სასწრაფო სამედიცინო დამართვას (131) და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა კლინიკურ მკურნალობაზე (132), მითითებები უკვე არსებობს.

სადაც ამგვარი ძირითადი მომსახურებები უკვე არსებობს, ბავშვთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთათვის კონსულტაციისა და სოციალური მომსახურებების უზრუნველყოფა დაეხმარება მათ, დაარღვიონ ძალადობის ციკლი და უკეთ გაუმკლავდნენ ძალადობის შედეგად აღმოცენებულ კანმრთელობისა და ფსიქიკური კანმრთელობის პრობლემებს, მათ შორის ტრავმის სიმპტომებს (133). დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რიცხვი, რომლებიც იღებენ კანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის მომსახურებებს, ძალიან დაბალია. მაგალითად, კამბოჯაში, ჰაიდინში, კვენიაში, მალავიში, სვაზილენდში, ტანზანიასა და ზიმბაბვეში ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებიდან 10%-ზე ნაკლებმა განაცხადა, რომ მიიღო შესაბამისი მომსახურება (134).

რეაგირებისა და მხარდაჭერის მომსახურებების მიმღები ბავშვების რიცხვის გასაზრდელად აუცილებელია, რომ დაინერგოს ეფექტუანი, ბავშვზე ორიენტირებული სერვისები და მექანიზმები, რათა ბავშვებმა შეძლონ და ძალადობის შესახებ განაცხადონ ბავშვთა დაცვის ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიცაა პოლიცია, კანდაცვა, სოციალური კეთილდღეობის სამსახურები, და, ასევე, საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილ იქნენ ღროვანითი თავშესატრით (6). მართლმსახულების სისტემაში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასარულწლოვანთა რეაბილიტაციის პროგრამებს შეუძლია, შეამციროს მათი მხრიდან ძალადობრივი ქცევის განმეორებით ჩადენის ალბათობა. ასეთი პროგრამების აუცილებლობა განსაზღვრულია გაერთოს მოდელურ სტრატეგიებსა და პრაქტიკულ მეთოდებში, რათა შეამციროს ბავშვთა მიმართ ძალადობა დანაშაულის პრევენციისა და მართლმსახულების სფეროებში (135). ამ მომსახურებების ეფექტუანობისთვის საჭიროა, რომ შესაბამისი დაცვის, უსაფრთხოების, სოციალური კეთილდღეობის, კანმრთელობის და სხვა სახის მომსახურების მიმღებლები და სახელისუფლებო ორგანოები რეაგირებდნენ მიმართვებზე. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს, ხელმისუფლების მიერ მხარდაჭერილი, უსაფრთხო, ბავშვის მიმართ მერძნობარე, კონფიდენციალური და ხელმისაწვდომი მექანიზმები, სადაც დასაქმებული იქნებიან სპეციალურად გადამზადებული სპეციალისტები, იმისთვის, რომ ბავშვებს შეეძლოთ, განაცხადონ ძალადობის შემთხვევების შესახებ. იმის მიუხედავად, რომ ცხელ ხაზებს და დახმარების ხაზებს არ აქვთ ამ მომსახურებების ეფექტუანობის მტკიცებულება, ზოგიერთი თემი მათ იყენებს იმისათვის, რომ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს და მათ ოკაზებს გუამარტივდეთ განცხადების გაკეთება ძალადობის შემთხვევების შესახებ და იქვე ინფორმაციის მოძიება და დამართვების მიღება (6).

ეს სტრატეგია ხელს უწყობს და, თავის მხრივ, მხარდაჭერილია აქტივობებით, იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) 3.8 და 16.3:

- 3.8 საყოველთაო კანდაცვის უზრუნველყოფა, რაშიც შედის ფინანსური რისკების დაცვა, ხელმისაწვდომობა ხარისხიან ძირითად კანდაცვის მომსახურებებზე, უსაფრთხო, ეფექტუან და პირველადი საჭიროების მედიკამენტებსა და ვაქცინებზე,
- 16.3 კანონის უზენაესობის ხელშეწყობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ყველასთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მართლმსახულებაზე.

## ალინიკური, თერაპიული და მართლმსახულების მხარდამჭერი მომსახურებების შესაძლო გავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებაზე:

- დროის მოკლე პერიოდში, იმავე სახის ძალადობის განმეორების შემცირება,
- ტრავმული სიმპტომების (მაგალითად, პოსტტრავმული სტრესული აშლილობის, დეპრესიის, შფოთვის) შემცირება,
- სექსუალური გზით გადამდები ინფექციების და რეპროდუქციული კანმრთელობის უარყოფითი შედეგების შემცირება,
- დროის მოკლე მონაცემებით გზით გადამდები ინფექციების და რეპროდუქციული კანმრთელობის უარყოფითი შედეგების შემცირება.




## მიზანმიზი

თერაპიული, კლინიკური, მართლმასაჯულების და ბავშვთა დაცვის მომსახურებების მიმოხილვის შედეგად მიღებული მტკიცებულების თანახმად, ზოგი მათგანი ეფექტურია, ზოგი კი იძლევა ბავშვთა მიმართ ძალადობით განპირობებული უარყოფითი შედეგების (როგორც სოციალური, ასევე ჰანმრთელობის თვალსაზრისით) შემცირების შესაძლებლობას. მომსახურებების მიწოდების მიდგომების ფართო სპექტრი მოიცავს ისეთ თერაპიულ მიღვომებს, როგორებიცაა კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია, ბავშვებთან არასათანადო მოპურობის ან პარტნიორის მხრიდან ძალადობის სკრინინგის შერწყმა შესაბამის ინტერვენციებთან, მაგალითად, მხარდამჭერ ჰაუფებთან, თავშესაფრებთან, შემთხვევის მართვასთან, გაუპატიურების მსხვერპლთათვის ჰანმრთელობის მომსახურებებთან, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო პროგრამები, და მინდობით აღმრდა, რომელიც მოიცავს სოციალური კეთილდღეობის მომსახურებებს (136, 137).

### კონსულტირება და თერაპიული მიდგომები

მტკიცებულება: ტრავმაზე ორიენტირებული კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია (TF-CBT) ეფექტურია ამცირებს ტრავმის სიმპტომებს და გრძელვადიან, უარყოფით ფსიქოლოგიურ და ემციურ შედეგებს იმ ბავშვებსა და მოზარდებში, ვინც გამოცადა ძალადობა. TF-CBT-ს მონაწილე ინდივიდებში ასეთი შედეგები 37%-ით, ხოლო ჰაუფებში კი 56%-ით შემცირდა (დიაგრამა 7) (133, 138). ზემოთ აღნიშნული ძალადობა მოიცავს ბავშვებთან არასათანადო მოპურობისა და ახალგაზრდებს შორის ძალადობის სხვადასხვა ფორმის, მათ შორის ჩხუბის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს. მკვლევრების ერთმა ჰაუფმა შესაძლებლად მიიჩნია TF-CBT-ის განხორციელება, გადამზადებული ჰანმრთელობის მუშაკების ჩართულობით როგორც მოწყვლად ბავშვებთან, ასევე ახალგაზრდა ქალებთან სამუშაოდ დაბალშემოსავლიან ქვეყნებში (139, 140).

**დიაგრამა 7:** ტრავმის სიმპტომების და ფუნქციური დარღვევის შემცირება  
11 ტრავმაზე ორიენტირებული კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის შედეგად





## TC-CBT-ის მამოყენება ძალადობამანცდილი ბავშვების რეაბილიტაციისთვის (ზამბია)

ზამბიას ქალაქ ლუსაკაში ხუთი თემიდან შეირჩა 5-დან 18 წლამდე 257 ბიჭი და გოგონა, რომლებსაც ერთხელ მაინც ჰქონდათ გადატანილი ტრავმული შემთხვევა (მათ შორის ძალადობა და ექსპლუატაცია). ისინი აღწერდნენ ტრავმასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სიმპტომებს (როგორიცაა პოსტრავმული სტრესული აშლილობა). ბავშვები შემთხვევითი პრინციპით გადანაწილდნენ ინტერვენციის ჰაგუფში, სადაც ისინი უნდა დასწრებოდნენ TF-CBT-ის 10-16 სესიას, ან საკონტროლო ჰაგუფში, სადაც მათ უნდა გაევლოთ „ჩვეულებრივი რეაბილიტაცია“, რომელიც განკუთვნილი იყო დაობლებული და მოწყვლადი ბავშვებისთვის. ჩვეულებრივი რეაბილიტაცია მოიცავდა ფსიქოსოფიალურ კონსულტაციას, თანასწორ-განმანათლებლობას, მხარდამჭერ ჰაგუფებს, აივ ინფექციის და შიდსის შემოწმებასა და მკურნალობას. უნდა აღინიშნოს, რომ TF-CBT-ის ინტერვენცია ხორციელდებოდა სპეციალურად მომზადებული, ზედამხედველობის ქვეშ მყოფი კონსულტანტების მიერ ნაცვლად პროფესიონალი ფსიქიკური კანმრთელობის მომსახურების მიმწოდებლებისა. კვლევის შედეგების მიხედვით, ინტერვენციის ჰაგუფის მონაწილეებს შორის ტრავმის სიმპტომები 82%-ით შემცირდა, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი რეაბილიტაციის ჰაგუფში სიმპტომების კლება 21%-ს შეადგენდა. ფუნქციური დარღვევა ინტერვენციის შედეგად 89%-ით შემცირდა, ჩვეულებრივი რეაბილიტაციის შედეგად კი - 68%-ით.

TF-CBT შესამჩნევად უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ჩვეულებრივი რეაბილიტაცია (140). ეს მიგნებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ნაკლებად სავარაუდოა, სფეროში მომსახურების მიმწოდებელი პროფესიონალი პირების რეკრუტირების ან გადამზადებული მეშაკების (ე. წ. lay workers) ტრავმასთან გამკლავების ერთზე მეტ მიდგომაში დასატრენინგებლად საკმარისი რესურსები იარსებებს (141).



## ინტერვენციებთან შერწყმული სკრინინგი

**მტკიცებულება:** ჰანმრთელობის სფეროს პროფესიონალების გადამზადება, იმისთვის რომ მოახდინონ განხორციელებული ძალადობის ანდა რისკის იდენტიფიცირება დახმარება მათ, მაღლევე შესთავაზონ პაციენტს შესაძლო ინტერვენციები. ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის რისკ-ფაქტორებზე ერთ-ერთი სამუშაო მოდელია **Safe Environment for Every Kid**, რომელიც მოიცავს პედიატრების გადამზადებას, იმისათვის, რომ მათ შეძლონ მშობლების დეპრესიის, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობისა და სტრესის იდენტიფიცირება და ამგვარი პრობლემების მქონე მშობლების დახმარება და/ან გადამისამართება. აშშ-ში, დაბალშემოსავლიანი ქალაქის თემში, ამ ინტერვენციის შემთხვევითად კონტროლირებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვთა დაცვის მომსახურებებში მიმართვიანობის მაჩვენებელი 31%-ით შემცირდა, ასევე შემცირდა უბალებელყოფასთან დაკავშირებული პრობლემებიც, რომლებიც დაფიქსირებული იყო ბავშვების სამედიცინო ანკეტაში და იკლო ბავშვების მიერ დედების მხრიდან სასტიკი ფიზიკური ძალადობის შემთხვევების შესახებ განცხადების რიცხვმა (142).

WHO-ს მიხედვით ინტიმური პარტნიორის ან ოჯახში ძალადობის „უნივერსალური სკრინინგი“ ან „პერიოდული გამოკითხვა“ (ანუ ქალებისთვის გარკვეული შეკითხვების დასმა ყველა სამედიცინო შემოწმების დროს) არ უნდა განხორციელდეს. თუმცა ჰანმრთელობაზე ზრუნვის მომსახურების მიმშოდებულებმა უნდა დასვან შეკითხვა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოსავლენად, როდესაც აფასებენ მდგომარეობას, რომელიც, შესაძლოა, გამოწვეული ან გართულებული იყოს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შედეგად (132). შესაბამისად, **U.S. Preventive Services Task Force** რეკომენდაციას უწევს რეპროდუქციული ასაკის ქალთა მიმართ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის სკრინინგის განხორციელებას, ინტერვენციასთან ერთად (მაგალითად, კონსულტაცია, რომლის დროსაც ხაზი ექნება გასმული უსაფრთხო ქცევებსა და ინფორმაციას თემის რესურსების შესახებ) და, ასევე, ამბობს, რომ ერთად ამ ინტერვენციებს მოაქვთ ზომიერი სარგებელი და, შესაბამისად, განიხილება, როგორც ეფექტუარი (143). შემთხვევითად კონტროლირებადი ავლევის შედეგად მიღებული მტკიცებულებები მხარს უჭერს რეპროდუქციული ასაკის ქალებისთვის განხორციელებულ სხვადასხვა ინტერვენციებს, მათ შორის კონსულტაციას, ოჯახში ვიზიტებს, საინფორმაციო ბროშურებს, თემის მომსახურებებთან გადამისამართებას და მენტორის მხარდაჭერას. ინტერვენციის ტიპის გათვალისწინებით, შესაძლოა, ეს მომსახურებები მოწოდებული იყოს ექიმების, ექთნების, სოციალური მუშაკების, მენტორების ან თემის მუშაკების მიერ. ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის სკრინინგი, კომბინაციაში შესაბამისი მომსახურებებთან, განსაკუთრებით რელევანტურია მოზარდი გოგონებისთვის, რომლებიც განიცდიან ძალადობას ინტიმური პარტნიორის მხრიდან. ასეთი სკრინინგი ასევე საჭიროა ოჯახში ძალადობის არაპირდაპირი გავლენისგან ბავშვების დასაცავადაც, რაც ზრდის იმის რისკს, რომ მომავალში ბავშვი გახდება ძალადობის მსხვერპლი ან განმახორციელებელი.

სხვა შემთხვევითად კონტროლირებულ კვლევაში, ორსული ქალების და პატარა ბავშვების მშობლების სკრინინგმა და კონსულტირებამ ქცევის შესახებ განაპირობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის განმეორების შემთხვევების 50%-ით შემცირება და მშობიარობის უკეთესი შედეგები (144). უფრო მეტიც, **Hawaii Healthy Start Program**-ის შედეგად, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის სკრინინგი და ოჯახში ვიზიტი, შემცირდა, როგორც ბავშვებზე ძალადობა, ასევე ძალადობა პარტნიორის მხრიდანაც. პროგრამის შეფასებაში ჩანს, რომ მაღალი რისკის ქვეშ მყოფ დედებთან ნახევრად პროფესიონალების ვიზიტებმა ოჯახში ეფექტუანად შეამცირა ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან (15%-ით) და არასათანადო მოპყრობა ბავშვებთან (40%-ით) (145, 146).



## კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის

### პროგრამები მართლმსაჯულების სისტემაში

**მტკიცებულება:** რამდენიმე სისტემატური მიმოხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ მართლმსაჯულების სისტემაში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციი პროგრამები ეფექტურად მუშაობს არასრულწლოვანი გოგონებისა თუ ბიჭების მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენის პრევენციისათვის. მიმოხილვამ ასევე აჩვენა, რომ ინტერვენციები, როგორიცაა კონსულტაცია ან უნარების განვითარების ტრენინგი (მათ შორის კოგნიტურ-ბიჰევიორალური მიდგომები) უფრო ეფექტურიანია, ვიდრე კონტროლსა ან იძულებაზე დაფუძნებული ისეთი სტრატეგიები, როგორიცაა მეთვალყურეობა, შეკავება და დისციპლინა (147).


ერთ-ერთი კვლევის (148) მიგნების თანახმად, პატიმრობაში მყოფ, განმეორებითი დანაშაულის ჩამდენ, მაღალი რისკის არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი პროგრამების შედეგად შემცირდა ზოგადად დანაშაულის, და, განსაკუთრებით კი მძიმე, ძალადობრივი დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევები. კოგნიტური და კოგნიტურ-ბიჰევიორალური ინტერვენციები, რომლებიც მორგებული იყო არასრულწლოვანთა რეფორმის ცენტრებში მყოფ მოზარდ ბიჭებსა და ახალგაზრდა კაცებზე, განსაკუთრებული ეფექტურიანობით გამოიჩინდა. ამის საფუძველზე შესაძლოა გავეთდეს დასკვნა, რომ ამგვარი რეაბილიტაცია სოციალურად სარგებლიანია, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ ძალადობრივ დანაშაულზე პასუხისმგებელი არასრულწლოვნები დამნაშავეებად ჩამოყალიბების მაღალი რისკის განვითარებით. ევროპაში არსებული სარეაბილიტაციო პროგრამების კვლევების სისტემურმა მიმოხილვამ (149) იგვენ დასკვნები აჩვენა. საუკეთესო პროგრამების განხორციელების შედეგად განმეორებითი დანაშაული 16 %-ით შემცირდა.

## მინდობითი აღზრდა, სოციალური კეთილდღეობის

### მომსახურებებთან ერთად

**მტკიცებულება:** მრავალ ქვეყანაში არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი (ან მაღალი რისკის ქვეშ მყოფი) და სხვა მოწყვლადი ბავშვები (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე), ხშირად მოთავსებული არიან ალტერნატიულ, ოჯახს გარეთ ზრუნვის მომსახურებებში (რაც შეიძლება იყოს მინდობით/ნათესაური მინდობით აღზრდა) ან ინსტიტუციურ მზრუნველობაში (როგორიცაა თავშესაფრები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები ან რეზიდენტული ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრები). თავშესაფარში მოთავსება, ძირითად მიდგომად რჩება უსაფრთხო რაჯახური ზრუნვის საჭიროების მქონე ბავშვების ადამიტოდელად. მთელ მსოფლიოში, სულ მცირე, 2 მილიონი ბავშვი სწორედ ასეთ გარემოში ცხოვრობს (150). თავშესაფარში მცხოვრები და მაღალი ხარისხის მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების შედარების კვლევებმა აჩვენა, რომ მინდობით აღზრდა ბავშვებს ტიპინის ფუნქციონირებაზე, კოგნიტურ განვითარებასა და სოციალურ-ემოციურ კეთილდღეობაზე ინსტიტუციონალიზაციის უარყოფითი შედეგებისგან იცავს (151). შესაბამისად, ის მიდგომები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლი ბავშვების უსაფრთხო რაჯახებში დარჩენას უზრუნველყოფს, ბავშვების საუკეთესო ინტერესის გამტარებელია.

ბოლო დროს ჩატარებული მიმოხილვის შედეგად მიღებულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, შესაძლოა ითქვას, რომ გარკვეული სახის მინდობითი აღზრდა უფრო ეფექტურიანია ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის შესამცირებლად, ვიდრე ტრადიციული მინდობითი აღზრდის პროგრამაში. ასეთი სახის პროგრამებია: გაძლიერებული მინდობითი აღზრდა (მაგალითად, სადაც უზრუნველყოფილია ტრენინგები შემთხვევაზე მომუშავე პირებისთვის ან უკეთესი ხელმისაწვდომობა მომსახურებებზე), მინდობით აღზრდა, რომელსაც თან ახლავს მუდმივი ტრენინგები და/ან მენტორობა, ნათესაური მინდობით აღზრდა, როდესაც ბავშვები, რომლებსაც არ შეუძლიათ სახლში ცხოვრება, მოთავსებული არიან ნათესავებთან ან ფახის მეობრებთან (152). ბევრი ქვეყანა, განსაკუთრებით კი მაღალშემოსავლიანი ქვეყნები, უპირატესობას ანიჭებენ ნათესავების მიერ აღზრდის მიდგომას. ერთ-ერთი მაღალი ხარისხის სისტემური მიმოხილვის (153) თანახმად, ნათესაური მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები გამოირჩევიან უკეთესი ქვევითი განვითარებით, ფსიქოკური ფანმრთელობითა და მზრუნველების მიმართ სტაბილური და ხარისხიანი ურთიერთობებით, ვიდრე ტრადიციულ მინდობით აღზრდაში ბავშვები.



# განათლება და სასიცოცხლო უნარები

---

მიზანი: ბავშვებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა  
უფრო ეფექტური, გენდერულად თანასწორ  
განათლებაზე, სოციალურ-ემოციურ სწავლებასა  
და სასიცოცხლო უნარების ტრენინგზე და მათთვის  
უსაფრთხო და ხელშემწყობი სასკოლო გარემოს  
უზრუნველყოფა



## დასაბუთება:

გოგონების და ბიჭების მიერ განათლების მიღება, რომელიც იზომება სკოლაში ჩარიცხვისა და დასწრების მაჩვენებლის მიხედვით, იცავს ბავშვებს ძალადობის გარკვეული ფორმების მსხვერპლობისა და ჩადენისგან; მათ შორისაა სექსუალური ძალადობა, მოზარდებს შორის ძალადობა, პარტნიორის ძალადობა და ადრეული ქორწინება. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს ძალადობის ისეთი შედეგების შემცირებას, როგორიცაა აივ ინფექცია, სექსუალური გზით გადამდები ინფექციები და არასასურველი ორგულობა (154, 155).

სკოლა მნიშვნელოვანი გარემოა ბავშვებისთვის, სადაც მათ, მასწავლებლებს და სკოლის სხვა პერსონალს, შეუძლიათ შეისწავლონ და გაითავისონ პროსოციალური ქცევა, რომელიც ხელს უწყობს ძალადობის პრევენციას სკოლასა და თემში. სასიცოცხლო უნარების ტრენინგები, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციას მათი კომუნიკაციის, კონფლიქტთან გამკლავების და პრობლემის გადაჭრის უნარების გაძლიერებითა და თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში დახმარებით. სასიცოცხლო უნარების ტრენინგის პროგრამების ჩასატარებლად სკოლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სივრცეა, თუმცა მათი ჩატარება ასევე შესაძლებელია ისეთ არაფორმალურ გარემოშიც, როგორიცაა სათემო ცენტრები იმ ბავშვებისთვის რომლებიც სკოლაში არ დადიან და ლტოლვილთა ბანაკები. როგორც წესი, ისინი ხორციელდება რამდენიმე წლის განმავლობაში და, შესაძლოა, მოიცავდეს 20-დან 150-მდე კლასზე დაფუძნებულ სესიას. მრავალი პროგრამა მოიცავს ასაკობრივ მოდულებს, სკოლამდელი და ბალის ასაკის ბავშვებიდან დაწყებითი და საშუალო სკოლის ასაკის ბავშვებამდე.

ეს სტრატეგია, ხელს უწყობს და, თავის მხრივ, მხარდაჭერილია აქტივობებით, იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) 4.4, 4.7, 4.a და 5.1:

- 4.4 2030 წლისთვის, დასაქმების, ღირსეული სამუშაოსა და მეწარმეობისთვის საჭირო შესაბამისი უნარების, მათ შორის ტექნიკური და პროფესიული უნარების, მქონე ახალგაზრდებისა და ზრდასრულების რიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდა,
- 4.7 2030 წლისთვის, იმ ცოდნისა და უნარების დასწავლის უზრუნველყოფა, რომელიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას. ეს ცოდნა უნდა მიიღონ ისეთი საგანმანათლებლო აქტივობებიდან, რომლებიც ეხება მდგრად განვითარებას, ადამიანის უფლებებს, გენდერულ თანასწორობას, მშვიდობითი და არაძალადობრივი კულტურის ხელშეწყობას, გლობალურ მოქალაქეობას, კულტურული მრავალფეროვნების და მდგრად განვითარებაში კულტურის წვლილის დაფასებას,
- 4.ა ბავშვთა, შეზღუდული შესაძლებლობისა და განდერული საკითხების მიმართ მგრძნობიარე საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარება და უსაფრთხო, არაძალადობრივი, ინკლუზიური და ეფექტური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა ყველასთვის,
- 5. 1 ქალებისა და ბავშვების მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრა.

## განათლებისა და სასიცოცხლო უნარების შესაძლო გავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებაზე:

- სკოლაში დასწრებისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება;
- ბავშვთა ქორწინების შემთხვევების შემცირება;
- სექსუალური ძალადობის შემცირება;
- ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური და სექსუალური ძალადობის განხორციელებისა და მსხვერპლად გახდომის რიცხვის შემცირება;
- გოგონების და ბიჭების გაძლიერება, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის იდენტიფიცირებისა და მისგან თავის დასაცავად;
- აგრესიული და ძალადობრივი ქცევის შემცირება;
- ნარკოტიკების მომხმარებისა და ალკოჰოლის გადაჭარებული მიღების შემცირება;
- ბულინგის შემცირება.



# მიდგომები

მტკიცებულებებით გამყარებულია ამ სტრატეგიის გარკვეული მიდგომების ეფექტუანობა. ასეთ მიდგომებს შორისაა ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე სკოლაში ჩარიცხული ბავშვების რაოდენობის გაზრდა, უსაფრთხო და ხელშემწყობი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბება, ბავშვებში ძალადობისგან თავის დაცვისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების ამაღლება, სასიცოცხლო და სოციალურ უნარების ტრენინგი; და მოზარდებს შორის ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის პრევენციის პროგრამები. ბავშვებისა და მოზარდებისთვის სასიცოცხლო უნარების სწავლება ხელს უწყობს ძალადობის გარეშე რისკებთან და გამოწვევებთან გამკლავებას, რაც მნიშვნელოვანია სკოლებსა და თემებში ძალადობის შესამცირებლად.

## სკოლამდელ, დაწყებით და საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულთა რაოდენობის გაზრდა

**მტკიცებულება:** ზიმბაბვეში, ობოლი გოგონების სასკოლო მხარდაჭერის ინტერვენციის ექსპერიმენტული შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ ბავშვებში, რომლებიც იღებდნენ სწავლის დაფინანსებას, სასკოლო მასალებს, ფორმას და ფანმრთელობისა და ჰიგიენისთვის საჭირო პროდუქტებს, სკოლიდან გარიცხვის დონე 82%-ით, ხოლო ადრეული ქორწინება 63%-ით შემცირდა (154). სკოლის ბაზაზე არსებულმა ადრეული განათლების პროგრამებმა, როგორიცაა აშშ-ს ქალაქ ჩიკაგოში არსებული **Child-Parent Center Program** (რომელიც მხარს უჭერს სკოლამდელი განათლების მიღებას 3 წლიდან, და უწყვეტ განათლებასა და მშობლების მხარდაჭერას 9 წლამდე), განაპირობა პროგრამასთან დაკავშირებული ახალგაზრდა, ზრდასრული ადამიანების, ძალადობრივი დანაშაულის გამო დაკავების 30%-ით შემცირდა (155).

## უსაფრთხო და ხელშემწყობი სასკოლო გარემო

**მტკიცებულება:** Good School Toolkit-ის (რომელიც განავითარა უგანდაში არსებულმა არასამთავრობო ორგანიზაცია **Raising Voice**-მა) მიზანია, სკოლის პერსონალის მიერ, 11-14 წლის ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირება პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნის და მოსწავლეებს, თანატოლებასა და ავტორიტეტულ პირებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით. უგანდის რაიონ ლუვეროს 42 სკოლაში შემთხვევითად შემოწმდა პროგრამის ეფექტუანობა. აღმოჩნდა, რომ იგი ეფექტუანად ამცირებდა სკოლის პერსონალის მიერ ბავშვებზე ძალადობას (დიაგრამა 8). ინტერვენციას არ გამოუწვევით შემთხვევები, თუმცა 434 ბავშვი გადამისამართდა ბავშვთა დაცვის მომსახურებებთან იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც მიღებულ იქნა გამოკითხვის შედეგად (156). კოლუმბიაში განხორციელებული პროგრამა Aulas en Paz-ის ამგვარი ყოვლისმომცველი მიდგომის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ძალადობა და აგრესიული ქცევა (157).

**დიაგრამა 8:** Good Schools Toolkit-ის განხორციელების შედეგად სკოლის პერსონალის მიერ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირება წინა კვირის მონაცემებთან შედარებით





## უსაფრთხო და ხელშემწყობი სასკოლო გარემოს პროგრამა განახორციელა გაეროს ბავშვთა ფონდის ხორვატიის ოფისში ხორვატიის მეცნიერების, განათლებისა და სპორტის სამინისტროსა და განათლებისა და მასწავლებლის გადამზადების სააგენტოსთან პარტნიორიბით. პროგრამას ჰქონდა ორი მიმართულება. პირველი იყო საჭარო კამპანია „ბავშვთა მიმართ ძალადობის შეჩერება“, რომლის მიზანიც გახლდათ სოციალური ცვლილების ხელშემწყობა ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის შესახებ ცოდნის ამაღლებით. პროგრამა განსაკუთრებით ფოკუსირებული იყო სკოლებში თანატოლთა შორის ძალადობაზე, აგრესიასა და ბულინგზე. მეორე კომპონენტი იყო სკოლის ბაზაზე განხორციელებული ინტერვენცია, რომელიც მიზნად ისახავდა სკოლაში თანატოლებს შორის ძალადობის შემთხვევების შემცირებას, უსაფრთხო და ხელშემწყობი სასკოლო გარემოს გაძლიერებასა და ბავშვების ჩართვას სასკოლო პოლიტიკის შემუშვებასა და ძალადობის შესაჩერებელი აქტივობების დაგეგმვაში.

შედეგად, 2004-იდან 2011 წლამდე პერიოდში, ძალადობის დონე განახევრდა ხორვატიის დაწყებითი სკოლების 37%-ში. ამ დროის განმავლობაში, პროგრამა 301-მა სკოლამ (ძირითადად დაწყებითებმა) განახორციელა, 163-მა სკოლამ მოიპოვა ტიტული „სკოლა ძალადობის გარეშე“, პროგრამაში ჩართვიდან სამი წლის თავზე 85-მა სკოლამ მოახერხა ამ ტიტულის მეორედ მოპოვება.

პროგრამა შეფასდა 2005, 2008 და 2012 წლებში. 2008 წლის შეფასების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მონაცემები:

- ინტენსიური ბულინგის შემთხვევების განახევრება, 10%-იდან 5%-მდე,
- ბავშვებში ბულინგის განხორციელების მაჩვენებლის შემცირება 13%-დან 3%-მდე,
- ბავშვების 55%-ზე მეტმა დააფიქსირა, რომ სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ.

ბავშვების მონათხოვის თანახმად მასწავლებლების 63% ჩაერია თანატოლებს შორის კონფლიქტში ძალადობის შესაჩერებლად, მაშინ, როდესაც 2004 წელს, ბავშვების თქმით, მასწავლებლების მხოლოდ 30%-მა გამოიჩინა ამგვარი ინიციატივა. 2005 წელს, საზოგადოების აზრის შეფასებამ კამპანიის ცნობადობის მაღალი დონე აჩვენა - რესპონდენტების 92%-მა იცოდა კამპანიის შესახებ; ისინი კამპანიას განსაკუთრებით დადგებითად აფასებდნენ (56%-მა უმაღლესი შეფასება დაუწერა პროექტს). ხორვატიის შედეგების შემდეგ იუნისეფმა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა წამოიწყეს პროგრამა „სკოლა ძალადობის გარეშე“ ბულგარეთში, ყაზახეთში, მონტენეგროში, სერბეთსა და სლოვენიაში.

უსაფრთხო და ხელშემწყობი სასკოლო გარემოს პროგრამის შეფასების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ [http://www.unicef.org/evaldatabase/files/UNICEF\\_6\\_12\\_2\\_final.pdf](http://www.unicef.org/evaldatabase/files/UNICEF_6_12_2_final.pdf)



იმის აღიარებამ, რომ ზამბიაში ობოლი და მოწყვლადი ბავშვების ფსიქოსოციალური მხარდაჭერის საჭიროებები ვერ კმაყოფილდებოდა სკოლაში, განაპირობა მასწავლებლების გადამზადების პროგრამის „ფსიქოსოციალური ზრუნვა, მხარდაჭერა და დაცვა“ შექმნა (158). ეს 15-თვიანი, დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამა მასწავლებლებს აძლევს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც სკოლის გარემოს გასაუმჯობესებლად, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოსაჩენად და სასკოლო და სათემო ურთიერთობების სამართავადაა საჭირო. მოდულის თემებია: თვითზრუნვა და ფსიქოსოციალური კეთილდღეობა; ფსიქოსოციალური მხარდაჭერის უნარების გაძლიერება და მათი გამოყენება მასწავლებლად კეთილდღეობის ამაღლებისთვის, უსაფრთხო და თანასწორი სასკოლო გარემოს შექმნა და გამდიდრება, ძლიერი და პოზიტიური შიდა სასკოლო (მაგალითად, მასწავლებელ-მოსწავლეს ან მასწავლებლებს შორის ურთიერთობები) და სკოლა-თემს შორის არსებული ურთიერთობების ჩამოყალიბება. 2013-2014 წლებში ჩატარებული შემთხვევითად კონტროლირებული ექსპერიმენტის მიხედვით, სადაც მონაცილეობდა 325 მასწავლებელი და 1378 მოსწავლე, პროგრამამ ეფექტურად გაზარდა მოსწავლის მიერ აღქმული პატივისცემა სკოლებში; გაიზარდა ასევე მოსწავლის მიერ აღქმული სკოლის უსაფრთხოება და სექსუალური ძალადობის შემთხვევებში დახმარების თხოვნის ან მასზე რეაგირების სურვილი; შემცირდა მათი ჩართულობა ფიზიკური და ემოციური ბულინგის შემთხვევებში. პროგრამამ ასევე განაპირობა მასწავლებებში თვითზრუნვის გაზრდა და საკლასო და სასკოლო უსაფრთხოების უკეთ აღქმა (158).

### ბავშვების ცნობიერების ამაღლება

#### სექსუალური ძალადობისგან თავდაცვის გზებზე

**მტკიცებულება:** იმის მიუხედავად, რომ სექსუალური ძალადობისგან თავის დაცვის გზებზე ბავშვებისთვის ცოდნის ამაღლების პროგრამა, შესაძლოა, ნებისმიერ გარემოში განხორციელდეს, დღემდე შეფასებული ყოველი მათგანი სკოლებში განხორციელდა. პროგრამების ფარგლებში, ბავშვებს უღვივებენ სხეულისადმი კუთვნილებისა და ზრუნვის განცდას და ასწავლიან მისაღები და მიუღებელი შეხების ერთმანეთისგან გარჩევას, ძალადობრივი სიტუაციების ამოცნობას, „არა“-ს თქმას და ნდობით აღქურვილი უფროსი ადამიანისთვის ძალადობის შემთხვევების განდობას. ბევრმა მიმოხილვითმა კვლევამ, რომელმაც შეაფასა ეს პროგრამები, აღმოაჩინა, რომ ის ეფექტურიანია ასეთი ძალადობის წინააღმდეგ დამცავი ფაქტორების გასაძლიერებლად მაგალითად, სექსუალური ძალადობის და თავდაცვითი ქცევების ცოდნა), თუმცა იმის დასადგენად, ამცირებს თუ არა ის უშეალოდ ძალადობას, მეტი კვლევის ჩატარებაა საჭირო (159). მტკიცებულებების თანახმად, გენდერისა და სოციალური ნორმების მნიშვნელობა ხაზგასმული უნდა იყოს სექსუალური ძალადობის შემთხვევების განხილვისას, ხოლო „მთლიანი სკოლის“ მიღებობა მოთხოვნილ უნდა იქნეს. ეს მოიცავს ინკლუზიური და თანასწორი სასკოლო პოლიტიკის არსებობის უზრუნველყოფას, სკოლის ხელმძღვანელობის ჩართვას, სოციალური და გენდერული ნორმებისა და უთანასწორობის მიმართ მგრძნობიარე სწავლების მეთოდების შემუშავებას.<sup>6</sup>

კენიის ქალაქ ნაირობიში პროგრამა **No Means No Empower** აძლიერებს მოზარდ გოგონებს, უმაღლებს მათ თვითშეფასებას და ასწავლის თავდაცვის მეთოდებს, იმისათვის, რომ შეამციროს სექსუალური ძალადობის მსვერცლად ქცევის რისკი. პროგრამის მიმოხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ 34%-ით გაიზარდა სექსუალური ძალადობის შემთხვევების განდობის აღბათობა, ხოლო სექსუალური ძალადობის წლიური სიხშირე 38%-ით შემცირდა (160-161). პროგრამის სხვა კონტექსტზე მორგებისას უნდა არსებობდეს ძლიერი შეფასების კომპონენტები, იმისთვის, რომ პროგრამა იყოს, როგორც უსაფრთხო, ასევე ეფექტური.

6


სამ აფრიკულ ქვეყანაში, ბოტსვანაში, განაში და სამხრეთ აფრიკაში ჩატარებული კვლევების Trends in International Mathematics and Science Study-ის და the Progress in International Reading Literacy Study-ის, 2011 წლის ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით ბულინგი დაბალი აკადემიური მოსწრების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზია. იბილეთ (164).



## სასიცოცხლო და სოციალური უნარების ტრენინგი

**მტკიცებულება:** სკოლის ბაზაზე ჩატაზე ჩატარებული სასიცოცხლო და სოციალური უნარების ტრენინგ-პროგრამების (რომელთა უმეტესობა აშშ-ში ჩატარდა) 249 კვლევის ანალიზის აჩვენა მათი გავლენა აგრესიულ და საზიანო ქცევაზე, მათ შორის ჩხუბზე, ფიზიკურ ძალადობაზე, ბულინგისა და სიტყვიერ კონფლიქტზე. ანალიზმა აჩვენა, რომ განხორციელებული პროგრამების შედეგად ასეთი პრობლემები 25%-ით შემცირდა ყველა მოსწავლესთან, ხოლო მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეების ჯგუფის შემთხვევაში კი 33%-ით (დიაგრამა 9). ინტერვენციამ ერთნაირად დადებითი გავლენა მოახდინა გოგონებსა და ბაჟებზე (162).

**დიაგრამა 9:** აგრესიული და მავნე ქცევის შემცირება სკოლის პირობებში, სასიცოცხლო უნარების და სოციალურ-ემოციური 249 ტრენინგ-პროგრამების შედეგად



**U.S Task Force on Community Preventive Services**-მა ასევე მიაკვლია ძლიერ მტკიცებულებას, იმის შესახებ, რომ საყოველთაო, სკოლის ბაზაზე განხორციელებული სასიცოცხლო უნარების პროგრამა, ბავშვებს შორის ძალადობის შემთხვევებს საშუალოდ 15%-ით ამცირებს. ასეთი პროგრამები ხორციელდებოდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან, ბალის ასაკის ბავშვებიდან მეთორმეტე კლასამდე (17-18 წლის მოსწავლეები). ერთი კლასტერული, შემთხვევითად კონტროლირებული კვლევის თანახმად, სამი წლის შემდეგ **Positive Action**-ის პროგრამაში მონაწილე მოსწავლეებს შორის ძალადობრივი ქცევა შემცირდა 36%-ით, ხოლო ბულინგი 41%-ით (163).



## პოზიტიური მოზარდობის ტრენინგი პოლისტიკური სოციალური პროტოკოლი (PATHS) (ჩინეთი)

ფსიქიკური ჭანმრთელობის პროტოკოლების, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების, თვითმკვლელობის, სკოლაში ძალადობისა და მოზარდებზე ოჯახის დანგრევის გავლენის საკითხებზე სამუშაოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჰონგკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის, აკადემიკოსებმა, ხუთი ადგილობრივი უნივერსიტეტიდან ჩამოყალიბებს კვლევითი ჯგუფი. ჯგუფის მიზანი იყო მრავალწლიანი, უნივერსალური, პოზიტიური განვითარების პროგრამის შემუშავება პოლისტიკური სოციალური პროგრამების საშუალებით (PATHS) (165), რომელიც პოზიტიური მოზარდობის ტრენინგის სახელითაა ცნობილი.

PATHS-ს აქვს ახალგაზრდული განვითარების პროგრამა 12-14 წლის გოგონებისა და ბიჭებისთვის, ასევე, მეორე ტრენინგ-პროგრამაც, რომელიც სპეციალურად შეიქმნა თითოეული სასკოლო საფეხურის განსაკუთრებული, ფსიქოსოციალური საქიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. ტრენინგის მიზანია ურთიერთკავშირისა და მედეგობის ხელშეწყობა, სოციალური, ემოციური, კოგნიტური და ქავევითი უნარების გაძლიერება, თვითშეფასების ჩამოყალიბება, დადებითი სოციალური ქავევისა და ნორმების წახალისება. პროგრამის შედეგად გაუმჯობესდა პოზიტიური განვითარების დონე, შემცირდა მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების, თავდასხმის, ჩხუბის და სხვა დანაშაულებრივი ქავევების დონე (165).

### მოზარდებს შორის ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის პრევენციის პროგრამები

**მტკიცებულება:** აშშ-ს შტატ ჩრდილოეთ კეროლაინაში განხორციელებული პროგრამა **Safe Dates**-ის კლასტერული შემთხვევითი კვლევის შედეგად, რომლის მიზანიც იყო ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემცირება დაუქორწინებელ, რომანტიკულ ურთიერთობაში მყოფ მოზარდებს შორის, 12-14 წლის მონაწილე ბიჭებსა და გოგონებში, ერთთვიანი მონაწილეობის შემდეგ 25%-ით შემცირდა ფსიქოლოგიური, 60%-ით კი ფიზიკური და სექსუალური ძალადობა. პროგრამა ასევე დაკავშირებული იყო თანატოლებს შორის ძალადობისა და იარაღის ტარების შემცირებასთან (166). ოთხი წლის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა პროგრამის მონაწილეების მიერ თვითგანცხადებული, ფიზიკური ძალადობის და ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობისა და ვიქტიმიზაციის რიცხვი (167). სექსუალური ძალადობის შემცირების პროგრამებში მონაწილე უნივერსიტეტის სტუდენტებსა და სპორტსმენებს შორის ჩატარებული რამდენიმე კვლევის თანახმად, გაიზარდა უარყოფითი დამოკიდებულება შეხვედრაზე (პარმანზე) გაუპატიურების შემთხვევების მიმართ (168, 169). **Real Consent** პროგრამა იყო ინტერაქტიული, ინტერნეტზე დაფუძნებული ინტერვენცია, კოლექს ვაჟი სტუდენტებისთვის სექსუალური ძალადობის ჩადენის შესამცირებლად. პროგრამის შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ პროგრამა დაკავშირებული იყო ინტერვენციიდან 6 თვის შემდეგ თვითგანცხადებული ძალადობის ჩადენის შემთხვევების მნიშვნელოვან კლებასთან (169).



# Stepping Stones

(სამხრეთ აფრიკა)

Stepping Stones არის სასიცოცხლო უნარების ტრენინგ-პროგრამა, რომელიც თავდაპირველად ჩამოყალიბდა, რომორც აივ ინფექციის პრევენციის პროგრამა, და რომელიც ეფექტუანად ამცირებს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას 15-26 წლის გოგონებსა და ბიჭებში. პროგრამა სიღრმისეულად შეფასდა და განხორციელდა გლობალური მასშტაბით (170). იგი ხელს უწყობს მონაწილეებს, ჩაუღრმავდნენ საკუთარ დამოკიდებულებებს და ქცევას როლური თამაშების და სპექტაკლების მეშვეობით. პროგრამა, შექმნილია იმისათვის, რომ გააუმჯობესოს სექსუალური განმრთელობა პარტნიორებს შორის უფრო ძლიერი და თანასწორი ურთიერთობების ჩამოყალიბებით, და ფოკუსირებულია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: გენდერზე დაფუძნებული ძალადობა, აივ ინფექცია, ურთიერთობისთვის საჭირო უნარები და ასერტულობა.

პროგრამა რამდენიმე სხვადასხვა ქვეყანაში შეფასდა: ყველაზე საფუძვლიანი იყო სამხრეთ აფრიკის აღმოსავლეთ კეიპის პროვინციაში ჩატარებული შემთხვევითად კონტროლირებული კვლევა, სადაც მონაწილეობდნენ 15-26 წლის გოგონები და ბიჭები. აღმოჩნდა, რომ ინტერვენციიდან 2 წლის შემდეგ ბიჭები და კაცები ნაკლებად ძალადობდნენ ქალებზე და უწევდნენ მათ ექსპლუატაციას. ინტერვენციამდე არსებულ მონაცემებთან შედარებით მონაწილეები ნაკლებად იყვნენ ჩართული ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის (171), გაუპატიურების (172) და სარგებლის სანაცვლოდ სექსუალური კონტაქტის დამყარების შემთხვევებში (173).

სხვა ქვეყნებში ჩატარებული Stepping Stones-ის მცირემასშტაბიანმა შეფასებებმა აჩვენა კაცების მიერ ინტიმურ პარტნიორზე ძალადობის შემცირება (174, 175). ინტერვენციიდან 24 თვის შემდეგ (12 თვის შემდგომ მონაცემებთან შედარებით) ძალადობრივი ქცევის სიხშირე განაგრძობს კლებას, რაც იმის მანიშნებელია, რომ პოზიტიური ქცევა დროის გასვლასთან ერთად მყარდება. უფრო მეტიც, Stepping Stones-ის თვისებრივი კვლევის თანახმად, პროგრამამ განათლების მეშვეობით შეცვალა ახალგაზრდა კაცების დამოკიდებულებები. პროგრამის საშუალებით მათ ისწავლეს, თუ როგორ უნდა შეამცირონ აივ ინფექციის რისკი. პროგრამამ მათ ასევე შეუწყო ხელი, უფრო გახსნილად ესაუბრათ და გაეცვალათ ინფორმაცია აივ ინფექციასთან დაკავშირებით. ამ პროცესში კაცებმა ასევე გაითავისეს ზოგადი სასიცოცხლო უნარები, რის შედეგადაც ისინი გახდნენ უკეთესი პარტნიორები, მეგობრები, ოჯახის წევრები და მოქალაქეები (176).

აივ ინფექციის პრევენციისა და ინტერვენციის პროგრამის შეფასების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ:

<http://www.mrc.ac.za/policybriefs/steppingstones.pdf>



# INSPIRE

ურთიერთმკვეთი  
აქტივობები

---

# ურთიერთმკვათი აქტივობა 1: მრავალსევტორული მოქმედებები და პოორდინაცია

INSPIRE ტექნიკური პაკეტის განსახორციელებლად საჭიროა განათლებაზე, ჰანმრთელობაზე, მართლმსახულებასა და სოციალურ კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი, ეროვნული და ადგილობრივი სახელისუფლებო დეპარტამენტების, კერძო სექტორისა და ისეთი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობა, როგორებიცაა პროფესიული ასოციაციები, რწმენაზე დაფუძნებული ორგანიზაციები, აკადემიური ინსტიტუტები, ფონდები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ დაინტერესებულ მხარეებს ერთობლივად შეუძლიათ შეამცირონ ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკფაქტორები, ინდივიდუალურ, ოჯახურ, სათემო და საზოგადოებრივ დონეზე და, ამავდროულად, ხელი შეუწყონ უსაფრთხო, სტაბილური და ხელშემწყობი ურთიერთობებისა და გარემოს შექმნას ბავშვებისა და ოჯახებისთვის.

მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრევენციული პროგრამებისა და მომსახურებების განხორციელება დამოკიდებულია ამ სექტორების უკან მდგომი სისტემების სიძლიერეზე (და ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემებზე მუშაობისთვის მზაობაზე) კოორდინაციის უზრუნველყოფის ეფექტურ მექანიზმებთან ერთად.

## სევტორების ნვლილი

INSPIRE სტრატეგიების განხორციელებაში თითოეული სექტორის როლი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული იქნება. განსხვავებული იქნება სექტორების მზაობაც, წელილი შეიტანონ ამ საქმეში. ამის მიუხედავად შემდეგი სექტორები, დიდი ალბათობით, გაუძლებიან შვიდი სტრატეგიის განხორციელების მცდელობებს:

- **კანონების განხორციელება და აღსრულება:** ეროვნული დონის საკანონმდებლო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კანონების შედგენაზე, ამოქმედებასა და აღსრულებაზე.
- **ნორმები და ღირებულებები:** სამინისტროები, რომლებიც მუშაობენ გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე, ქალთა და ბავშვთა თემებზე, თუმცა ყოველ სექტორს მნიშვნელოვანი როლი შეაქვს მათი აღსრულების უზრუნველყოფაში.
- **უსაფრთხო გარემო:** შინაგან საქმეთა, ინფრასტრუქტურასა და დაგეგმარებაზე მომუშავე სამინისტროები, ადგილობრივი ხელისუფლება და მუნიციპალიტეტები.
- **მშობლისა და მზრუნველის მხარდაჭერა:** საზოგადოებრივი ფანდაციისა და სოციალური კეთილდღეობის სისტემები.
- **შემოსავალი და ეკონომიკური გაძლიერება:** ფინანსთა, შრომის და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები.
- **რეაგირებისა და მხარდაჭერის მომსახურებები:** ფანდაციისა და სოციალური კეთილდღეობის სექტორები. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებზე, მსხვერპლებზე და მოწმებზე ორიენტირებულ ინტერვენციებს, როგორც წესი, ახორციელებენ მართლმსაჭულებისა და უსაფრთხოების სექტორები.
- **განათლება და სასიცოცხლო უნარები:** საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ინტეგრირებულად მუშაობის შემთხვევაში, ამ სექტორებს შეუძლიათ ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკფაქტორების უარყოფითი გავლენის შემცირება ინდივიდუალურ, ახლო ურთიერთობების, თემისა და საზოგადოების დონეზე და, ამავდროულად, ბავშვებისა და ოჯახებისთვის უსაფრთხო, სტაბილური და ხელშემწყობი ურთიერთობების და გარემოს შექმნის მხარდაჭერა.

გარდა იმისა, რასაც ფორმალური სამთავრობო სექტორი აკეთებს, თემზე დაფუძნებული ბავშვთა დაცვის მექანიზმები სულ უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენება, თუმცა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირების თვალსაზრისით მათი ეფექტურობა არ არის სათანადოდ შეფასებული (იხილეთ მაგალითი 3).

### მაგალითი 3

#### **თემზე დაფუძნებული ბავშვთა დაცვის მექანიზმები**

თემზე დაფუძნებული ბავშვთა დაცვის მექანიზმები წარმოადგენს ბავშვთა დაცვისათვის მოწინავე სახეს საგანგებო, გარდამავალ და განვითარებად კონტექსტში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ბოლოდროინდელ უწყებათაშორის მიმოხილვაში (177) აღნიშნულია, რომ ადგილობრივი საზოგადოებრივი ჰავუფების მობილიზაცია პროგრამული რეაგირების გავრცელებულ მიდგომად ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით კი შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში. საერთაშორისო სააგენტოები უპირატესობას ანიჭებენ ბავშვთა დაცვის თემზე დაფუძნებულ მექანიზმებს ისეთ ადგილებში, სადაც ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუძლია ან სურვილი არა აქვს, უზრუნველყოს ბავშვთა უფლებები. თუმცა ამჟამად ასეთი მექანიზმების ეფექტურობის, ხარჯის, მასშტაბურობისა და მდგრადობის მყარი მტკიცებულები საკმარისად არ არის. ეს ყველაფერი ხელს უშლის ანგარიშვალდებულებას, ართულებს ეფექტური პრაქტიკის განსაზღვრას, პრაქტიკოსებისთვის შესაბამისი უწყებათაშორისი მითითებების განვითარებას და პრაქტიკის ხარისხის ჰარმონიზაციას.

ეს ასევე ხელს უშლის, ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის მხარდაჭერისთვის საჭირო დაფინანსების მოპოვების მცდელობებს ბავშვთა დაცვის სისტემებში, სახელისუფლებო ინვესტიციის გაზრდისთვის ეფექტური ადვოკატებისას, ყველაზე ეფექტური პრაქტიკისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებას. უწყებათაშორისო მიმოხილვის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე გამოწვევა, რომლის დაძლევაც საჭიროა იმისთვის, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს თემზე დაფუძნებული ბავშვთა დაცვის მექანიზმის წვლილი. ყველაზე მნიშვნელოვანია მტკიცებულებათა ბაზის გაძლიერება. ეთიკური თვალსაზრისით გამართული სისტემერი შეფასებები უნდა ჩატარდეს რეგულარულად თემზე დაფუძნებული ბავშვთა დაცვის განუფების გავლენის შესასწავლად, ბავშვთა დაცვასა და კეთილდღეობაზე (177). ამ პაკეტში მოცემული რამდენიმე ინტერვენცია ჩატარდა ისეთ გარემოში, სადაც დიდი ალბათობით ფუნქციონირებს თემზე დაფუძნებული ბავშვთა დაცვის სისტემები. INSPIRE ტექნიკური პაკეტი, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს ასეთ სისტემებს, რომ მოარგონ და გამოიყენონ ის საჭიროების მიხედვით.

შესაბამის სისტემასთან ერთად თითოეული სექტორის უპირველესი ამოცანაა, მხარი დაუჭიროს ინდივიდებს, ოჯახებს და თემს, იმისათვის, რომ მშობლებს, ოჯახის წევრებს და ავორიოტეტის მქონე პირებს (მაგალითად, მასწავლებლებს) შეეძლოთ ბავშვების აღზრდა, სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც საჭიროა იმისათვის, რომ თითოეულმა ბავშვმა მიაღწიოს განვითარების სრულ პოტენციალს.

**სექტორების მეორე ამოცანაა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება, იმისათვის, რომ უზრუნველყოს მსხვერპლთა უსაფრთხოება და მხარი დაუჭიროს მათ, შეამციროს ასეთი ძალადობის გავლენა და ხელი შეუშალოს ძალადობის განმეორებას. თუ რომლის განხორციელება იქნება პრიორიტეტული, დამოკიდებულია ქვეყანაზე, თუმცა საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა პრევენციაზე მუშაობა და არა დამსჯელობითი ზომების გატარება.**

წერი ქვეყნების თხოვნით, გაეროს რამდენიმე კონკრეტული სახელისუფლებო სექტორებისთვის ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების შესაძლებლობის გაძლიერებისათვის შეადგინა რესურსები და საერთაშორისო მასშტაბით შეთანხმებული სტანდარტები. მათ შორისაა, მაგალითად, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) მიერ შექმნილი გაეროს მოდელი სტრატეგიები და პრაქტიკული ზომები ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად დანაშაულის პრევენციისა და მართლმასაჭულების სფეროში, და კანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) გლობალური სამოქმედო გეგმა, მრავალსექტორული რეაგირების ფარგლებში კანდაცვის სექტორის როლის გაძლიერება ინტერპერსონალური ძალადობის საკითხებზე სამუშაოდ, განსაკუთრებით ქალებისა და გოგონების და ბავშვების მიმართ. ამგვარი პოლიტიკის დოკუმენტები წევრი ქვეყნებისგან მოითხოვს კონკრეტულ მოქმედებებს, რომელთა განხორციელების შემთხვევაშიც შესაბამის სექტორებს საშუალება ექნებათ, სისტემური გზით ჩაერთონ ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემის გადაჭრაში, და განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრევენციისა და რეაგირების სტრატეგიებზე.

იმ სექტორებს, რომლებისთვისაც არ არსებობს გაეროს პოლიტიკის მითითებები, შეუძლიათ გამოიყენონ ეს დოკუმენტები იმისათვის, რომ მოამზადონ ამგვარი დოკუმენტი საკუთარი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბებულია ძლიერი დარგობრივი სისტემები, ეფექტური კოორდინაციის მექანიზმები ემარება მრავალსექტორული წვლილის ინტერპერსონალური გზით რეაგირებაზე მიმართ ძალადობის პრობლემის გადაჭრაში, და განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრევენციისა და რეაგირების სტრატეგიებზე.

# კოორდინაციის მექანიზმები

იმის მიუხედავად, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად მრავალი ქვეყნის დაინტერესებული მხარეები მუშაობენ, მათი ძალისხმევა ყოველთვის კარგად კოორდინირებული და მხარდაჭერილი არ არის, და მხოლოდ მათი მცირე რაოდენობა ხორციელდება ფართო მასშტაბით. შესაბამისად, საკოორდინაციო მექანიზმები აუცილებელია, რადგან არც ერთ ცალკეულ სექტორს არ შეუძლია ინტერვენციების სრული პაკეტის დამოუკიდებლად განხორციელება, და ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეეჭიდება ბავშვების მიმართ მზარდ საფრთხეებს, რომელიც ახლა უკვე ეროვნულ საზღვრებს სცდება. შესაბამისად, INSPIRE-ის განხორციელებაზე მიმართულმა ძალისხმევამ უნდა წაახალისოს თანამშრომლობა და ცოდნის გაზიარება, როგორც ქვეყნის შიგნით,

## ეროვნული მექანიზმები

კოორდინაციის პასუხისმგებლობა დიდი და ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის საჭირო ლიდერობის და კოორდინაციის მექანიზმები უნდა ჩამოყალიბდეს მათი არარსებობის შემთხვევაში და გაძლიერდეს თუ არსებობს ასეთი სახის სუსტი მექანიზმები. სექტორებს შორის ინფორმაციის გაცვლის სისტემები უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენადა ისინი ძალადობის პრევენციაზე ფორკუსირებული და რამდენად ოპტიმალურად ხდება საპასუხო მომსახურებების ამოქმედება. იდეალურ შემთხვევაში ამ მექანიზმებს უნდა ჰქონდეს ფორუმის სახე, რომელიც პერიოდულად მოიწვევს შესაბამისი სექტორების წარმომადგენლებს ძალადობის შესახებ ბოლოოდროინდელი ხელმისაწვდომი მონაცემების განსახილველად. ფორუმის მიზანი უნდა იყოს ახალი პრობლემების (და მათი გამომწვევი რისკფაქტორების) იდენტიფიცირება თავიდანვე, იმისათვის, რომ განხორციელდეს შესაფერისი და დროული ინტერვენცია (1).

## საერთაშორისო მექანიზმები

საერთაშორისო დონეზე არსებობს რამდენიმე ფორუმი და პარტნიორობა, სადაც ქვეყნებს შეუძლიათ, თავი მოიყარონ და აღმოაჩინონ ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევის ყველაზე ეფექტუალური სტრატეგიები. ასეთია, WHO Milestones - გლობალური კამპანია ძალადობის პრევენციისთვის, რომლის შეხვედრებიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და რომელზეც განხილულია ძალადობის პრევენციის მდგომარეობა და მისი განხორციელება სახელმწიფო მასშტაბით. ასევე, მუშავდება სტრატეგიები მასშტაბების გაზრდის მიზნითაც (178). კიდევ ერთი მაგალითია აშშ-ს ეროვნული აკადემიების ფორუმი „ძალადობის გლობალური პრევენცია“. ფორუმი აკადემიების ჯანდაცვისა და მედიცინის განყოფილებების მიერ იქნა მოწვეული და შეიმუშავა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოსხენებითი დოკუმენტი (179). გარდა ამისა, პარტნიორობა „ერთად გოგონებისთვის“, იწვევს გაეროს ხუთ სააგენტოს, აშშ-ს ხელისუფლების რამდენიმე სააგენტოს, კანადის ხელისუფლებას, კერძო სექტორს და სხვა პარტნიორ ხელისუფლებებს, იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მონაცემებზე დაფუძნებულ მრავალსექტორულ მიდგომას. იგი ამჟამად აქტიურად მუშაობს 22 ქვეყანაში. საბოლოოდ, ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევის გლობალური პარტნიორობა არის ყოველისმომცველი ინიციატივა, რომელიც აერთიანებს ამ ცალკეულ მექანიზმებს ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევის საერთო მიზნისთვის (იხილეთ მაგალითი 4).

### მაგალითი 4

#### ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევა: გლობალური პარტნიორობა

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აიღო ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევის გლობალური ვალდებულება. ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევის გლობალური პარტნიორობა ხელს უწყობს ამ ვალდებულების შესრულებას. ამ მიზნით შეიქმნა INSPIRE - პაკეტი, რომელიც ქვეყნის მოქმედების მნიშვნელოვანი მხარდამჭერი ინსტრუმენტია. პარტნიორობა ხელს შეუწყობს ძალადობის პრევენციასა და მასზე რეაგირებაზე მომუშავებებს, მათ შორის სახელმწიფო სექტორებს (მაგალითად, განათლების, კანმრთელობის, მართლმსახულებისა და სოციალური კეთილდღეობის), ასევე, ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორებიცაა გაერო და მსოფლიო ბანკი, განვითარების სააგენტოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რელიგიურ ორგანიზაციებს, კერძო სექტორს, ფილანთროპებს, ფონდებს, მკვლევრებს, აკადემიკოსებს და თავად ბავშვებს. პარტნიორების ექსპერტიზის გამოყენებით, გლობალური პარტნიორობა მხარს დაუჭერს იმ სტრატეგიების განხორციელებას და მასშტაბის გაზრდას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, რომელიც ეფექტუანად ახდენს ძალადობის პრევენციას, მონიტორინგს გაუწევს მათ ეფექტუანობას და გააფართოებს მტკიცებულებათა ბაზას.

# ურთიერთმკვათი პროცესი 2: მონიტორინგი და შეფასება

ქვეყნებს და თემებს სჭირდებათ შესაბამისი ზომები ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, რათა დაგეგმონ სტრატეგიები და ინტერვენციები, გაზომონ მათი გავლენა და მუდმივად გააუმჯობესონ ისინი, წარმატების მისაღწევად.

## მონიტორინგი

მონიტორინგის სისტემები, შესაძლოა, გამოყენებული იყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბის შესახებ მონაცემების მისაღწეად, დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად, თვალყურის სადევნებლად და მათი გავლენის შესაფასებლად. მონიტორინგის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე შესაძლებელია სტრატეგიების გაუმჯობესება, ხარვეზებზე მუშაობა და პრევენციაზე მუდმივი ფოკუსირების ხელშეწყობა. ამ მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული მასშტაბის კალევით და დანესებულებებიდან (მაგალითად, საავადმყოფოებიდან) მიღებული მონაცემები ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე აუცილებელია, რომ ეს მონაცემები ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რომელიც მუშაობს ძალადობის პრევენციაზე, მათ შორის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის.

იმის მიუხედავად, რომ გამოკითხვის შედეგად მიღებულ და ადმინისტრაციულ მონაცემებს აქვს საკუთარი ძლიერი მხარეები და შეზღუდვები, ერთობლივი გამოყენების შემთხვევაში, შესაძლოა, მათ წვლილი შეიტანონ პრობლემის შეფასებასა და მონიტორინგში შემდეგი გზებით:

- რაოდენობრივი მონაცემების სახით პრობლემის მიწოდება, რომელიც დაყოფილია სქესის, ასაკისა და სხვა ფალადების მიხედვით შეიძლება ფართოდ იყოს გამოყენებული დანერვერებული განუფეხისა და სექტორების მიერ;
- ადგილობრივ, რეგიონულ და სახელმწიფო დონეზე მომედარი ძალადობის სხვადასხვა ფორმის, შემთხვევების, გამომწვევი მიზანებისა და შედეგების შესახებ მონაცემების უწყვეტი და სისტემატური მიწოდება;
- ბავშვთა მიმართ ძალადობის დაფიქსირებული შემთხვევების, გეოგრაფიული განაწილების მიმოხილვის უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბავშვთა დაცვის მომსახურებათა დაგეგმვის დროს ადგილმდებარეობის განსაზღვრისთვის;
- ახლად წარმოქმნილი ტენდენციებისა და პრობლემური სფეროების დროული იდენტიფიცირების ხელშეწყობა, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი ინტერვენციების ჩამოყალიბება, რაც შეიძლება მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება, ასევე პრიორიტეტების შეთავაზება ძალადობასთან დაკავშირებულ რისკფაქტორებზე მუშაობისთვის;
- დაინტერესებული მხარეების ინფორმირება შეთავაზებული აქტივობების განხორციელების დროს არსებული პროგრესისა და შეცვლებების შესახებ;
- ძალადობის და მასთან დაკავშირებული რისკფაქტორების გავრცელების დონეზე არსებული ცვლილებების იდენტიფიცირება გარკვეული დროის შემდეგ;
- პრევენციის გავლენის შეფასებისთვის საჭირო საშუალებების უზრუნველყოფა.

ნებისმიერი მონიტორინგის სისტემა უნდა იყენებდეს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სტანდარტიზებულ, მეცნიერულად ვალიდურ მეთოდებს. შემთხვევების მართვის სისტემები, რომლებიც აგრივებს და აერთიანებს მონაცემებს სხვადასხვა სექტორებიდან, შესაძლოა, ასევე ხელსაყრელი იყოს იმის დასადგენად, თუ რამდენად კარგად მუშაობს რეფერალის სისტემა, რა ხარვეზებია ასაკობრივ დაფარვაში, რა საჭიროებები და ტენდენციებია სექტორში და სექტორთა შორის. მონაცემთა შეგროვებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმაციის შეგროვება სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის და სხვა იმ მახასიათებლების შესახებ, რომლებმაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ძალადობის მიმართ მოწყვლადობაზე.

## გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები

ბევრ ქვეყანას არა აქვს ადეკვატური ადმინისტრაციული მონაცემთა სისტემები (1, 180, 181) და ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების მხოლოდ მცირე რაოდენობა ფიქსირდება ისეთ ოფიციალურ წყაროებთან, როგორიცაა განათლება, კანდაცვა, მართლმსაჯულება და სოციალური კეთილდღეობის სისტემები. შესაბამისად, თვით დაფიქსირებული შემთხვევები, რომლებიც გამყარებულია ისეთი ეროვნული წარმომადგენლობითი კვლევებით, როგორებიცაა ეროვნული გამოკითხვა ბავშვთა მიმართ ძალადობის (VACS)<sup>7</sup> შესახებ, მოსწავლეების გლობალური, სკოლაზე დაფუძნებული კანმრთელობის გამოკითხვა (GSHS), დემოგრაფიული და კანმრთელობის გამოკითხვები (DHS), ან მრავალინდიკატორიანი კლასტერული კვლევა (MICS) მიზნეულია პრობლემის მასშტაბის გაზირვის, მოწყვლადი ჰაუფების იდენტიფიცირებისა და პროგრესის გაზირვის შედარებით სანდო სტანდარტად (182, 183, 184, 185). თითოეულ ასეთ, მოსახლეობაზე დაფუძნებულ გამოკითხვას, მიუხედავად იმისა, რომ მათ განსხვავებული მიზანი და მიღებული აქვთ, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბავშვთა მიმართ ძალადობის აღქმაში. ეს მონაცემები განსაკუთრებით ღირებულია ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ გაეროს კონვენციების და კანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეზოლუციების მიერ მოთხოვნილი პროგრესის მონიტორინგისთვის (9). მას შემდეგ, რაც დაიწყება მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების შემოწმება, ზემოთ აღნიშნული მონაცემები ასევე სასარგებლო იქნება იმის მონიტორინგისთვის, თუ როგორ არის დაკავშირებული მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება ბავშვთა მიმართ ძალადობის ინდიკატორების შეცვლასთან. ასეთი გამოკითხვები უზრუნველყოფს შესაბამის მოქმედებებს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის, რომლებიც დაფუძნებულია პირველად მონაცემებზე. მაგალით #5-ში ილუსტრირებულია, თუ როგორ გამოიწვია VACS-ის შედეგად მიღებულმა მონაცემებმა პოლიტიკის რეფორმები, რომლებიც გავლენას ახდენს კანმრთელობის, მართლმსაჯულების, საგანმანათლებლო და სოციალურ მომსახურებებსა და ეკონომიკურ სექტორზე. ასეთი გამოკითხვები რეგულარულად უნდა ჩატარდეს, იმისათვის, რომ მუდმივად შემოწმდეს პროგრესი და გაიზომოს ცვლილებები ბავშვთა მიმართ ძალადობის ტენდენციებში (186).

იმის მიუხედავად, რომ გამოკითხვები მნიშვნელოვანია ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბსა და მახასიათებლების შესახებ მიახლოებული მონაცემების მისაღებად და, ასევე, რესპონდენტებთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებას იძლევა, ისინი ნაკლებად უზრუნველყოფს სიტრმისეული ინფორმაციის მიღებას კონკრეტული პოლიტიკის შესახებ: ასეთი ტიპის ინფორმაციისათვის საჭიროა, რომ არსებობდეს ადმინისტრაციული მონაცემები.

<sup>7</sup> გამოკითხვა ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ (VACS) მხარდაჭერილია CDC-ის, ვარტნიორობა „ერთად გიგონებისთვის“ და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ. VACS ზომავს ფიზიკურ, ქმიციურ და სექსუალურ ძალადობას გოგონებსა და ბიჭებზე, ახდენს რისკების, დამცავი ფაქტორებისა და ჯანმრთელობის შედეგების, ასევე მომსახურებების გამოყენებასა და მისთან დაკავშირებული ბარიერების იდენტიფიცირებას.

## ეროვნული გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების დაცულირებული ძალადობის პრევენციას და მასზე რეაგირების აქტივობებთან

პარტნიორობის „ერთად გოგონებისთვის“ ფარგლებში, ქვეყნებს, რომლებიც ატარებენ გამოკითხვას ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ (VACS), აქვთ ხელშეწყობა, იმისათვის, რომ მათ დაუკავშირონ ეროვნული გამოკითხვიდან მიღებული მონაცემები ეფუძნებან, მრავალსექტორულ, პრევენციულ და რეაგირების აქტივობებს. ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა კამბოჯა, ჰაიტი, კენია, მალავი, სვაზილენდი, ტანზანია და ზიმბაბვე, იყენებენ ეროვნული VACS-ის მონაცემებს და პროცესებს, INSPIRE-ში მოცემული სტრატეგიის ტიპების განხორციელების მიზნით. პროცესს უძღვება სამინისტროების და სამოქალაქო საზოგადოების განუფენის სამუშაო გუნდი.

- კამბოჯამ გამოიყენა VACS-ის მონაცემები: რეაგირების პაკეტის შექმნისთვის და მოიცვა 11 სექტორი, მათ შორის სხვადასხვა სამინისტროები და სამთავროებო სააგრენტოები; პროგრამების შესრულებისთვის, რომლებიც ხელს უწყობს ქალებისა და სოციალური ნორმების შეცვლას, ქალთა საკითხებზე მომუშავე სამინისტროს დახმარებით; ამავე სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და პოლიციას შორის კოორდინაციის გაძლიერებისთვის; და იმ პოლიტიკის გაცნობისა და გაძლიერებისთვის, რომელიც ხელს უწყობს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციას.
- ჰავიტმ გამოიყენა VACS-ის მონაცემები: იმ პოლიტიკის და პროგრამების გასაძლიერებლად, რომლებიც ცვლის ბავშვთა მიმართ ძალადობის მყარ, სოციალურ ნორმებს; იმ პოლიტიკის და პროგრამების გასაძლიერებლად, რომლებიც ამცირებს და რეაგირებას ახდენს ძალადობაზე მსხვერპლის იდენტიფიცირების, ზრუნვისა და მხარდაჭერის მეშვეობით; ურთიერთმაკვეთი მეთვალყურეობისა და მონიტორინგის სისტემების გაძლიერებისთვის.
- კენიამ გამოიყენა VACS-ის მონაცემები: პოზიტიური მშობლობისა და ოჯახებისთვის სექსუალური ძალადობის პრევენციის ურენინგის გასაუმჯობესებლად; მრავალსექტორული, გაუპატიურების შემდგომ მომსახურებათა მასშტაბის გასაზრდელად, რომლებიც ხორციელდება „ერთი გაჩერების“ პრინციპის მქონე ცენტრების მიერ; სექსუალური ძალადობის მონიტორინგისა და შეფასების ეროვნული ჩარჩოს შესაქმნელად.
- მალავიმ გამოიყენა VACS-ის მონაცემები: მზრუნველებისთვის/მშობლებისთვის, ბავშვთან უსაფრთხო, სტაბილური და აღმზრდელობითი ურთიერთობების ჩამოყალიბების ურენინგებში მთავრობის ინვესტიციის გასაზრდელად; ბავშვებისა და მიზარდებისთვის სასიცოცხლო უნარების ჩამოყალიბებაში მთავრობის ინვესტიციის გასაზრდელად; ბავშვებისთვის რეაგირების მომსახურებების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და მათ შესახებ ცოდნას ამაღლებისთვის; ზიანის მომტან გენდერულ ნორმებზე მომუშავე პოლიტიკის და პროგრამების ჩამოყალიბებისთვის.
- სვაზილენდმა გამოიყენა VACS-ის მონაცემები: ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობისა და სექსუალური დანაშაულის შესახებ ახალი კანონმდებლობის გატარებისთვის; ბავშვზე მორგებული სასამართლოს და პოლიციის განყოფილებების დაარსებისთვის; ძალადობის პრევენციის საგანმანათლებლო რადიოკამპანიის რესურსებით უზრუნველყოფისთვის; გაუპატიურების შემდგომი, ყოვლისმომცველი ზრუნვის გაძლიერებისთვის ახალი მითითებებისა და „ერთი გაჩერების“ პრინციპის მქონე ცენტრების მეშვეობით; ეროვნული მონაცემთა სისტემის რესურსებით უზრუნველყოფისთვის, იმისათვის, რომ თვალყური ადევნონ ძალადობის შემთხვევებს.
- ტანზანიამ გამოიყენა VACS-ის მონაცემები ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად, 4-წლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის ასამუშავებლად. გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილებია: რაიონულ დონეზე არსებული ბავშვთა დაცვის სისტემების განვითარება და მასშტაბების გაზრდა; საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავება მასწავლებელთა ქალების კოდექსის შესახებ; სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის კლინიკური მომსახურებების გაძლიერება; ადგილობრივი მთავრობის დონეზე ბავშვთა დაცვის ბიუჯეტის მითითებების დაწესება.
- ზიმბაბვემ გამოიყენა VACS-ის მონაცემები სექსუალური ძალადობის და ძალადობის მართვის შესახებ ყოვლისმომცველი მითითებების ჩამოყალიბებისთვის, რომელიც მოიცავს: თემის, ოჯახისა და ინდივიდუალურ დონეზე მომსახურების განვითარება და მასშტაბების გაზრდა; საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავება მასწავლებელთა ქალების კოდექსის შესახებ; სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის კლინიკური მომსახურებების გაძლიერება; ადგილობრივი მთავრობის დონეზე ბავშვთა დაცვის ბიუჯეტის მითითებების დაწესდება.

## ადმინისტრაციული მონაცემები

ადმინისტრაციულ მონაცემთა სისტემები, როგორც წესი, წარმოადგენს რეგულარულ შეგროვებულ ჩანაწერებს ან ანგარიშებს, რომლებიც გამოიყენება საკარო პროგრამების ან სააგენტოების მართვისას და რაც წარმოადგენს იაფი მონაცემების წყაროს. იგი განსაკუთრებით გამოსადევია პოლიტიკის დონეზე მომუშავე პირებისთვის, რომლებიც ამგვარი ინფორმაცია იმისთვის სჭირდებათ, რომ იყოდნენ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ რომელ ოფიციალურ პირს ან სააგენტოს აქვს ბავშვთა და მოზარდება მიმართ ძალადობაზე მიმართული ცოდნა ან აქტივობები.

ადმინისტრაციული მონაცემები ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, გაიგონ, აღწევს თუ არა ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ სკოლის მასწავლებლებამდე, პოლიციამდე, ექიმებამდე ან სოციალურ მუშავებამდე და რა ზომებს მიმართავენ ისინი ასეთი შემთხვევის დაფიქსირების დროს. უფრო მეტიც, ჰანდაცვისა ან პოლიციის დაწესებულებების მიერ შედგენილი იმ ადმინისტრაციული ანგარიშების საფუძველზე, რომლებიც აფიქსირებს დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს ან ბავშვებთან არასათანადო მოპერობის ან გაუპატიურების შემთხვევების რაოდენობას, შესაძლოა გაჩნდეს კითხვები, თუ როგორ რეაგირებენ ეს დაწესებულებები ამგვარ შემთხვევებზე.

შესაძლოა, ზოგიერთმა ოფიციალურმა პირმა აღმოაჩინოს ძალადობის უფრო ნაკლები შემთხვევები, ვიდრე სხვებმა, რაც ცოდნის უფრო დაბალი დონით ან ტრენინგების სიმცირით აისწერა, მაშინ, როდესაც სხვებმა,

შესაძლოა, მიაკვლიონ შემთხვევებს, მაგრამ არ მოახდინონ რეაგირება ან არ მიიღონ პრევენციული ზომები. შესაძლოა, გადამზადებული ოფიციალური პირებიც იზიარებდნენ ბავშვის განვითარებასთან, გენდერსა და ძალადობასთან დაკავშირებულ ზიანის მომტან სოციალურ ნორმებს, რასაც შედეგად მოჰყვება იმ ბავშვების განმეორებითი ვიტრიმიზაცია, რომლებიც იღებენ მომსახურებას. კიდევ ერთი შესაძლო სკენარი არის ის, რომ ძალადობის შემთხვევები, რომლებსაც ყველაზე კარგად, როგორც წესი, ექიმები და პოლიციელები უკეთად და უკავშირდებიან, ძირითადად, პირველ რიგში მასწავლებლების ყურადღების ქვეშ ექვევა და ხშირად მათი გადამისამართება არ ხდება.

ასეთი სახის ინფორმაციაზე დაყრდნობით პროგრამის მენეჯერებსაც და პოლიტიკაზე მომუშავე პირებს შეუძლიათ დასახონ კონკრეტული გეგმები, თუ როგორ შეცვალონ არსებული პრაქტიკა, გადამზადონ ოფიციალური პირები, ჩატარონ ცოდნის ამაღლების და სოციალური ნორმის შეცვლის აქტივობები და მოახდინონ სისტემების რეორგანიზაცია, იმისათვის, რომ უკეთ შეძლონ ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება. მას შემდეგ, რაც პოლიტიკაზე მომუშავე პირები შეიტანენ ცვლილებებს, ჩატარებენ ტრენინგებს და აამაღლებენ ცნობიერებას, საჭიროა, რომ მათ ხელახლა შეაფასონ ადმინისტრაციულ მონაცემთა სისტემები და მოიძიონ მტკიცებულება, თუ რამდენად მოიტანა არსებულმა რეფორმებმა სასურველი შედეგი.

განსაკუთრებით მძიმე ძალადობის შემთხვევებს, რომლებსაც მოჰყვება ბავშვის გარდაცვალება, შეესაბამება ადმინისტრაციული მონაცემების სპეციალური კატეგორია, რომელიც მოიცავს დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობებს(1). არასათანადო მოჰყვრიბით, უცვლებელყოფით და ძალადობით გამოწვეული სიკვდილი, ხშირად არ არის იდენტიფიცირებული მოსახლეობის გამოკითხვის ან მომსახურებაზე დაფუძნებული ადმინისტრაციული მონაცემთა სისტემების შედეგად. ასეთი შემთხვევების სანდო გაზომვა შესაძლებელია მხოლოდ იმ დაწესებულებების დახმარებით, რომლებიც აღრიცხავენ სიკვდილის შემთხვევებს. ასეთი დაწესებულებები სხვადასხვა ადგილას შეიძლება ფუნქციონირებდეს, მათ შორის საავადმყოფოებსა და პოლიციის განყოფილებებში (187). თუმცა ბევრ ქვეყანას ჰქონ კიდევ არა აქვს განზრას მიყენებული დაზიანებების და სიკვდილის აღმრიცხველი ფუნქციური რეგისტრაციის სისტემები. უფრო მეტიც, ბავშვების სიკვდილის მიზეზის განსაზღვრა, შესაძლოა, ძალიან ძნელი იყოს.

ძალადობის შემთხვევების დაფიქსირების განსაკუთრებით დაბალი დონის გამო აუცილებელია თვისებრივი სამუშაოების ჩატარება ბავშვების, მშობლების, მზრუნველებისა და თემის სხვა გავლენიანი პირების პერსპექტივის უკეთ გასაგებად, იმისთვის, რომ პროგრამამ უპასუხოს თემის მიერ გამოვლენილ საჭიროებებს.

## შეფასება

შეფასება პოლიტიკის შემქმნელებსა და ოფიციალურ პირებს უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ინფორმაციით იმის შესახებ, აქვს თუ არა ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის შექმნილ პროგრამებს და პოლიტიკას ის გავლენა, რაც მიზნად ჰქონდათ დასახული (188). დღემდე ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებასა და მისი შედეგების შემსუბურებაზე მომუშავე ეფექტური ინტერვენციების შესახებ მტკიცებულების დიდი ნაწილი მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ჩატარებული შეფასებებიდან მომდინარეობდა. თუმცა INSPIRE სტრატეგიების ჩამოყალიბებისთვის გამოყენებული მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იზრდება მტკიცებულებათა რაოდენობა დაბალი და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებიდან (189).

INSPIRE იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, გაზარდოს თავისი შვიდი სტრატეგიის ეფექტურობის კვლევის რაოდენობა, დაბალ- და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში. სწორედ ასეთ ქვეყნებში ცხოვრიობს მსოფლიოს ბავშვების 80% და ასეთი კვლევების რაოდენობა კი მცირეა და ერთმანეთისგან დროის დიდი მონაკვეთებითაა დაშორებული. ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიღებობის სფერო შედარებით ახალია, მაღალშემოსავლიან ქვეყნებშიც კი. იმის მიხედვად, რომ ეს სფერო საკმაოდ იმედის მომცემია, როგორც ამ პაკეტში მოცემული პროგრამები ცხადყოფს, იგი დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში მხოლოდ საწყის ეტაპზე იმყოფება. მაგალითად, ბავშვებთან არასათანადო მოპყრობისა და ახალგაზრდებს შორის ძალადობის პრევენციის შედეგების შეფასების 2007-2013 წლებში ჩატარებული კვლევებიდან ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის მხოლოდ 9% და ახალგაზრდებს შორის ძალადობის მხოლოდ 6% იყო დაკავშირებული დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში არსებულ პრევენციულ პროგრამებთან (189).

ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბებისა და რესურსების სიმცირის გათვალისწინებით, დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ ინტერვენციაში ჩადებულმა რესურსებმა ზრმატებით მოახდინონ ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ INSPIRE სტრატეგიების განხორციელების დაწყების შემდეგ გაიზარდოს მოქმედი სტრატეგიების შესახებ მაღალი ხარისხის მტკიცებულებათა რაოდენობა. სტრატეგიების ფართომასშტაბიან განხორციელებასთან ერთად საჭიროა ასევე ფართომასშტაბიანი შეფასების ჩატარება, იმისთვის, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს არსებული პროგრამების გავლენა და მდგრადი განვითარების მიზნის 16.2 - ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევა - 15 წელში მიღწევის შანსი.

დამატებით, ეფექტური პროგრამების დანერგვისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა დანახარჯების ეფექტურობის კვლევა და განეული ძალისხმევის შეფასება. დაბოლოს, უნდა შეფასდეს მთლიანი გავლენა, რაც მიღწეულ იქნება INSPIRE ტენიკური პაკეტის მრავალსექტორული კომპონენტების კოორდინირებულად განხორციელებით.



# მითითებები განხორციელებისთვის

INSPIRE განკუთვნილი არ არის ახალი პროგრამის სახით განხორციელებისთვის. ის უფრო მეტად გულისხმობს ბავშვებზე ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის არსებულ მრავალსაქტორულ ძალისხმევაზე ფოკუსირებას და მის გაძლიერებასა და გაფართოებას. INSPIRE-ის განხორციელების ნებისმიერი ძალისხმევის მიზანი უნდა იყოს შესაბამისი სექტორების მიერ თანმიმდევრულად დაგეგმილი ან პარალელური მიდგომის უზრუნველყოფა. ასევე მნიშვნელოვანია, შვიდივე სტრატეგიდან, სულ მცირე, თითო ინტერვენციის განხორციელება (სასურველია მასშტაბურად), რადგან ეს სტრატეგიები ისეა შექმნილი, რომ ისინი ავსებენ და აძლიერებენ ერთმანეთს.

ამ შეკვეთში მოცემული სტრატეგიების კოორდინირებულად გახორციელება ხელს შეუწყობს ეფექტური მიღებობის ძირითადი კომპლექტის და, ასევე, ძლიერი პოლიტიკისა და კანონების არსებობის უზრუნველყოფას, ყველა ქვეყანაში. INSPIRE დაინტერა გლობალური პერსპექტივიდან, და იმისათვის, რომ ის იყოს ეფექტური, საჭიროა, განისაზღვროს და დაიგეგმოს კონკრეტულ ქვეყანაზე მორგებული მიზნები, სტრატეგიები და აქტივობები, რათა შემდეგ, დროის განსაზღვრულ პერიოდში, განხორციელდეს პროგრამები მთელი ქვეყნის მასშტაბით. შესაბამისად, ყველა ქვეყანას მოუწევს პაკეტის შინაარსის მორგება საკუთარ მდგომარეობაზე და მისი ისე განხორციელება, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს საკუთარ სტრუქტურებთან.

#### **დიაგრამა 10: 9 ნაბიჯი INSPIRE-ის ადაპტირებისა და განხორციელებისთვის**



რამდენიმე ქვეყანამ უკვე დაიწყო ბავშვებზე ძალადობისა და მასზე რეაგირების ეროვნული ძალისხმევის დაგეგმვა და განხორციელება, ამ გეგმების უმეტესობა მოიცავს INSPIRE-ის ელემენტებს. INSPIRE-ის შემქმნელი წამყვანი სააგენტოების გამოცდილებასა და ექსპერტულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, სურათ 10-ზე მოცემულია ამ პაკეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ნაბიჯები, ქვემოთ კი შეჯამებულია მათი შინაარსი. ამ წანისათვის აქვთ მოგადი სახელმძღვანელოს სახე. INSPIRE-ის თითოეული შეიდი სტრატეგიის განხორციელებისთვის საჭირო უფრო დეტალური სახელმძღვანელო 2017 წელს იქნება ხელმისაწვდომი.

აუცილებელი არ არის ნაბიჯების ამ თანმიმდევრობის დაცვა, და ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა, ერთდროულადაც განხორციელდეს.

# ეროვნული ვალდებულების აღება

აქტივობების ხანგრძლივი მდგრადობისა და მრავალსექტორული თანამშრომლობის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანი ნაბიჯია INSPIRE-ში მოცემული მიზნების, სტრატეგიებისა და ინტერვენციების მიმართ ეროვნული ვალდებულების აღება. ამისთვის, საჭიროა დაინტერესებული მხარეების ცოდნის ამაღლება ბავშვებზე ძალადობის მასშტაბის/შედეგებისა და მათი გადაქრის მტკიცებულებაზე დაფუძნებული გზების შესახებ. ის ასევე გულისხმობს ძირითადი აქტორების ან ინსტიტუტების ერთმანეთთან დაკავშირებას, იმისათვის, რომ მათ საკუთარი როლი შეასრულონ ეროვნული პროგრამის შედგენასა და განხორციელებაში. უმაღლესი საფეხურის პოლიტიკური ლიდერების დროული ჩართულობა ხელს შეუწყობს ეროვნული პოლიტიკის ჩარჩოსა და სამოქმედო გეგმის შედგენის დროულად დაწყებას.

მნიშვნელოვანია განხორციელებაში ჩართულ მთავარ სექტორებს შორის თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უზრუნველყოფა. INSPIRE-ის პაკეტი, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, მენეჯერებსა და პროგრამაში დასაქმებულებს შორის დიალოგის წამოწყების ხელშეწყობისა და პოლიტიკის დონეზე არსებული გადასაწყვეტი საკითხების იდენტიფიცირებისთვის. ამის მაგალითია სასამართლო და მარეგულირებელი ჩარჩოები, რომელთა ფარგლებშიც ფუნქციონირებს სხვადასხვა სექტორები და რომელიც განსაზღვრავს ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების რომელ დონეზე ვის რისი გაკეთების უფლებამოსილება აქვს.

ბევრმა ქვეყანამ ასეთი პროცესების უწყვეტი მხარდაჭერა უზრუნველყო სამუშაო ჯავშის დაარსების მეშვეობით, რომელიც ერთად იწვევს სამინისტროების წარმომადგენლებს, პროფესიონალთა ასოციაციებს, უნივერსიტეტებს, კვლევით ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. იმ სამუშაო გუნდის ყოლა, რომლის მიზანიცაა INSPIRE-ის განხორციელების წამოწყება და მისი მონიტორინგი, ხელს შეუწყობს იმპულსის შენარჩუნებას ეროვნული გეგმის ჩართულიბის და განხორციელების მეშვეობით; ასევე შეძლებს პროცესში სხვადასხვა აქტორების მიერ წვლილის შეტანას და აქტივობების კოორდინირებას.

მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული ძალისხმევა შეესაბამებოდეს ან ინტეგრირებული იყოს ამგვარი საკითხების შესახებ მანამდე არსებულ ეროვნულ სამოქმედო გეგმებთან, სტრატეგიებსა და ინტერვენციებთან. ასეთი საკითხებია: ქალთა სასექსო ორგანოების დასახირების და/ან წინადაცვეთის პრევენციისა და შემცირებისთვის მიმდინარე სამუშაოები; ბავშვთა ადრეული და იძულებითი ქორწინების პრევენცია; გენდერული წიმინდება ძალადობის პრევენცია; ასე ინფექციის/შიდასის პროგრამები და სხვა კანმრთელობასთან დაკავშირებული ინტერვენციების ისეთი პროგრამები, როგორიცაა იმუნიზაციის კამპანია. ამგვარ ძალისხმევას შეუძლია, ხელი შეუწყოს მაქსიმალური შედეგის მიღწევას, შეზღუდული რესურსების ეფექტუანად გამოყენებასა და გადაფარვის თავიდან აცილებას. ასევე შეუძლია, უზრუნველყოს ბავშვთა დაცვის, გენდერის და ძალადობის საკითხების გავრცელება, რაც გაზრდის INSPIRE სტრატეგიების გავლენას.

## საჭიროებების შეფასება

ეროვნული სამოქმედო გეგმის შექმნისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია ბავშვებზე ძალადობის დაძლევასთან დაკავშირებით არსებული პოლიტიკის, კანონების, პრევენციული პროგრამების, მომსახურებებისა და ინფრასტრუქტურის სტატუსის შეფასება. საჭიროების შეფასების ფარგლებში მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, თუ რამდენად ითვალისწინებს არსებული ეროვნული ჩარჩო გენდერულად მგრძნობიარე მიღებომას, რასაც შეუძლია, ბიჭებისა და გოგონებისთვის არსებული სხვადასხვა რისკების განეიტრალება. უფრო მეტიც, არსებული პოლიტიკის, პროგრამებისა და პრაქტიკის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, თუ რამდენად მოიცავს პრევენციული პროგრამები და მომსახურებები ყველა ბავშვს, მიუხედავად მათი ასაკის, სქესის, გენდერული იდენტობის, ენის, რელიგიის, შესაძლებლობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და ეკონომიკური სტატუსისა და, ამავდროულად, როცა საჭიროა, უპირატესობას ანიჭებს განსაკუთრებულით მოწყვლად ჯავუფებს.

ისეთი სპეციალიზებული შეფასებები, როგორებიცაა სააგენტოს გამოკითხვები და მზაობის შეფასებები იხილეთ მაგალითი 6), ეხმარება პოლიტიკის შემქმნელებს, შეაგროვონ თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემები ისეთი სამთავრობო უწყებებიდან/დაწესებულებებიდან, როგორებიცაა სკოლები, სამართალდამცავი სტრუქტურები, საავადმყოფოები, ფსიქიკური ფანმრთელობის ცენტრები, ოჯახის მომსახურების სააგენტოები და ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები და ბავშვთა დაცვის სააგენტოები (190). მაშინ, როცა ზოგიერთი ქვეყანა იშვიათად ატარებს სააგენტოების გამოკითხვას, სხვა ქვეყნები მას ყოველწლიურად ატარებენ.

## პრევენციისთვის მზაობის შეფასება

მზაობის შეფასება განსაკუთრებით სასარგებლოა ეროვნული მთავრობებისთვის, რომელებიც იწყებენ მუშაობას ბავშვებზე ძალადობაზე, ან იმათვის, ვინც ჟერ არ არის დარწმუნებული, მზადაა თუ არა მათი სახელმწიფო, რომ განახორციელოს INSPIRE-ის პაკეტი. ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის მზაობის შეფასების (RAP-CM) მიღებომა აფასებს, თუ რამდენად მზადაა ქვეყანა, მუნიციპალიტეტი ან თემი, ბავშვებზე ძალადობის პრევენციის პროგრამის დიდი მასშტაბით განხორციელებისთვის (191). მზაობის შეფასების პროგრამა უკვე გამოიყენეს ბრაზილიაში, ყოფილი იუგოსლავის რესპუბლიკა მაკედონიაში, მალაიზიაში, საუდის არაბეთსა და სამხრეთ აფრიკაში. ის განსაკუთრებით შესაფერისია იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც ჩატარეს გამოკითხვა ბავშვებზე ძალადობის შესახებ. RAP-CM პრევენციისთვის მზაობის მოდელი მოიცავს ძირითადი აქტორების მიერ შემდეგი საკითხების ცოდნას და მათ მიმართ დამოკიდებულებებს: არასათანადო მოპყრობა ბავშვებთან; მეცნიერული მონაცემების არსებობა ბავშვებთან არასათანადო მოპყრობასა და მის პრევენციაზე; პრობლემის გადასახმყეტად მოქმედების დაწყების სურვილი; ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის არსებული არამატერიალური (მაგალითად, იურიდიული, პოლიტიკური, ადამიანური, ტექნიკური და სოციალური რესურსები) და მატერიალური (მაგალითად ინფრასტრუქტურული, ინსტიტუციური და ფინანსური) და მატერიალური (მაგალითად ინფრასტრუქტურული, ინსტიტუციური და ფინანსურები).

ასეთი შეფასების ჩატარების პროცესიც ძლიერი ინსტრუმენტია ცოდნის ამაღლებისა და რესურსების განაწილების დადგენისთვის. დღემდე თითქმის ყველა ქვეყანას აქვს შემდეგი კომპეტენციების თუ რესურსების დანაკლისი: სფეროს პროფესიონალების სიმცირე, ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის პრევენციისა და მასზე რეაგირების პროგრამების შესრულებისთვის საჭირო ცოდნისა და გამოცდილების სიმცირე, ასევე, ამ მხრივ განამაზადებების ინსტიტუტების ნაკლებობა; არასაკმარისი დაფინანსება, ინფრასტრუქტურისა და აღქურვილობის დეფიციტი; პრევენციული პროგრამების შედეგების განსაკუთრებული სიმცირე; და ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის გავრცელების ეროვნული გამოკითხვების ნაკლებობა (192). იმის მიხედვად, რომ RAP-CM მიღებომა ძირითადად ბავშვებთან არასათანადო მოპყრობაზე ფოკუსირებული, ის მარტივად შეიძლება მოერგოს და გადაკეთდეს ისე, რომ შეაფასოს მოზარდებს შორის ძალადობის პრევენციისთვის მზაობაც.

## ინტერვენციების შერჩევა

ბავშვების მიმართ ძალადობაზე მომუშავე ყველა თემს, ქვეყანას, სამინისტროს თუ არასამთავრობო ორგანიზაციას თან ახლავს საკუთარი სოციალური და კულტურული კონტექსტი, რომლის მიხედვითაც უნდა შეირჩეს ის ინტერვენციები, რომლებიც ყველაზე მეტად შეეფერება მის მოსახლეობასა და გარემოს. შესაბამისად, საკუთარი გარემოს საჭიროებებისა და სიძლიერეების, იქ მცხოვრები მოქალაქეების შეფასება ყველაზე უკეთ ეროვნულ და ადგილობრივ დონზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და პრაქტიკოსებს შეუძლიათ; რის საფუძველზეც შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება იმის შესახებ თუ INSPIRE-ის სტრატეგიების რა კომბინაცია შეეფერება ყველაზე მეტად მოცემულ კონტექსტს. განსახორციელებელი ინტერვენციების ასარჩევად საჭიროა შემდეგი საკითხების საფუძვლიანი ცოდნა:

- ძალადობის რა ფორმები ბავშვების რომელ ჯგუფზე ახდენს გავლენას, და სად და როდის ხდება ძალადობა.
- ბავშვებზე ძალადობის ხელშემწყობი რისკაფაქტორები.
- ბავშვებზე ძალადობის საკითხზე მიმდინარე საკანონმდებლო, პოლიტიკისა და პროგრამული ძალისხმევა.
- INSPIRE-ის იმ ინტერვენციების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეუძლია იმუშაოს მიმდინარე საკანონმდებლო, პოლიტიკისა და პროგრამულ ძალისხმევაში არსებულ დანაკლისებასა და სისუსტეებზე.
- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობა, განახორციელონ ინტერვენციები.

ეს ინფორმაცია რამდენიმე წყაროზე დაყრდნობითაა შედეგის მიმდინარე საკუთარულა ბავშვებზე ძალადობის ეროვნული გამოკითხვა და/ან ფლობს ადმინისტრაციულ მონაცემებს ბავშვებზე ძალადობის შემთხვევების შესახებ, მაშინ მას უკვე შეგროვებული და შეჯამებული ექნება ზემოთ აღნიშნული საჭირო ინფორმაცია. თუ მას ამგვარი გამოკითხვა არ ჩატარებისა, საჭირო იქნება ასეთი ინფორმაციის შეგროვება კვლევის ხელმისაწვდომ ანგარიშებზე, ოფიციალურ სტატისტიკასა და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით, მათი გაანალიზება და გამოყენება პრობლემის განსაზღვრის მიზნით.

# ინტერვენციების მორმება ადგილობრივ კონტესტში

ინტერვენციების არჩევის შემდეგ, როგორც წესი, საჭიროა მათი მორგება ადგილობრივ კონტექსტზე ისე, რომ არ დაიკარგოს მისი ძირითადი მახასიათებლები, რაც განაპირობებს ინტერვენციის ეფექტურობას (193). ეს ცნობილია, როგორც პროგრამის თავდაპირველი მიზნის შენარჩუნება (194) და ამისათვის მიზანშემონილია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- პროგრამის თავდაპირველი მასალის მოპოვება (როგორც წესი, პროგრამის შემდგენისგან);
- პროგრამის ლოგიკური მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც ასახავს, თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნები და კომპონენტები სამიზნე მოსახლეობის სასურველ ცვლილებთან.
- პროგრამის ძირითადი კომპონენტების იდენტიფიცირება და, თუკი ეს კომპონენტები ჰქონ ცნობილი არ არის, მაშინ საუკეთესო პრაქტიკის მახასიათებლების იდენტიფიცირება, რომლებიც, როგორც წესი, მოიცავს შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას.
- პროგრამის თავდაპირველ მოდელსა და ახალ კონტექსტს შორის არსებული ნებისმიერი შეუსაბამობის იდენტიფიცირება და კატეგორიზაცია.
- საჭიროების შემთხვევაში თავდაპირველი პროგრამა ისე უნდა შეიცვალოს, რომ მოერგოს ახალი კონტესტის საჭიროებებს და, ამავდროულად, მან უნდა შეინარჩუნოს თავდაპირველი მიზანი.
- თავდაპირველი პროგრამის მასალები უნდა შეიცვალოს შეუსაბამობების შემცირების მიზნით (193).

ნაბეჭდ მასალებსა და ისეთ ტრენინგების მიზნით, როგორიცაა მშობლობის გაძლიერებისა და სასიცოცხლო უნარების განვითარების ტრენინგი, კვლევამ გამოავლინა პროგრამის ადაპტირების მიღებული და სარისკო გზები (194).

ადაპტაციის მიღებული გზებია:

- მასალის თარგმანი ადგილობრივ ენაზე და ლექსიკის შეცვლა;
- სურათების შეცვლა, იმისათვის, რომ ბავშვები და ზრდასრულები ჰქავდნენ სამიზნე აუდიტორიას;
- კულტურული ცნებების შეცვლა;
- აქტივობების ასპექტების შეცვლა, მაგალითად ფიზიკური კონტაქტის მორგება ადგილობრივი ნორმებისთვის;
- ადგილობრივი მტკიცებულებების დაფუძნებული მასალის დამატება, მონაწილეთათვის შესაბამისობის და მიმზიდველობის გასაზრდელად.

ადაპტაციის სარისკო და მიუღებელი გზებია:

- პროგრამაში მონაწილეთა ჩართულობის დროის შემცირება, მაგალითად, სესიების რიცხვის ან ხანგრძლივობისა;
- საკვანძო გზავნილების ან აუცილებლად შესასწავლი უნარების ამოღება;
- თემების ამოღება;
- თეორიული მიდგომის შეცვლა;
- პროგრამის შესრულების მცდელობა ცუდად მომზადებული პერსონალითა და მოხალისეებით;
- იმაზე ნაკლები რაოდენობის პერსონალის გამოყენება, ვიდრე რეკომენდებულია.

## ეროვნული და ადგილობრივი სამოქადო გერმის შემუშავება

მას შემდეგ, რაც გამოიკვეთება საჭიროებები და აირჩევა ინტერვენციები, უნდა განისაზღვროს ეროვნული სამოქმედო გეგმის ელემენტები. ეს მოიცავს ზოგადი მიზნების, სპეციფიკური მიზნების და ამოცანების დასახვას და პროგრამის შესრულების მონიტორინგისთვის შესაფერისი ინდიკატორების განსაზღვრას. ეროვნული სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს აქტივობებს:

- პრევენციული პროგრამების შესრულებისა და რეაგირების სერვისების, რესურსების და აღჭურვილობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გასაძლიერებლად;
- ადამიანური რესურსების განვითარებისა და მართვისთვის;
- ინფორმაციის გაზიარების, განათლების; კომუნიკაციის და სოციალური მობილიზაციისთვის;
- ეროვნულ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული მიზნების პროგრესის შემაჯამებელი შეფასებისა და მონიტორინგისთვის.

ყოველმა დაინტერესებულმა მხარემ მხარი უნდა დაუჭიროს გეგმას. ამ პროცესის ხელშესაწყობად, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს სამუშაო შეხვედრები ეროვნულ დონეზე.

ბავშვებზე ძალადობის დაძლევის ეროვნული პროგრამის სტრატეგიული გეგმის შედგენა ყოველთვის ცენტრალურ დონეზე უნდა განხორციელდეს, იმ სამინისტროში, რომელსაც აკისრია მრავალსექტორული სამუშაო გუნდის კოორდინირება. უფრო დიდ ქვეყნებში პროგრამის დიზაინი იმდენად მოქნილი უნდა იყოს რომ შეიძლებოდეს მისი დეფენსურალიზაცია, რეგიონულ, რაიონულ, მუნიციპალურ და თემის დონეზე, იმისთვის, რომ ინტერვენციებმა მიაღწიოს ყველამდე, ვისაც კი ეს სჭირდება.

გეგმის წარმატებით შესასრულებლად საჭიროა ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმების ჩამოყალიბება ოფიციალური სამთავრობო მანდატით. როდესაც ასეთი გეგმა ხორციელდება მუნიციპალიტეტის დონეზე, საჭიროა იმავე სახის კოორდინაცია. რუსეთის ფედერაციის ქალაქ სანქტ-პეტერბურგში განხორციელებულმა INSPIRE-ის პრევენციის ამგვარმა წარმატებულმა პროგრამამ აჩვენა, რომ ქვეყნებს და/ან ქალაქებს, რომლებსაც დაგეგმვისა და პოლიტიკის შესამუშავებლად აქვთ ცენტრალური ერთეული შესაბამის სამინისტროში და განხორციელებისა და აღსრულებისთვის - ადგილობრივი ერთეულები, ხელსაყრელი შირობები აქვთ იმისათვის, რომ მიღონ ზომები ძალადობის პრევენციისათვის (მაგალითი 7).

## მაგალითი 7

### **ბავშვებზე ძალადობის და ძალადობის რისკფაქტორების პრევენცია**

#### **(სანქტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია)**

სანქტ-პეტერბურგში 2006 წელს ქუჩაში მცხოვრები 15-19 წლის მოზარდების გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათ დიდ ნაწილს ჰქონდა ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის გამოცდილება (38%), იყვნენ უსახლკაროები (24%), მარჩენალდაკარგულები (ერთი ან ორივე გარდაცვლილი მობელი) (43%), არ დადიოდნენ სკოლაში (84%), ჰქონდათ გამოცდილება სექსუალური კონტაქტის დამყარების სარგებელის მიღების სანაცვლოდ (10%), გამოცდილება ინექციური ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების (51%), აივ ინფექცია (37%). ქალაქის მმართველობამ შეადგინა ყოვლისმომცველი, ხეთნლიანი მრავალსექტორული გეგმა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად. გეგმა მოიცავდა სოციალური და ჯანმრთელობის მომსახურებების გაუმჯობესებას, მართლმსახულებისა და განათლების სექტორის რეაგირების გაძლიერებას.

აივ ინფექციის გავრცელებასა და რისკფაქტორებზე მომუშავე მრავალსექტორული რეაგირების გავლენის შესაფასებლად 2012 წელს ჩატარდა 15-19 წლის ქუჩაში მცხოვრები ბავშვების ახალი კონტიგენტის მუნიციპალური გამოკითხვა. 2012 წლისთვის მნიშვნელოვნად შემცირდა ძირითადი რისკფაქტორების გავრცელების დონე, მათ შორის ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა (26%), უსახლკარობა (4%), მარჩენალდაკარგულის სტატუსი (36%), სკოლაში ჩაურიცხველობა (8%), სექსუალური კონტაქტის დამყარება სარგებელის მიღების სანაცვლოდ (4%), და ინექციური ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება (15%). მნიშვნელოვანია, რომ აივ ინფექციის გავრცელების მაჩვენებელმა იყო 73%-ით, შესაბამისად, ქუჩაში მცხოვრები მოზარდების მხოლოდ 10% იყო აივ ინფექციით ინფიცირებული.

აივ ინფექციის გავრცელების შემცირება ქუჩაში მცხოვრებ მოზარდებს შორის - რომელსაც დიდი ალბათობით ხელი შეუწყო ზემოთ ნახსენებმა გეგმამ - მხარს უჭერს მრავალსექტორულ მიღებომას რისკის ქვეშ მყოფი ოჯახებისა და მოზარდების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. სანქტ-პეტერბურგში ამ მრავალსექტორულ მიღებომას მოჰყვა ოჯახების სიღარიბის დონის შემცირება, ოჯახების გაძლიერება, ცვლილებები კანონში და გაუმჯობესებული მომსახურებები. სანქტ-პეტერბურგის მოდელმა, რომლის მიზანიც იყო ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის შემთხვევების იდენტიფიცირება და რეაგირება, მსხვერპლთათვის საჭირო დაცვის უზრუნველყოფასთან ერთად საქვეყნო აღიარება მოიპოვა. ქალაქის მმართველობის მიერ შედგენილი მომსახურების სისტემა ისევ უზრუნველყოფა რისკის ქვეშ მყოფი ოჯახებისა და ბავშვების მხარდაჭერას (195).

ბავშვებზე ძალადობის დაძლევის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისთვის აგრეთვე საჭიროა, როგორც ტექნიკური ექსპერტებისა და დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილების მქონე პირების მხარდაჭერა, ასევე გადაწყვეტილების მიმღები პირების მთავრობაში. სწორად დაკომპლექტებულ ეროვნულ პროგრამას, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე, შეუძლია, უზრუნველყოს ეფექტური ლიდერობა და კოორდინირებული მუშაობა მართლმსახულების საკითხებზე, ალსრულებაზე, ეკონომიკურ გაძლიერებაზე, სოციალური მომსახურების უზრუნველყოფაზე, პროგრამის მართვაზე და სხვა.

ეროვნულ სამოქმედო გეგმაში აღნირილი იქნება INSPIRE-ის იმპლემენტაციის ერთიანი სტრატეგიული მიდგომა. მაგრამ ინტერვენციები უნდა განხორციელდეს ადგილობრივი მმართველობის ან თემის დონეზე და დეტალურად გაინიროს განხორციელების გეგმაში. დაგეგმილი აქტივობების განხორციელება, შესაძლოა, ყველა რაიონში ერთდროულად ვერ მოხერხდეს. ამის გათვალისწინებით გამოყენებული უნდა იქნეს ეტაპობრივი მიდგომა, ეროვნული დაფარვისთვის განსაზღვრული ამოცანებით.

თითოეულ ქვეყანაში გეგმაზე მომუშავე პირებმა უნდა ჩაატარონ საჭიროების შეფასება, მოახდინონ სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და შეიმუშაონ დეტალური განხორციელების გეგმა. ეს შეიძლება განხორციელდეს პრევენციის მზაობის შეფასების მიდგომით, რომელიც აღნირილია ზემოთ (იხილეთ მაგალითი 6). განხორციელების გეგმაში დეტალურად უნდა იყოს განვითაროს, როდის და ვის მიერ განხორციელდება თითოეული აქტივობა. ის ასევე უნდა მოიცავდეს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს რაიონულ დონეზე, რაც დაკავშირებული იქნება საერთო შემაჯამებელ მონიტორინგთან ეროვნულ დონეზე.

## სავარაუდო დანახარხების დანმარიშვება

INSPIRE-ის სტრატეგიების განხორციელების დანახარჯების შესახებ მონაცემების შეგროვება და ანალიზი დაეხმარება პროგრამის დამგეგმვებსა და მენეჯერებს ისეთი ეროვნული და რაიონული პაკეტების შედგენაში, რომელიც მიღწევადი და მდგრადი იქნება. ინფორმაცია ხარჯის შესახებ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ინტერვენციების ხელმისაწვდომობის დასადგენად და, ასევე, ინტერვენციების ხარჯის შესადარებლად სხვა ინტერვენციების ტანით.

პროგრამისთვის საჭირო თანხის სავარაუდო განსაზღვრის გარდა, დანახარჯების ანალიზი ინტერვენციების განხორციელებისას ხელს უწყობს პერსონალის განაწილების, რესურსების ეფექტური მიზანის და სხვა სამუშაო დანახარჯების გააზრებასაც.

დანახარჯები, როგორც წესი, კლასიფიცირებულია შეტანილი წვლილის მიხედვით. არსებობს კაპიტალური და მიმდინარე დანახარჯების კატეგორია. INSPIRE-ის პაკეტში კაპიტალური და მიმდინარე დანახარჯები ასე გამოიყენება:

- **კაპიტალურ დანახარჯებში,** როგორც წესი, შედის პროგრამის მმართველი გუნდისა და პერსონალის ტრენინგები, რომელიც ერთჯერადი ან იშვიათი აქტივობაა. ასევე, თემის მობილიზაციის კონტექსტში ღირებულებებისა და ნორმების შესაცვლელად ჩასატარებელი ცოდნის გაუმჯობესების კამპანიების დანახარჯები. გარდა ამისა, იმ ინტერვენციების კაპიტალური დანახარჯები, რომელთა მიზანიც ფიზიკური გარემოს/ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაა, სავარაუდო, საკმაოდ მაღალი იქნება, მაგრამ ასეთი ინტერვენციის განხორციელების მთავარი მიზანი მაინც ბავშვებზე ძალადობის პრევენცია არ იქნება.
- **მიმდინარე დანახარჯები** მოიცავს თანამშრომლების ხელფასებს და სოციალურ დაზღვევას; ისეთი პერიოდული ტრენინგების დანახარჯებს, როგორებიცაა მოკლე დროით დასაქმებული პირების გადამზადების კურსები; შენობისა და სატრანსპორტო საშუალებების ფუნქციონირებისა/შენახვის დანახარჯები; სოციალური მობილიზაციის ფუნქციონირების დანახარჯები და რეაგირების მომსახურების უზრუნველყოფისთვის საჭირო რესურსების დანახარჯები.

დანახარჯების განსაზღვრის მოდელი და მატრიცა შექმნის პროცესშია. იგი ხელს შეუწყობს INSPIRE-ის ინტერვენციების განხორციელების სავარაუდო დანახარჯების დაანგარიშებას.

# ფინანსური მხარდაჭერის მდგრადი წყაროების იდენტიფიცირება

ბოლო წლებში ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების მზარდმა რაოდენობამ განავითარა დაფინანსების შესაძლებლობები ბავშვებზე ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მხარდამჭერი აქტივობებისთვის იმ ქვეყნებში, სადაც ეს ყველაზე მეტადაა საჭირო, თუმცა, ეს დაფინანსება ჯანმრთელობის ან განვითარების სხვა მიზნების მხარდაჭერის დონესთან შედარებით საკმაოდ მცირეა. მოსალოდნელია, რომ მხარდაჭერა გაიზრდება ბავშვებზე ძალადობის დაძლევის სიცო მიზანი 16.2-ის მიღების შემდეგ. ამგვარი გარეგანი მხარდაჭერა მისაღებია, მაგრამ, ამავდროულად, მთავარ გამოწვევად რჩება შესაფერისი კოორდინაციის ხელშეწყობა ეროვნულ დონეზე და იმის უზრუნველყოფა, რომ განხორციელებულ აქტივობებს მოჰყვება ხანგრძლივი, მდგრადი შედეგი.

ეროვნული სამოქმედო გეომის შემუშავებისას ქვეყნებს შეუძლიათ, გამოიყენონ INSPIRE-ის პაკეტი, იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ უკეთეს კოორდინაციას, როგორც ქვეყანაში არსებულ დაინტერესებულ მხარეებს შორის (რაც მოიცავს სამთავრობო უწყებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რელიგიურ ორგანიზაციებს, აკადემიურ ინსტიტუტებს, კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებას), ასევე ქვეყნის გარეთ არასებულ დაინტერესებულ მხარეებს შორისაც (რომელიც მოიცავს ბავშვებზე ძალადობის პრევენციასა და მასზე რეაგირებაში ჩართულ პარტნიორობებს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, გლობალურ კორპორაციებს და სხვა). დაინტერესებულ დონორებთან და ტექნიკური მხარდაჭერის სააგენტოებთან წინასწარი კონსულტაციების გავლა ხელს უწყობს თანამშრომლობას და აძლიერებს ეროვნული გეგმის შედგენის პროცესს, ასევე, შესაძლოა, ხელი შეუწყოს გადაფარვის თავიდან აცილებას და რესურსების არამიზნობრივ ხარჯვას. შესაბამისად, ფინანსური მხარდაჭერის წყაროების იდენტიფიცირების პროცესში ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი უნდა იყოს შეხვედრის მოწვევა ეროვნულ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებს შორის, რომელსაც შესაბამისი სააგენტო გაუძლია.

## ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა

ეფექტურ და კარგად შერჩეული პერსონალით დაკომპლექტებულ ძალადობის პრევენციის პროგრამას შესწევს იმის უნარი, რომ გაუძლვეს ინტერვენციების განხორციელების პროცესს, რათა შეამციროს ბავშვებზე ძალადობის შემთხვევები. შედარებით პატარა ქვეყნებში, რომლებსაც შეზღუდული ფინანსური რესურსები აქვთ, ერთმა თანამშრომელმა, შესაძლოა, შეითავსოს რამდენიმე როლი. INSPIRE-ის ინტერვენციის განხორციელებისთვის საჭირო განსავითარებელი უნარები დამოკიდებულია არსებულ ეროვნულ და ადგილობრივ შესაძლებლობებსა და საჭიროებზე, და შეიძლება მოიცავდეს მაღალი და საშუალო რეალის მენეჯერთა უნარებს, ზედამხედველობის უნარებს და ველზე მომუშავე თანამშრომლების შესაძლებლობებს, იმისთვის, რომ მათ შეძლონ უპასუხონ შემდეგ საჭიროებს:

- მრავალსექტორული კოორდინაცია და განხორციელება;
- პროგრამის დაგეგმვა, განხორციელება და მართვა;
- მონაცემების შეგროვება და შეფასება, მონიტორინგის სისტემების გაძლიერება;
- სკოიალური და ეკონომიკური გაძლიერება;
- ბავშვებისთვის გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- მონაცემების შეგროვება, მონიტორინგი და შეფასება;
- ანგარიშვალდებულების მექანიზმები;
- სამართლებრივი და პოლიტიკის საკითხები.

მენეჯერებმა და პროგრამის/მომსახურების უშუალო მიწოდებაზე პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა მნიშვნელოვანია გაიარონ სათანადო გადამზადება და ჰერონდეთ მხარდაჭერა. ადამიანური რესურსების განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით, კურიკულუმი და სასწავლო მასალა უნდა მოიცავდეს, ხოლო ტრენინგები უნდა ფლობდნენ უახლეს ინფორმაციას მომსახურების მიწოდებამდე და პროცესში სატრენინგო პროგრამების შესახებ, იმისათვის, რომ სწორად მიაწოდონ აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები. ადამიანური რესურსების განვითარების ტრენინგი და განმეორებითი ტრენინგი უნდა ჩატარდეს INSPIRE-ის განხორციელებაში ჩართული თითოეული სექტორისთვის.

# განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

INSPIRE სტრატეგიების განხორციელება უნდა მოიცავდეს მონაცემების უწყვეტი შეგროვების და ანალიზის საშუალებით მონიტორინგის პროცესის მართვის მექანიზმებს. მონიტორინგი არის INSPIRE-ის პაკეტის განხორციელების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის განვითარებითი პროცესი. ის უნდა მოიცავდეს პროცესის რეგულარულ შეფასებას, ხორციელდება თუ არა, ანდა როგორ ხორციელდება აქტივობები, იმისათვის, რომ შემდეგ შესაძლებელი იყოს არსებული პრობლემების განხილვა და მათი მოგვარება. მონიტორინგით უნდა გამოჩინდეს დაგეგმილი აქტივობების პროგრესი, მან უნდა მოახდინოს არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, იქმნიოს მენეჯერებსა და თანამშრომლებთან უკუკავშირი და გადაქრას პრობლემები, სანამ ეს რაიმე სახის შეფერხებას გამოიწვევდეს. მონაცემები დაუყონებლივ უნდა დამუშავდეს და გაანალიზდეს. ანალიზის შედეგები უნდა გადაეცეს იმას, ვისაც აქვს შესაბამისი ზომების მიღების უფლებამოსილება.

INSPIRE-ის მონიტორინგი ნიშნავს შვიდი სტრატეგიის განხორციელებისა და შედეგების დემონსტრირებას შესაფერისი ინდიკატორების დახმარებით. ამ მიზნით, განვითარების ეტაპზე პროცესის ინდიკატორები, იმისთვის რომ განსაზღვროს, თუ რა დონეზე ხდება INSPIRE-ის თითოეული შვიდი სტრატეგიის განხორციელება, და შედეგის ინდიკატორები, იმისათვის, რომ შეფასდეს, თუ რა გავლენა აქვთ მათ ბავშვებზე ძალადობის გავრცელების მაჩვენებელზე.

პროცესის ინდიკატორები შეიძლება მოიცავდეს ისეთ ზომებს, როგორებიცაა იმ ახალბედა მშობლების წილის განსაზღვრა, რომლებმაც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მიიღეს შესაბამისი მხარდაჭერა, ან 13-15 წლის სკოლის მოსწავლეების პროპორციის განსაზღვრა, რომლებმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიიღეს განათლება სასიცოცხლო უნარების შესახებ.

შედეგის ინდიკატორები შეიძლება მოიცავდეს ბავშვებზე ძალადობის გავრცელებულ ზომებს, რომლებიც მიღებულია მოსახლეობის ეროვნულ დონეზე ჩატარებული რეპრეზენტატიული გამოკითხვისგან. მაგალითად, ეს შეიძლება მოიცავდეს 13-15 წლის სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც ჩართული იყვნენ ბულინგში ან ჩხუბში ბოლო წლის ან ბოლო თვის განმავლობაში (WHO-CDC GSHS); ან SDG მიზანი 16.2-ის დამტკიცებულ ინდიკატორებს, რომელშიც შედის 1-დან 17 წლამდე ბავშვების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც ბოლო 12 თვის განმავლობაში გამოცადეს ფიზიკური დასკა ან სხვა ძალადობრივი დისციპლინური ზომები, 18-24 წლის ბიჭებისა და გოგონების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც 18 წლამდე გამოცადეს სექსუალური ძალადობა. რაც შეეხება მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაუმჯობესებას, საზიარო ინდიკატორები, სადაც საჭიროა, დაყოფილი უნდა იყოს სქესისა და ასაკობრივი ჰარფების, შეზღუდული შესაძლებლობისა და სხვა დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით.



# დასპვენა

ყველა ბავშვს აქვს უფლება, იცხოვროს ძალადობისგან თავისუფალ გარემოში. თუმცა ძალიან ბევრი ბავშვი განიცდის ძალადობის უარყოფით გავლენას იმ მხარდაჭერისა და მომსახურების გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს მათ რეაბილიტაციას. პოლიტიკის შემქმნელებსა და გადაწყვეტილების მიმღებ სხვა პირებს აქვთ ასეთი მოცემულობის შეცვლის ძალა. INSPIRE-ის შვიდი სტრატეგია უზრუნველყოფს პოლიტიკის შემქმნელებსა და მთავარ აქტორებს იმ ინსტრუმენტებით, რომლებიც საჭიროა მოქმედების დაუყონებლივ დასაწყებად.

მზარდი რაოდენობა მტკიცებულებებისა, თუ რა მიღებომებია ეფექტიანი ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის, ჩვენს მოვალეობად აქცევს, რომ ნასწავლი გაკვეთილები გამოვიყენოთ, როგორც ჩვენს სახლებში, ასევე თემებში ან გლობალურ დონეზე. არსებული კვლევებისა და მტკიცებულით გამყარებული ინტერვენციების სიმდიდრე გამოყენებული უნდა იყოს ბავშვებზე ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების სტრატეგიების ჩამოყალიბებისა და განხორციელებისთვის, რაც ხელს შეუწყობს აქამდე უხილავის გამოაშკარავებას და ბავშვებზე ძალადობის დაძლევას. ამავდროულად, უფრო დიდი ძალისამევაა საჭირო მეტი მტკიცებულების მოსაპოვებლად, თუ რა გზებია ეფექტიანი ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის.

ბავშვებზე ძალადობის პრევენცია შესაძლებელია, და ეს ცვლილება მომნიဖების პროცესშია. გაერო მოუწოდებს ქვეყნებს, დაძლიონ ბავშვებზე ძალადობა. გაეროს წევრი ქვეყნები ასევე არიან ბავშვის უფლებათა კონვენციის ხელმომწერები. ჩარჩო და ვალდებულებები მოცემულია კონვენციაში და INSPIRE-ის სტრატეგიებს შეუძლია, ხელი შეუწყონ ქვეყნებს რომელთაც სურთ გამოიყენონ საუკეთესო ხელმისაწვდომი მტკიცებულებები, ამ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ეს სტრატეგიები კვეთს ფანმრთელობის, სოციალური კეთილდღეობის, განათლების, ფინანსების და მართლმასაჭულების სექტორებს. თითოეული სტრატეგია გამყარებულია მაღალშემოსავლიანი ქვეყნების მიერ მიღწეული წარმატების ძლიერი და პერსპექტიული მტკიცებულებებით, ასევე იზრდება ამ სტრატეგიების ეფექტიანობის მტკიცებულებათა რაოდენობა დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებშიც. INSPIRE შექმნილია იმის გათვალისწინებით, რომ მონიტორინგი და შეფასება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ტექნიკური პაკეტის განხორციელებასა და გაუმჯობესებაში გამოცდილებით სწავლებაზე დაყრდნობით. ამ პაკეტის შემქმნელი 10 სააგენტო INSPIRE-ის ყველა სტრატეგიას მიიჩნევს აუცილებელ კომპონენტად ბავშვებზე ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის.

სახელმწიფოს პოზიციის ნამდვილი ბუნება ჩანს იმაში, თუ როგორ ექცევა ის ბავშვებს. როდესაც ბავშვებს რამე დაუშავდებათ, ჩვენ, როგორც საზოგადოება, ვმდაბლებრივით. როდესაც ერთად ვმუშაობთ მათ ცხოვრებაში ძალადობის დასაძლევად, ჩვენს საუკეთესო სახეს წარმოვაჩენთ. ეს სტრატეგიები საუკეთესო გზა ბავშვებზე ძალადობის დაძლევის პროგრესის დასაჩერებლად. დავიწყოთ მათი განხორციელება.



# საქაოლო პრიონერთა ბუნებრივი ტერიტორიაზე მომსახურება

**გახანგრძლივებული სასკოლო პრიონერთა მიერ მეთვალყურეობის გაგრძელება** სკოლის შემდეგ იმისათვის, რომ გაუმჯობესოს ბავშვების აკადემიური მოსწრება და სასკოლო გარემო, მათი სწავლების წროცესში დასამარტინო და რეკრეაციული აქტივობების შეთავაზებით, ჩვეულებრივი სასწავლო საბათების მიღმა.

**სოციალური და კულტურული გრძნდერული ნორმებისა და ლირებულებების შეცვლა** - მისი მიზანია იმ სოციალური მოლოდინების შეცვლა, რომელიც განსაზღვრავს ქალისა და კაცისთვის „შესაფერის“ ქავეპას, მაგალითად, როგორიცაა ნორმები, რომელთა მიხედვითაც კაცს აქვს ქალის კონტროლის ძალაუფლება, და რომლებიც გოგონებს და ქალებს მოწყვლადს ხდის კაცების მიერ განხორციელებული ფიზიკური, ემოციური და სექსუალური ძალადობის მიმართ.

**ბავშვთა ადრეული და იძულებითი ქორწინება** - ქორწინება, სადაც, სულ მცირე, ერთი პარტნიორი 18 წლს მიუღწეველია. ეს ასევე გულისხმობს იმ ქორწინებებს, რომლებშიც მონაწილეობს 18 წლამდე ასაკის პირი, ისეთ ქვეყანაში, სადაც ბავშვი სრულწლოვნებას უფრო ადრეულ ასაკში ან ქორწინების შედეგად აღწევს. ადრეული ქორწინება ასევე შეიძლება გულისხმობდეს შემთხვევებს, სადაც ქორწინების ორივე მონაწილე 18 წლის ან უფროსია, თუმცა სხვა ფაქტორების გამო არ არის მზად, განაცხადოს თანხმობა ქორწინებაზე (მაგალითად, მათი ფიზიკური, ემოციური, სექსუალური და ფსიქოსოციალური განვითარების დონე). უფრო მეტიც, ის მოიცავს ნებისმიერ ქორწინებას, რომელიც შედეგება ერთი ან ორივე მხარის სრული და თავისუფალი თანხმობის გარეშე, და/ან როცა ერთ ან ორივე მხარეს არ შეუძლია ქორწინების დასრულება, მათ შორის ისეთი მიზანების გამო, როგორებიცაა ძალადობა ან ძლიერი ზეწოლა საზოგადოების ან ოჯახის მხრიდან.

**არასათანადო მოპყრობა ბავშვებთან** - 18 წლამდე ბავშვების შეურაცხყოფა და უგულებელყოფა. ის მოიცავს ყველა სახის ფიზიკურ და/ან ემოციურ არასათანადო მოპყრობას, სექსუალურ შევიწროებას, უგულებელყოფას, კომერციული ან სხვა სახის ექსპლუატაციას, რომელსაც შედეგად მოჰყვება ბავშვის ფანმრთელობის, სიცოცხლის, განვითარების ან ღირსების ფაქტორებივი ან პოტენციური ზიანი, პასუხისმგებლობის, ნდობის ან ძალაუფლებრივი ურთიერთობის კონტექსტში.

**ბავშვთა დაცვის მომსახურებები** - სწავლობს ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს და შემდეგ ახდენს შესაბამისი მომსახურებების იდენტიფიცირებას, შეფასებას და ბავშვებისა და ოჯახების ამ მომსახურებებით უზრუნველყოფას, იმისათვის, რომ დაიცვას ბავშვები და მოახდინოს არასათანადო მოპყრობის შემთხვევების პრევენცია, როდესაც ეს შესაძლებელია, ოჯახის მთლიანობის დაურღვევლად. ასეთი მომსახურებები ზოგჯერ სხვა სახელითაა ცნობილი, ხშირად იმიტომ, რომ ასახოს უფრო ოჯახზე ორიენტირებული (და არ ბავშვზე ორიენტირებული) პრაქტიკა, როგორებიცაა, მაგალითად, „ბავშვისა და ოჯახის მომსახურებები“, „ბავშვთა კეთილდღეობის მომსახურებები“ ან „სოციალური მომსახურებები“.

**კონიტურ-ბიჰევიორული თერაპია** - მოკლევადიანი, მიზანზე ორიენტირებული თერაპიული მიდგომა, რომელიც ხასიათს უსვამს იმ ფიქრების და დამოკიდებულებების როლს, რომელიც გავლენას ახდენს მოტივაციასა და ქავეაზე. იგი მხარს უჭრს პრობლემის გადაჭრის პრაქტიკულ მიდგომას. მისი მიზანია ისეთი ფიქრისა და ქავევის კანონზომიერებების შეცვლა, რომელიც იწვევს სირთულეებს ადამიანის ცხოვრებაში. იგი ცვლის ადამიანების დამოკიდებულებებს და მათ ქავევის იმაზე დაყრდნობით, თუ როგორ არის დაკავშირებული ფიქრები, რწმენები და დამოკიდებულებები ადამიანის ქავევასთან.

**კოლექტურ-ძირის ძალადობა** - ძალადობის ინსტრუმენტული გამოყენება იმ პირების მიერ, ვინც თავის თავს მიაკუთვნებს გარკვეულ ჭაბუფს - იქნება ეს გარდამავალი სახის თუ მუდმივი ჭაბუფი. ძალადობა ხორციელდება სხვა ჭაბუფის ან ინდივიდთა გაერთიანების წინააღმდეგ, იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს პოლიტიკური, ეკონომიკური ან სოციალური მიზნები.

**პატრულიორება თემში** - ამ სტრატეგიის მიზანია დაამყაროს თანამშრომლობითი ურთიერთობა თემსა და პალიციას შორის და ჩამოყალიბოს პრობლემის გადაჭრის მიდგომა, რომელიც პასუხობს თემის საჭიროებებს პოლიცია-თემს შორის აქტიური პარტნიორობის საშუალებით.

**დაზიანების მიერ განხორციელებული ძალადობა** - ძალის განზრას გამოყენება ადამიანისა ან ადამიანთა ჭაბუფის მიერ, რომლებიც ნებისმიერი მუდმივი ქუჩრი დაზიანების წევრები არიან ან თავს თვლიან მათ წევრად. ასეთი ჭაბუფები ჩართული არიან არალეგალურ აქტივობებში.

**გენდერული ნორმები** - სოციალური მოლოდინები, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა მიიჩნევა „შესაფერის“ ქავევად ქალებისა და კაცებისთვის. ქალებისა და კაცების, როგორც ბავშვების, ასევე ზრდასრულების, სხვადასხვა როლი და ქავევა ყალიბდება და განმტკიცდება საზოგადოებაში არსებული გენდერული ნორმებით.

# სამოქანითი გერაცია: განვითარებული განვითარება

ინტერპერსონალური ძალადობა - ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების გამოყენების მუქარა ან მისი განზრას გამოყენება ადამიანის ან მცირე ჰავუფის წინააღმდეგ, რომელსაც შედეგად მოჰყვება (ან დიდია იმის აღმატობა, რომ გამოიწვიოს), დაზიანება, სიკვდილი, ფსიქოლოგიური ზიანი, განვითარების ჩამორჩენა ან დეპრივაცია.

**ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან** - არის ინტიმური ურთიერთობის ფარგლებში განხორციელებული ისეთი ქედები, რომელიც იწვევს ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს ურთიერთობაში მყოფი პირებისთვის; მოიცავს ფიზიკურ აგრძესის, სექსუალურ იძულებას, ფსიქოლოგიურ შევიწროებას და მაკონტრილებელ ქცევას.

**სასიცოცხლო უნარების ტრენინგი/სოციალური განვითარების პროგრამები** - შემექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს ბავშვებს და მოზარდებს, მართონ ბრაზი, მოგარინ კონფლიქტები და განვითარონ საჭირო სოციალური უნარები, რათა გადაქრან ინტერპერსონალური პრობლემები ძალადობის გარეშე; ისინი ძირითადად ხორციელდება სკოლაში.

**სამედიცინო და სამართლებრივი მომსახურება სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის** - უზრუნველყოფს გადაუდებელ სამედიცინო და ფსიქოსოციალურ ზრუნვას და სამართლებრივ კონსულტაციას მსხვერპლთათვის, ასევე აგრძელებს სამედიცინო და იურიდიულ მტკიცებულებებს, იმისათვის, რომ დააზუსტოს მსხვერპლის ჩვენება და დაეხმაროს დამნაშავის იდენტიფიცირებაში.

